

ISSN 0130-7061

Index 76127

მეცნიერება და ტექნოლოგია

სამეცნიერო რევიურირებადი ჟურნალი

SCIENCE AND TECHNOLOGIES

SCIENTIFIC REVIEWED MAGAZINE

НАУКА И ТЕХНОЛОГИИ

НАУЧНЫЙ РЕФЕРИРУЕМЫЙ ЖУРНАЛ

№1(721)

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

2016

გამოდის 1949 წლის
იანვრიდან,
განახლდა 2013 წელს.

მეცნიერება და
ტექნოლოგიები

№1(721), 2016 №.

CONSTITUENTS:

Georgian National Academy of Sciences
Georgian Technical University
Georgian Engineering Academy
Georgian Academy of Agricultural Sciences
Georgian Society for the History of Science

დამზურებლები:
ორს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ოფელოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ართველოს საინჟინრო აკადემია
ოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
ისტორიის საქართველოს საზოგადოება

УЧРЕДИТЕЛИ:

Национальная академия наук Грузии
Грузинский технический университет
Инженерная академия Грузии
Академия сельскохозяйственных наук Грузии
Грузинское общество истории наук

სარედაქციო კოლეგია:

ა. ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), ი. გორგიძე (თავმჯდომარის მოადგილე), შ. ნაჭყაბია (თავმჯდომარის მოადგილე), რ. ჩიქოვანი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. აბდუშელიშვილი, ა. აბშილაძე, გ. არაბიძე, რ. არეველაძე, რ. ბაბაიანი (რუსეთი), ნ. ბაღათურია, თ. ბაციკაძე, გ. ბიბილიშვილი, კ. ბურკოვი (რუსეთი), გ. გაგარდაშვილი, ზ. გასიტაშვილი, ზ. გვერდიშვილი, ალ. გრიგოლიშვილი, დ. გურუგვინიძე, ბ. გუსევი (რუსეთი), ი. ელიშმაკვი (აშშ), გ. გარშალომიძე, ს. ვასილიევი (რუსეთი), ხ. ვახანია (მექსიკა), მ. ზეუროვსკი (უკრაინა), ო. ზუმბურიძე, ჰ. ზუნგალი (ავსტრია), დ. თავხელიძე, ა. თოფხიშვილი, ზ. კაგულია, კ. კარაცხელია, გ. კვესიტაძე, ლ. კლიმიძაშვილი, ფ. კრიადო (ესპანეთი), მ. კუხალევიშვილი, რ. ლაზაროვი (აშშ), ჯ. ლაიტმანი (აშშ), ზ. ლომსაძე, ნ. მახვილაძე, დეკნოზი ლ. მათეშვილი, მ. მაცაბერიძე, კ. მარკვავა (რუსეთი), ჰ. მელაძე, ე. მექმარიაშვილი, გ. მიქაშვილი, ო. ნათიშვილი, დ. ნოვგორი (რუსეთი), ს. პეტროლო (იტალია), რ. ქინევიზიუსი (ლიბერტა), ი. ქორდანია, ვ. შეგვრცსკი (რუსეთი), ვ. რიჩი (იტალია), მ. სალუქვაძე, ფ. სიარლე (საფრანგეთი), რ. სტურუზი, თ. სულაბერიძე, ფ. უნგარი (ავსტრია), ა. ფაშაევი (აზერბაიჯანი), ნ. ყავლაშვილი, ა. ჩხეიძე, გ. ცინცაძე, თ. ცინცაძე, ნ. წერეთელი, ზ. წერაიძე, გ. ხელიაძე, ჯ. ჯულიარო (იტალია)

EDITORIAL BOARD:

A. Prangishvili (chairman), I. Gorgidze (vice-chairman), Sh. Nachkebia (vice-chairman), R. Chikovani (vice-chairman), G. Abdushelishvili, A. Abshilava, G. Arabidze, R. Arveladze, R. Babaian (Russia), N. Bagaturia, T. Batsikadze, G. Bibileishvili, V. Burkov (Russia), A. Chkheidze, P. Ciarlet (France), I. Elishakov (USA), Z. Gasitashvili, G. Gavardashvili, Z. Gedenidze, O. Gelashvili, G. Giugiaro (Italy), Al. Grigolishvili, D. Gurgenidze, B. Gusev (Russia), T. Jagodnishvili, Metropolitan A. Japaridze, G. Javakhadze, G. Jerenashvili, †M. Jibladze, Z. Kakulia, N. Kavlashvili, G. Khubuluri, L. Klimiashvili, F. Kriado (Spain), M. Kukhaleishvili, V. Kvaratskhelia, G. Kvesitadze, J. Laitman (USA), R. Lazarov (USA), Z. Lomsadze, N. Makhviladze, Archpriest L. Mateshvili, M. Matsaberidze, V. Matveev (Russia), E. Medzmarishvili, H. Meladze, G. Miqashvili, O. Namicheishvili, O. Natishvili, D. Novikov (Russia), A. Pashaev (Azerbaijan), S. Pedrolo (Italy), P. Ricci (Italy), M. Salukvadze, R. Sturua, T. Sulaberidze, H. Sunkel (Austria), D. Tavkhelidze, A. Topchishvili, G. Tsintsadze, T. Tsintsadze, N. Tzereteli, Z. Tzveraidze, F. Unger (Austria), N. Vakhania (Mexico), G. Varshalomidze, S. Vasilev (Russia), M. Zgurovski (Ukraine), R. Zhinevichius (Lithuania), I. Zhordania, V. Zhukovski (Russia), O. Zumburidze

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

А. Прангишвили (председатель), И. Горгидзе (зам. председателя), Ш. Начкебия (зам. председателя), Р. Чиковани (зам. председателя), Г. Абдушишвили, А. Абшилава, Г. Арабидзе, Р. Арвеладзе, Р. Бабаян (Россия), Н. Багатурия, Т. Бацикадзе, Г. Бибилишвили, В. Бурков (Россия), Г. Варшаломидзе, С. Васильев (Россия), Н. Вахания (Мексика), Г. Гавардашвили, З. Гаситашвили, З. Геденидзе, О. Гелашвили, Ал. Григориашвили, Д. Гургенидзе, Б. Гусев (Россия), Г. Джавахадзе, Т. Джагоднишвили, Митрополит А. Джапаридзе, Г. Джеренашвили, †М. Джибладзе, Дж. Джуджаро (Италия), И. Елишаков (США), Р. Жиневичус (Литва), И. Жордания, В. Жуковский (Россия), М. Згуровский (Украина), О. Зумбуридзе, Х. Зункел (Австрия), Н. Кавлашвили, З. Какулия, В. Кварацхелия, Г. Квеситадзе, Л. Климиашвили, Ф. Криадо (Испания), М. Кухалеишвили, Р. Лазаров (США), Дж. Лайтман (США), З. Ломсадзе, В. Матвеев (Россия), Протоиерей Л. Матешвили, Н. Махвиладзе, М. Мацаберидзе, Э. Медзмариашвили, Г. Меладзе, Г. Микиашвили, О. Намичешвили, О. Натишвили, Д. Новиков (Россия), С. Педроло (Италия), З. Ричи (Италия), М. Салуквадзе, Ф. Сиарле (Франция), Р. Стурна, Т. Сулаберидзе, Д. Тавхелидзе, А. Топчишвили, Ф. Унгер (Австрия), А. Фашаев (Азербайджан), Г. Хубулури, З. Цвераидзе, Н. Церетели, Г. Цинцадзе, Т. Цинцадзе, А. Чхеидзе

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2016
Publishing House “Technical University”, 2016
Издательский дом “Технический Университет” 2016



Publishing House “Technical University”, 2016
Издательский дом “Технический Университет”, 2016
<http://www.acnet.ge/publicut.htm>
scitech@gw.acnet.ge



გინეარსი

გეოგრაფია

ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ. ძაძამია. პლიმატის ცელილების ზემოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყიდვებზე	9
---	---

ეკოლოგია

ც. ბასილაშვილი. ტყის საცრის როლი ბიოსფეროს გაცვითარებაში გლობალური დათბობის ვონები	15
მ. ღლონტი, რ. ქავთარაძე, თ. ნატრიაშვილი. დიზენს სამუშაო პროცესის სრულყოფის მეთოდებისა და ახალი, ალტერნატიული, ნაწილობრივ პროგრენური წვის პროცესის შესახებ	24

გუებრივი აირების გეოგრაფია

ბ. მხეიძე. მდ. აჭარისწყლის ხეობაში გუებრივი აირებამოვლინებების ქიმიური შედგენილობისა და გამრცელების შესახებ	41
--	----

მეტაოროლოგია

მ. ფიფია. სეტკვან დღეთა რაოდენობის სიმრცელ-დროითი ცელილებები კახეთის ტერიტორიაზე	45
---	----

ჰიდროგეოლოგია

ბ. მხეიძე, ა. სონდულაშვილი, ზ. კაგულია, ი. ნანაძე, მ. კოპაძე, ლ. ღლონტი. აჭარისწყლის ხეობის მინერალური და თერმული ფაზების რესურსების გაზრდისა და აიგვისების პერსპექტივები	54
---	----

ახალი ტექნოლოგიები

თ. მეგრელიძე, გ. პირველი, გ. გუგულაშვილი, ვ. ღვაჩლიანი. საპვებ-სამკურნალო მცხოვრეული ნედლეულის გადამამუშავებელი მცირე მრავლებლურობის საჭარმოს შექმნის პერსპექტივები	62
---	----

თ. მეგრელიძე, გ. პირველი, გ. გუგულაშვილი, გ. ბერუაშვილი, თ. ისაკაძე. ინოვაციური მეთოდით ახალი საშრობი დანადგარის მუშა აბენტის შრობის უნარის აღდგენა	67
---	----

ელექტრომანქანათმშენებლობა

ა. რიგრიკაძე. ორგაზა და სამზაზა ელექტრომანქანების სიმძლავრეთა შესახებ	73
---	----

ზოგიპური გეოგრაფია	
რ. ხაზარაძე, კ. ხარაძე, კ. წიქარიშვილი. სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების გააზრისება ქაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (დეპლორაცის გლაციოლარცოფის მაბალითზე)	76
აბრომარგეტინგი	
მ. ქობალავა. აბრომარგეტინგის ფორმირების კონცეპტუალური ასპექტები	89
სოფლის მეურნეობა	
თ. შამათავა, ლ. ზეიადაძე. ნიტრატების შემცველობის ზებაპლენა პარტოფილის ტუბერებზე მისი შენახვის პერიოდში	94
გ. დვალი, ნ. ლომთაძე, თ. ჭიპაშვილი. შენახვის დროს ვაშლის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფებში ქიმიური შედგენილობის ცვლილება.....	99
ი. სარჯველაძე, თ. კაჭარავა, მ. ლირსიაშვილი. ტანის ხეობის სუბალკური ზონის გუებრივი საკვები საბარგულები და მათი გაუმჯობესების ღონისძიებები.....	103
აგრორთა საზურადლებლები	107

CONTENTS

GEOPHYSICS

L. Shengelia, G. Kordzakhia, G. Tvauri, M. Dzadzamia. IMPACT OF CLIMATE CHANGE ON SMALL GLACIERS OF EAST GEORGIA.....	9
---	---

ECOLOGY

Ts. Basilashvili. THE ROLE OF FORESTS IN THE DEVELOPMENT OF THE BIOSPHERE IN THE CONTEXT OF GLOBAL WARMING.....	15
M. Glonti, R. Kavtaradze, T. Natriashvili. ON THE METHODS OF PERFECTION OF THE DIESEL WORKING PROCESS AND NEW, ALTERNATIVE PARTIALLY HOMOGENEOUS BURNING PROCESS	24

GEOCHEMISTRY OF NATURAL GASES

B. Mkheidze. ON THE CHEMICAL COMPOSITION AND DISTRIBUTION OF NATURAL GAS-SEEPAGES IN CANYON OF ADJARISTSKALI RIVER.....	41
---	----

METEOROLOGY

M. Pipia. SPATIAL AND TEMPORAL VARIATION OF THE NUMBER OF DAYS WITH HAIL IN THE TERRITORY OF KAKHETI.....	45
---	----

HYDROGEOLOGY

B. Mkheidze, A. Songulashvili, Z. Kakulia, I. Nanadze, M. Kopadze, L. Glonti. PERSPECTIVES OF REVELATION AND DEVELOPMENT OF MINERAL AND THERMAL WATERS RESOURCES IN CANYON OF ADJARISTSKALI RIVER	54
--	----

NEW TECHNOLOGIES

T. Megrelidze, G. Pirveli, G. Gugulashvili, V. Gvachiani. PERSPECTIVES OF SET UP THE NEW PETTY CONCERNS FOR REMAKE OF FOOD-PROPHYLACTIC VEGETABLE RAW MATERIALS.....	62
T. Megrelidze, G. Pirveli, G. Gugulashvili, G. Beruashvili, T. Isakadze. THE NEW DRYING PLANT WITH WORKING AGENT SOURCE PARAMETERS REESTABLISHMENT INNOVATION METHOD	67

ELECTRIC MECHANICAL ENGINEERING

A. Rikrikadze. THE POWER OF TWO-PHASE AND THREE-PHASE ELECTRICAL MACHINES	73
--	----

PHYSICAL GEOGRAPHY

R. Khazaradze, K. Kharadze, K. Tsikarishvili. ACTIVATION OF NATURAL-DESTRUCTIVE PROCESSES IN THE TERRITORY OF KAZBEGI MUNICIPALITY (DEVGORAKI GLACIAL-MUDFLOW CASE STUDY)	76
--	----

AGROMARKETING

M. Kobalava. CONCEPTUAL ASPECTS OF FORMATION OF AGROMARKETING	89
--	----

AGRICULTURE

T. Shamatava , L. Zviadadze. IMPACT OF NITRATES CONTENT ON POTATO TUBERS IN THE STORAGE PROCESS.....	94
---	----

G. Dvali, N. Lomtadze, T. Chipashvili. CHANGE OF CHEMICAL COMPOSITION IN DIFFERENT VARIETIES OF APPLES DURING STORAGE	99
--	----

I. Sarjveladze, T. Katcharava, M. Ghirsashvili. NATURAL FORAGE MEADOWLANDS OF TANA VALLEY SUBALPINE ZONE AND ACTIVITIES FOR THEIR IMPROVEMENT	103
--	-----

TO THE AUTHORS ATTENTION	107
---------------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

ГЕОФИЗИКА

Л. Д. Шенгелия, Г. И. Кордзахия, Г. А. Тваури, М. Ш. Дзадзамия. ВОЗДЕЙСТВИЕ ИЗМЕНЕНИЯ КЛИМАТА НА МАЛЫЕ ЛЕДНИКИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ	9
---	---

ЭКОЛОГИЯ

Ц. З. Басилашвили. РОЛЬ ЛЕСА В РАЗВИТИИ БИОСФЕРЫ НА ФОНЕ ГЛОБАЛЬНОГО ПОТЕПЛЕНИЯ	15
М. Г. Глонти, Р. З. Кавтарадзе, Т. М. Натриашвили. О МЕТОДАХ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ РАБОЧЕГО ПРОЦЕССА ДИЗЕЛЯ И О НОВОМ, АЛЬТЕРНАТИВНОМ, ЧАСТИЧНО-ГОМОГЕННОМ ПРОЦЕССЕ СГОРАНИЯ	24

ГЕОХИМИЯ ПРИРОДНЫХ ГАЗОВ

Б. С. Мхеидзе. О ХИМИЧЕСКОМ СОСТАВЕ И РАСПРОСТРАНЕНИИ ПРИРОДНЫХ ГАЗОПРОЯВЛЕНИЙ В УЩЕЛЬЕ Р. АДЖАРИСЦКАЛИ	41
---	----

МЕТЕОРОЛОГИЯ

М. Г. Пипиа. ПРОСТРАНСТВЕННО-ВРЕМЕННЫЕ ИЗМЕНЕНИЯ ЧИСЛА ДНЕЙ С ГРАДОМ НА ТЕРРИТОРИИ КАХЕТИИ	45
--	----

ГИДРОГЕОЛОГИЯ

Б. С. Мхеидзе, А. Т. Сонгулашвили, З. Г. Кацулия, И. В. Нанадзе, М. О. Копадзе, Л. Е. Глонти. ПЕРСПЕКТИВЫ УВЕЛИЧЕНИЯ И ОСВОЕНИЯ РЕСУРСОВ МИНЕРАЛЬНЫХ И ТЕРМАЛЬНЫХ ВОД УЩЕЛЬЯ Р. АДЖАРИСЦКАЛИ	54
---	----

НОВЫЕ ТЕХНОЛОГИИ

Т. Я. Мегрелидзе, Г. Т. Пирвели, Г. Л. Гугулашвили, В. В. Гвачлиани. ПЕРСПЕКТИВЫ СОЗДАНИЯ МАЛОМОЩНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ ПО ПЕРЕРАБОТКЕ ПИЦЕВО-ЛЕЧЕБНОГО РАСТИТЕЛЬНОГО СЫРЬЯ	62
---	----

Т. Я. Мегрелидзе, Г. Т. Пирвели, Г. Л. Гугулашвили, Г. Ш. Беруашвили, Т. А. Исакадзе. НОВАЯ СУШИЛЬНАЯ УСТАНОВКА С ИННОВАЦИОННЫМ МЕТОДОМ ВОССТАНОВЛЕНИЯ СУШИЛЬНОЙ СПОСОБНОСТИ РАБОЧЕГО АГЕНТА	67
---	----

ЭЛЕКТРОМАШИНОСТРОЕНИЕ

А. А. Рикригадзе. О МОЩНОСТИ ДВУХФАЗНОЙ И ТРЕХФАЗНОЙ ЭЛЕКТРИЧЕСКИХ МАШИН	73
---	----

ФИЗИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ

- Р. Д. Хазарадзе, К. П. Харадзе, К. Д. Цикаришвили.** АКТИВАЦИЯ СТИХИЙНО-РАЗРУШИТЕЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ НА ТЕРРИТОРИИ КАЗБЕКСКОГО МУНИЦИПАЛИТЕТА (НА ПРИМЕРЕ ДЕВДОРАКСКОГО ГЛЯЦИОСЕЛЕВОГО ПОТОКА)..... 76

АГРОМАРКЕТИНГ

- М. Кобалава.** КОНЦЕПТУАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ ФОРМИРОВАНИЯ АГРОМАРКЕТИНГА..... 89

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

- Т. Р. Шаматава, Л. Г. Звиададзе.** ВОЗДЕЙСТВИЕ СОДЕРЖАНИЯ НИТРАТОВ НА КЛУБНИ КАРТОФЕЛЯ ВО ВРЕМЯ ХРАНЕНИЯ..... 94
- Г. Ш. Двали, Н. А. Ломтадзе, Т. В. Чипашвили.** ИЗМЕНЕНИЕ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА РАЗНЫХ СОРТОВ ПЛОДА ЯБЛОК ПРИ ХРАНЕНИИ 99
- И. В. Сарджвеладзе, Т. О. Качарава, М. Р. Гирсиашвили.** ПРИРОДНЫЕ КОРМОВЫЕ УГОДЬЯ В СУБАЛЬПИЙСКОЙ ЗОНЕ ДОЛИНЫ ТАНА И МЕРОПРИЯТИЯ ДЛЯ ИХ УЛУЧШЕНИЯ 103
- К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ**..... 107

პლიმატის ცვლილების ზემოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარებზე*

ლარისა შენგელია, გიორგი კორძახია, გენადი თვაური, მურმან ძაძამია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი, გარემოს ეროვნული სააგენტო)

რეზიუმე: განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარებზე კლიმატის რეგიონული ცვლილების ზემოქმედება. ამ მყინვარების მახასიათებლები განსაზღვრულია თანამგზავრული დისტანციური ზონდირების და მყინვარების კატალოგის მონაცემების საფუძველზე. მყინვარების კატალოგში აღრიცხული აღმოსავლეთ საქართველოს 105 მცირე მყინვარიდან დედამიწის თანამგზავრული დაკვირვებებით იდენტიფიცირებულია 102 მყინვარი. კვლევებით დადგენილია აღნიშნულ რეგიონში პარას ტემპერატურის მატება 1°C -მდე დიაპაზონში ბოლო 50 წლის განმავლობაში. ჩატარებული კვლევებით განისაზღვრა, რომ 102 მყინვარიდან 27 (იდენტიფიცირებულის 26.5 %) კვლავ არსებობს, ხოლო 75 (იდენტიფიცირებულის 73.5 %) გაქრა ან გადაიქცა თოვლნარად.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ კლიმატის თანამედროვე ცვლილება მყინვარებზე დესტრუქციულად ზემოქმედებს.

საკვანძო სიტყვები: თანამგზავრული დისტანციური ზონდირება; კლიმატის ცვლილება; მცირე მყინვარები.

შესავალი

მყინვარები განსაკუთრებულ როლს ასრულებს კაცობრიობის ისტორიაში. მთის მყინვარები დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი საქართველოში და ისინი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ საქართველოს გარემოზე, კერძოდ, მათ დიდი წვლილი შეაქვთ მდინარეების წყლის რეჟიმის, კლიმატური პირობების, შავი ზღვის დონის ფორმირებაში.

ზომების მიხედვით, მყინვარები სამ ჯგუფადაა დაყოფილი: მცირე** (ფართობი – 0.1-დან 0.5 კმ²-მდე), საშუალო (ფართობი – 0.51-დან 2.0 კმ²-მდე) და დიდი ზომის (ფართობი – 2.01 კმ²-ზე მეტი) მყინვარებად [1]. არც ისე იშვიათია შემთხვევა, როდესაც მყინვარები დნობის ან აკუმულაციის გამო ერთიდან მეორე კატეგორიაში გადადის. მაგალითად, №72 მყინვარი, რომლის ფართობი 0.6 კმ²-ია, კატალოგის მიხედვით მიეკუთვნება საშუალო ზომის მყინვარს, ხოლო თანამედროვე მონაცემებით, მისი ფართობია 0.427 კმ² და ამჟამად მცირე ზომის მყინვარად ითვლება, რაც განპირობებულია

* პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი FR /586/9-110/13). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

** [1]-ში მოცემული საქართველოს მყინვარების სამ ჯგუფად დაყოფის ქვედა საზღვარი ავტორების მიერ არის დამატებული გამომდინარე იქდან, რომ კატალოგში აღრიცხული ყველა მყინვარის ფართობი 0.1 კმ²-ზე მეტია, ხოლო თოვლნარები არ განიხილება.

კლიმატის გლობალური დათბობით და შედეგად მყინვარების დნობით. 0.1 კმ² ფართობზე ნაკლები ზომის მყინვარები მიჩნეულია თოვლნარებად.*

კლიმატის გლობალური დათბობა ზოგადად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მყინვარებზე. განსაკუთრებით ნათლად ეს ვითარება ვლინდება მცირე მყინვარების შემთხვევაში.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია კლიმატის ცვალებადობის ზეგავლენით აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების მდგომარეობის შეფასება.

ძირითადი ნაწილი

აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების არჩევა განპირობებულია კლიმატის რეგიონული ცვლილების ზემოქმედების კარგი ინდიკაციით და კომპლექსური ინტეგრალური კვლევის შედეგად ამ მყინვარების მახასიათებლების საქმაოდ ვარგისიანი განსაზღვრით [2–6].

თანამგზავრული დისტანციური ზონდირების (ოდზ) მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარები განლაგებულია 2800 – 4260 მ სიმაღლეზე. მათი არსებობა ძირითადად განპირობებულია ოროგრაფიული და კლიმატური ფაქტორებით. მცირე მყინვარები განსაკუთრებით მგრძნობიარება კლიმატური ცვალებადობის მიმართ, რითაც ხასიათდება თანამედროვე ეპოქა.

ჩატარებული კვლევებით დაგინდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე შეინიშნება ჰაერის ტემპერატურის მატება 1 °C-მდე დიაპაზონში [7]. ბუნებრივია, რომ ტემპერატურული რეჟიმის მცირე ცვლილება, ანუ არსებულ ვითარებაში კლიმატური ნორმების უმნიშვნელო მდგრადი ზრდა, ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მცირე მყინვარების ზომებზე და ხშირად იწვევს ამ მყინვარების თოვლნარად გადაჭრებას ან სრულ დნობას.

ცალკე საკითხია, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მცირე მყინვარების ზომისა და სხვა პარამეტრების ცვლილების განსაზღვრა დროში. 1960–1970-იან წლებში საბჭოთა კავშირში საკმაოდ დიდი სამუშაო ჩატარდა მყინვარების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, რის საფუძველზეც შეიქმნა მყინვარების კატალოგი. მყინვარების კატალოგში საქართველოს მყინვარები ცალკე არ არის გამოყოფილი. ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის კავკასიის მყინვარულ სისტემაშია მოქცეული. საქართველოს მყინვარები განხილულია 1975 [8, 9] და 1977 [10, 11] წლებში გამოცემულ კატალოგებში. ფაქტორივად საბჭოთა კავშირის მყინვარების კატალოგი 50 წლის წინათაა შექმნილი, ხოლო დედამიწის თანამგზავრული დაკვირვებებით მცირე მყინვარების კვლევა მხოლოდ ამ და წინა ათწლეულების მონაცემებითავ შესაძლებელი. დროში ეს სხვაობა წინაპირობას ქმნის მყინვარების დინამიკის შესასწავლად. ცხადია, მიღებული შედეგები ასახავს კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზეგავლენას მყინვარების მდგომარეობაზე.

დღესდღეობით მცირე მყინვარების მდგომარეობის გარკვეული რეგულარული მიწისპირა დაკვირვებები ფაქტორივად შეუძლებელია. ამ მყინვარების შესწავლა დედამიწის თანამგზავრული დაკვირვებებით ეფექტური ალტერნატივაა მათი კვლევებისათვის და სხვადასხვა სამეცნიერო-პრაქტიკული ამოცანის გადაჭრისათვის.

სამუშაოების შესასრულდებლად გამოყენებულია მეთოდოლოგია, რომელიც ავტორების მიერ არის შემუშავებული [2–6]. მცირე მყინვარების კვლევისას წამოიჭრება ხოლმე სხვადასხვა ტიპის სირთულე, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადია თანამგზავრულ სურათზე ასახული მცირე მყინვარების იდენტიფიცირება მათი მცირე ზომების გამო. ამ პროცედურის გადასაჭრელად გამოყენებულია მყინვარების კატალოგში მოყვანილი სქემები, სადაც ნაჩვენებია მყინვარების და შესაბამის მდინარეთა აუზების მდებარეობა.

აღმოსავლეთ საქართველოს საიდენტიფიკაციო მყინვარები მყინვარების კატალოგის ექვს სქემაზეა დატანილი [8–10]:

* თოვლნარი ქარისა და მზის სხივებისაგან მოფარებულ ადგილებში შემორჩენილი თოვლის, ფირნისა და ყინულის გროვა. თოვლნარი სეზონურია, თუ ირგვლივ დადებულ თოვლზე უფრო მეტსახს ინახება, ხოლო მუდმივია, თუ მთელი წლის განმავლობაში არ დნება. თოვლნარი შეიძლება იყოს მყინვარის დეგრადაციით მიღებული ნარჩენი.

- 1-ლ სქემაზე დატანილია გაკოსა და პირიქითი ალაზნის მდინარეთა აუზების მყინვარები (№6–№19), რომლებიც მდ. პირიქითი ალაზნის აუზში მდებარეობს;
- მე-2 სქემაზე – მდ. ასას (საქართველოში მდ. არხოტისწყლის) აუზის მყინვარები (№1–№3);
- მე-3 სქემაზე – პირიქითი ალაზნის აუზის, პირიქითი ქედის სამხრეთი კალთის და აცუნტას ქედის აღმოსავლეთი კალთის მყინვარები (№20–№33);
- მე-4 სქემაზე – მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადების აუზების მყინვარები (№1–№27);
- მე-5 სქემაზე – მდინარეების – ფიაგდონის, გიზელდონის და თერგის ზემო წელის აუზების მყინვარები. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე თერგის ზემო წელის აუზის მყინვარები (№44–№111);
- მე-6 სქემაზე – მდ. არდუნის აუზის მყინვარები (№10–№150).

თდზ-ის მონაცემებით, მყინვარების მახასიათებლების დასადგენად პირველ რიგში საჭიროა მათი კონტურების დადგენა.

მულტისპექტრულ თანამგზავრულ მონაცემებთან ერთად რელიეფის ციფრული მოდელის (განსაზღვრული ASTER სენსორის მონაცემებით) და GIS პროგრამული საშუალებების გამოყენებით ჩატარდა მყინვარების:

- მდებარეობის განსაზღვრა და მათი იდენტიფიკაცია;

• კონტურების, ფართობის, მაქსიმალური სიგრძის, ქვედა და ზედა საზღვრის მდებარეობის დაზუსტება.

თდზ-ის მონაცემების ხარისხის კონტროლისათვის გამოიყენება საექსპერტო ცოდნა და მიწისპირა დაკვირვებები.

1-ლ სქემაზე დატანილია 14 მყინვარი, რომელთაგან 13 მცირე მყინვარია, ხოლო ერთი – №8 (ჩერო), კატალოგის მიხედვით, საშუალო ზომის მყინვარი (0.6 კმ²).

კატალოგის მონაცემების შედარებამ თდზ-ით მიღებული მყინვარების მონაცემებთან დაადასტურა, რომ 12 მცირე მყინვარის ფართობი შემცირებულია, №17 მცირე მყინვარის ფართობი არ შეცვლილა და ისევ 0.1 კმ²-ია. №7 და №13 მყინვარები თრ-ორადად დანაწევრებული და ჯამში 4 თოვლნარია წარმოქმნილი. ასევე 0.1 კმ²-ზე ნაკლები გახდა №16 მყინვარის ფართობი.

ამრიგად, 1-ლ სქემაზე მოყვანილი 13 მცირე მყინვარის ნაცვლად თანამგზავრულ სურათზე იდენტიფიცირებულია 15 მცირე მყინვარი და თოვლნარი. აქედან 10 მყინვარია და 5 – თოვლნარი.*

მყინვარების კატალოგის მე-2 სქემაზე წარმოდგენილი მყინვარების განხილვამ ცხადყო, რომ ორი მცირე ზომის მყინვარია, ხოლო ერთი – (№2) – საშუალო ზომის მყინვარი (0.6 კმ²). თდზ-ის მონაცემების მიხედვით, მცირე მყინვარების ფართობი შემცირდა, თუმცა შემცირების მიუხდავად, მათი ფართობი კვლავ 0.1 კმ²-ზე მეტია.

მყინვარების კატალოგის მე-3 სქემაზე მოყვანილი 14 მყინვარიდან 12 მცირე მყინვარია, ხოლო ორი – დაკვეთისა და ჩრდილოეთ ამჟამს მყინვარები (ფართობი, შესაბამისად, 0.9 კმ² და 0.6 კმ²) საშუალო ზომისაა. კვლავ მცირე მყინვარის ფართობი შემცირდა. აქედან სამი მყინვარი გაქრა, ხოლო 6 – თოვლნარად იქცა; ე. ი. შესაბამის თანამგზავრულ სურათზე იდენტიფიცირებული 12 მყინვარიდან კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზემოქმედების გამო დარჩა 3 მცირე მყინვარი, 6 თოვლნარი, ხოლო 3 მყინვარი გაქრა.

მყინვარების კატალოგის შესაბამის მე-4 სქემაზე მოყვანილი 27 მყინვარიდან 24 არის მცირე მყინვარი, ხოლო სამი – №8 (0.7 კმ²), №22 (1.8 კმ²), №26 – აბუდელაური (0.8 კმ²) – მიეკუთვნება საშუალო ზომის მყინვარს. მყინვარების კატალოგში მოყვანილი კვლავ მყინვარის ფართობი შემცირდა. თდზ-ის მონაცემებით, 24 მცირე მყინვარიდან დარჩა მხოლოდ ორი, 9 მყინვარი გადაიქცა თოვლნარად, ხოლო 13 მყინვარი გადნა. ე. ი. კლიმატის თანამედროვე ცვლილების ზემოქმედებით 24 მყინვარის ნაცვლად დარჩა 2 მყინვარი, 9 თოვლნარი, ხოლო 13 მყინვარი გაქრა.

* თანამგზავრულ სურათზე ფაქტობრივად იდენტიფიცირებულია 11 მცირე მყინვარი 10-ის ნაცვლად. საქმე ისაა, რომ მეორობრივ მცირე ზომის მყინვარი წარმოშვა საშუალო ზომის მყინვარის დნობით და კატალოგში მოყვანილ მცირე მყინვარებთან არაფერი აქვს საერთო. აქ და შემდგომ საშუალო ან დიდი მყინვარების დნობით დამატებით მიღებული მცირე მყინვარები არ განიხილება.

ქ-5 სქემაზე მოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს 68 მუნიციპალიტეტი, 10 – საშუალო მუნიციპალიტეტი და 48 – მცირე მუნიციპალიტეტი. თდზ-ის მონაცემებით 48 მცირე მუნიციპალიტეტი 3-ის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. დანარჩენი 45 მუნიციპალიტეტი 11 გაქრა, 26 თოვლნარად იქცა და 8 მცირე მუნიციპალიტეტი დარჩა.

თოვლნარად ქცეული 26 მუნიციპალიტეტი №95 დანაწევრდა 2 თოვლნარად, №103 – 3 თოვლნარად, №108 – 2 თოვლნარად. შესაბამისად, დამატებით წარმოიქმნა 4 თოვლნარი და მათი რაოდენობა გახდა 30.

8 მცირე მუნიციპალიტეტი დარჩენილი მუნიციპალიტეტი №85 მუნიციპალიტეტი დანაწევრდა ორ მცირე მუნიციპალიტეტი. ამდენად, მცირე მუნიციპალიტეტის რაოდენობა გახდა 9.

ამრიგად, კატალოგის 45 მცირე მუნიციპალიტეტი ნაცვლად თდზ-ის მონაცემებით იდენტიფიცირებულია 30 თოვლნარი, 9 მცირე მუნიციპალიტეტი, ხოლო 11 გაქრა.

ქ-6 სქემაზე მოყვანილი მდ. არღუნის აუზის მუნიციპალიტეტის განხილვისას გამოვლინდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 6 მცირე მუნიციპალიტეტი. თდზ-ის მონაცემების დამუშავების საფუძველზე დადგინდა, რომ №11 მუნიციპალიტეტი დანაწევრდა სამ (№11 a, №11 b, №11 c) მუნიციპალიტეტი, რომელთაგან ორი თოვლნარია, ხოლო ერთი №11 a, რომლის ფართობი 0.1 კმ²-ია, კვლავ მცირე მუნიციპალიტეტი. №12 მუნიციპალიტეტი დანაწევრების შედეგად იქცა ოთხ თოვლნარად. დარჩენილი მცირე მუნიციპალიტეტი გადნა და იქცა ასევე ოთხ თოვლნარად. ასე რომ, მუნიციპალიტეტის კატალოგში განხილული 6 მცირე მუნიციპალიტეტი თდზ-ის მონაცემებით დარჩა 1 მცირე მუნიციპალიტეტი და გაჩნდა 10 თოვლნარი.

თდზ-ის და კატალოგის მიხედვით მიღებული აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მუნიციპალიტეტის რაოდენობა თდზ-ის და კატალოგის მიხედვით

სქემის №	მცირე მუნიციპალიტეტი კატალოგის მიხედვით	თდზ-ის მონაცემები				
		არაიდენტი- ფიცირებული მცირე მუნიციპალიტეტი	იდენტიფიცირებული მცირე მუნიციპალიტეტი			
			მცირე მუნიციპალიტეტი	თოვლნარები	გამქრალი მუნიციპალიტეტი	სულ
1	13	0	10	5	0	15
2	2	0	2	0	0	2
3	12	0	3	6	3	12
4	24	0	2	9	13	24
5	48	3	9	30	11	50
6	6	0	1	10	0	11
სულ	105	3	27	60	27	114

დასკვნა

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა კავშირის კატალოგის მიხედვით, აღრიცხულია 105 მცირე მუნიციპალიტეტი. თანამგზავრული სურათის მიხედვით, მათგან სამი მცირე მუნიციპალიტეტი იდენტიფიცირება შეუძლებელია. მუნიციპალიტეტის დანაწევრებისა და გალვობის შედეგად მცირე მუნიციპალიტეტის რაოდენობა შეიცვალა. თანამგზავრული მონაცემებით, აღმოსავლეთ საქართველოში იდენტიფიცირებულია 114 მცირე მუნიციპალიტეტი, თოვლნარი და გამქრალი მუნიციპალიტეტი, რომელთაგან

- დარჩენილია 27 მცირე მუნიციპალიტეტი, ანუ იდენტიფიცირებულის 23.7 %;
- გადნა და თოვლნარად იქცა 60, ანუ იდენტიფიცირებულის 52,6 %;
- გაქრა, ე.ი. მთლიანად გადნა 27, ანუ იდენტიფიცირებულის 23.7 %;

საბჭოთა კავშირის მყინვარების კატალოგში აღრიცხული აღმოსავლეთ საქართველოს 105 მცირე მყინვარიდან იდენტიფიცირებულია 102. ამჟამად კლიმატის გლობალური დათბობის გამო ამ მყინვარებიდან დარჩა მხოლოდ 27 მცირე მყინვარი (26.5 %), რაც იმას ნიშნავს, რომ 75 (73.5 %) მცირე მყინვარი ან თოვლნარად იქცა, ან საერთოდ გაქრა.

ჩატარებული კვლევა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ კლიმატის გლობალური დათბობა წევარი ზემოქმედებას ახდენს აღმოსავლეთ საქართველოს მყინვარებზე. ეს ვითარება განსაკუთრებით ვლინდება მცირე მყინვარების შემთხვევაში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების დაახლოებით 3/4 მთლიანად ან ნაწილობრივ გადნა კლიმატის რეგიონული ზემოქმედების შედეგად.

თუ გავითვალისწინებთ კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების შეფასებებს [7], რომელთა მიხედვითაც ხდება პაერის ტემპერატურის აქსელერაცია დროში, დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენილი მცირე მყინვარები მთლიანად გადნება, თუმცა მათ გარკვეულწილად ჩაანაცვლებს საშუალო და დიდი მყინვარების დანაწევრებით და დნობით მიღებული მცირე მყინვარები. მთლიანობაში აღნიშნული პროცესი უარყოფით ზეგავლენას მოახდენს გარემოს მულტიკომპონენტურ სისტემაზე, რამაც შესაძლოა შეუქცევადი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. რ. გობეჯიშვილი, ვ. კოტლიაკოვი. გლაციოლოგია (მყინვარები). თბ.: უნივერსალი, 2006, - 292 გვ.
2. ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია. სუათისის მყინვარების კვლევის შედეგები თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 120, თბ., 2014, გვ. 52–56.
3. G. Kordzakhia, L. Shengelia, G. Tvauri, V.Tsomaia, M. Dzadzamia. Satellite remote sensing outputs of the certain glaciers in the territory of East Georgia. The Egyptian Journal of Remote Sensing and Space Sciences. Vol.18, Issue 1, 2015, p. S1–S7.
4. ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, ვ. ცომაია, მ. ძაძამია. თანამგზავრული დისტანციური ზონდირების საფუძველზე აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების კვლევა. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 121, თბ., 2015, გვ. 104–111.
5. Шенгелия Л. Д., Кордзахия Г. И., Тваури Г. А. Методология и результаты исследования некоторых ледников Грузии на основе дистанционного зондирования. Коллективная монография по материалам Международной научно-практической конференции LXVIII Герценовские чтения 22–25 апреля 2015 года, посвященной 70-летию создания ЮНЕСКО, С.-П., 2015, с. 117–124.
6. ლ. შენგელია, გ. კორძახია, გ. თვაური, მ. ძაძამია. აღმოსავლეთ საქართველოს მცირე მყინვარების კვლევა თანამგზავრული დისტანციური ზონდირების და GIS ტექნოლოგიების გამოყენებით//შეცნიერება და ტექნოლოგიები, №2 (719), 2015, გვ. 9–10.
7. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება. UNDP in Georgia, თბ., 2015, - 292 გვ.
8. Панов В. Д., Боровик Э. С. Каталог ледников СССР. Т. 8, ч. 12, Северный Кавказ, Л.: Гидрометеоиздат, 1977.
9. Цомая В. Ш., Дробышев О. А. Каталог ледников СССР. Т. 8, ч. 11, Северный Кавказ, Л.: Гидрометеоиздат, 1977.
10. Цомая В. Ш. Каталог ледников СССР. Т. 9, вып. 3, ч. 1, Закавказье и Дагестан, Л.: Гидрометеоиздат, 1975.
11. Маруашвили Л. И., Курдгелаидзе Г. М., Лашхи Т. А., Инашвили Ш. В., Табидзе Д. Д. Каталог ледников СССР. Т. 9, вып. 1, ч. 2–6, Л.: Гидрометеоиздат, 1975.

IMPACT OF CLIMATE CHANGE ON SMALL GLACIERS OF EAST GEORGIA**L. Shengelia, G. Kordzakhia, G. Tvauri, M. Dzadzamia**

(Hydrometeorological Institute of Georgian Technical University, M. Nodia Institute of Geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University, National Environmental Agency)

Resume: There is considered the impact of climate change on small glaciers of eastern Georgia regional. The characteristics of these glaciers are determined on the basis of satellite remote sensing data and catalogue of glaciers. From the 105 small glaciers of eastern Georgia according to the catalogue 102 are identified based on the satellite remote sensing. In this region, the global warming is defined, namely an increase of air temperature in the range of 1°C. The calculations show, that from total number (102) of glaciers only 27 glaciers (27.5 % of identified) are existing and 75 (73.5% of identified) glaciers disappeared or turn into snow-field.

All above mentioned indicates the destructive impact of modern climate change on the glaciers development.

Key words: climate change; satellite remote sensing; small glaciers.**ВОЗДЕЙСТВИЕ ИЗМЕНЕНИЯ КЛИМАТА НА МАЛЫЕ ЛЕДНИКИ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ****Шенгелия Л. Д., Кордзахия Г. И., Тваури Г. А., Дзадзамия М. Ш.**

(Институт гидрометеорологии Грузинского технического университета, Институт геофизики М. Нодия Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили, Национальное агентство окружающей среды)

Резюме: Рассмотрено воздействие регионального изменения климата на малые ледники Восточной Грузии. Характеристики этих ледников установлены на основе данных спутникового дистанционного зондирования и каталога ледников. Из 105 малых ледников Восточной Грузии по каталогу ледников, по спутниковым наблюдениям идентифицированы 102.

В указанном регионе установлено глобальное потепление, т. е. увеличение температуры воздуха в диапазоне до 1 °C. Расчеты показывают, что из общего числа (102) ледников только 27 ледников (27.5 % идентифицированных) все еще существуют, а 77 (т. е. 73.5 % идентифицированных) ледников исчезли или превратились в снежники.

Все вышеуказанное указывает на деструктивное воздействие современного изменения климата на развитие ледников.

Ключевые слова: изменение климата; малые ледники; спутниковое дистанционное зондирование.

ტყის საფრის როლი ბიოსფეროს ბანკითარებაში გლობალური დათბობის ზონები

ცისანა ბასილაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი)

რეზიუმე: გლობალური დათბობის მთავარი მიზეზი ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატებული შემცველობაა. მისი შთანთქმა შეუძლია მხოლოდ მწვანე მცენარეს ფოტოსინთეზის საშუალებით. ამის შედეგად წარმოიქმნება ქანგბადი, რომელიც დედამიწაზე ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობის მთავარი წყაროა. აღნიშნულია, რომ ტყის საფარი არის პაერის მტკრისგან გამწმენდი ძლიერი ფილტრი.

მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ტყე არის მთავარი დამცავი ფაქტორი წყლისა და ნიადაგის რესურსებისა და ერთგვარი საბრძოლო საშუალება სხვადასხვა სახის კატასტროფების (წყალდიდობები, ღვარცოფები, ზვავები, მეწყერი, ეროზია და სხვ) წინააღმდეგ. მათი თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ყველგან ტყის საფრის გამრავლება.

საკვანძო სიტყვები: ანთროპოგენური პროცესები; ბუნებრივი რესურსების დაცვა; ქანგბადი; ფოტოსინთეზი.

შესავალი

XXI საუკუნის დასაწყისში კლიმატის დათბობის გააქტიურების შედეგად დედამიწაზე დროსა და სიგრცეში მიმდინარეობს კრიზისული ანომალიები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს გარე მოზე – ირდვევა ეკოლოგიური წონასწორობა და იცვლება გარემო პირობები. განსაკუთრებით შემცირდა მტკნარი წყლისა და მიწის რესურსები. არამარტო მცირდება მათი რაოდენობა, არამედ უარესდება მათი ხარისხიც.

კლიმატის ცვლილებამ დიდი ზიანი მიაქვნა მრავალ ქვეყანას, სადაც გახშირებულმა კატასტროფულმა ბუნებრივმა მოვლენებმა გამოიწვია დიდი ნგრევა და ზარალი, იყო მრავალი მსხვერპლიც. კერძოდ, ინტენსიური თავსიმა წვიმების შედეგად გააქტიურდა ისეთი სტიქიურ-დამანგრეველი პროცესები, როგორიცაა წყალდიდობა-წყალმოვარდნები, ღვარცოფები, მყინვარები და თოვლის ზვავები, მეწყერები და ეროზიული პროცესები. გარდა ამისა, ზოგან გახშირებულმა გააღვენდა გამოიწვია მოუსავლიანობა და გაუდაბნოება.

ასეთი პრობლემები ზრდის იმ დანახარჯებს, რომლებიც თან ახლავს ზემოაღნიშნულ პროცესებს. ეს მსოფლიო საზოგადოებას სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს. საჭიროა გარემოს დამცავი ისეთი დონისძიებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური წონასწორობის მდგრადობას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას. ადამიანმა თავის ქმედებაში უნდა გაითვალისწინოს ბუნებრივი მოვლენების ცვალებადობა და მიზნად დაისახოს მოსალოდნელი კატაკლიზმების თავიდან აცილება. სწორედ ამიტომა, რომ სადღეისოდ მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსათვის კლიმატის ცვლილების პროცესის შესარბილებლად სხვადასხვა სახის დონისძიებათა გატარება უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

ძირითადი ნაწილი

ჩვენს პლანეტაზე XX საუკუნიდან დაწყებული კლიმატის გლობალური დათბობა დაკავშირებულია ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მომატებულ შემცველობასთან, რომელიც თავისუფლად ატარებს მზის სხივებს დედამიწაზე, მაგრამ აკავებს მისი ზედაპირიდან არეკლილ თბურ გამოსხივებას და ამის გამო თბება ატმოსფეროს ქვედა ფენები. შედგებად, თუ 1890 წელს დედამიწაზე ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა იყო $14,5^{\circ}\text{C}$, 1990 წელს იგი გახდა $15,1^{\circ}\text{C}$, ანუ 100 წლის განმავლობაში ის $0,6^{\circ}\text{C}$ -ით გაიზარდა.

კლიმატის ცვლილება და მისი გამომწვევი მიზეზები. მოსალოდნელი პროგნოზით, XXI საუკუნის მეორე ნახევარში ჰაერის ტემპერატურამ დედამიწაზე შესაძლოა $1,5 - 2,0^{\circ}\text{C}$ -ით მომატოს, რასაც მოპყვება არქტიკისა და ანტარქტიდის მყინვარების დნობის შედეგად მსოფლიო ოკეანის დონის აწევა და ოკეანისპირა ტერიტორიების დატბორვა. შემცირდება მტერნარი წყლის რესურსები, შეიცვლება კლიმატი, გაიზრდება ჰაერის ტენიანობა, გახშირდება თავსხმა წვიმები და წყალდიდობები. ამასთანავე გაიზრდება გვალვიან დღეთა რაოდენობა, გაძლიერდება გაუდაბნოების პროცესი. გადაშენება ემუქრება მცენარეთა და ცხოველთა გარკვეულ სახეობებს.


გლობალური დათბობით გამოწვეული პროცესები განსაკუთრებით ნებატიურად აისახება მთიან რეგიონებში, სადაც უფრო გამძაფრდება ეროზიული და მეწყრული მოვლენები, ნიადაგის გადარეცხვა, კატასტროფული წყალდიდობები, დვარცოფები, თოვლ-მყინვარული ზვავები და ქვათა ცვენები.

ასეთი გართულებული კოლოგიური მდგომარეობა შეიძლება აისხნას ნაწილობრივ მზის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების გააქტიურებით, ნაწილობრივ კი დედამიწის გარშემო არსებული აიროვანი ოზონის შრის დარღვევით, რომელიც მცირე სისქის ($3,5 \text{ mm}$) ერთგვარ ფარს წარმოადგენს და იცავს დედამიწაზე ბიოსფეროს მზის მავნე გამოსხივებისაგან. სწორედ ოზონის შრის რღვევა იწვევს დედამიწაზე მზის ულტრაიისფერი გამოსხივების დონის ზრდას, რასაც უკავშირებენ სიმსივნური დავადებების გახშირებასა და ხმელეთის ზედაპირთან ატმოსფერული ტემპერატურის მომატებას.

გარდა ამისა, კლიმატის ცვლილების მთავარ მიზეზად მიჩნეულია დედამიწაზე მიმდინარე აქტიური ანთროპოგენური პროცესები მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებით, რომლებმაც მრავალ სიკეთესთან ერთად შექმნა გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების თვითგანადგურების ალბათობა. სწორედ ტექნიკურ სიახლეებთან იყო დაკავშირებული ნობელის პრემიის ლაურეატი შვედი სვანტე არენიუსის წინასწარმეტყველება დედამიწაზე გლობალური დათბობის შესახებ, რომელმაც ჯერ კიდევ 1893 წელს აღნიშნა, რომ რაც უფრო მეტი ნახშირორჟანგიანი აირი მოხვდება ატმოსფეროში, დედამიწა მით უფრო გახურდება [1].

სადღეისოდ მსოფლიო მასშტაბით კურადღება გამახვილდა სწორედ კლიმატის დათბობის გამომწვევ ე.წ. “სითბურ ეფექტზე”, რომელშიც მონაწილეობს ძირითადად ნახშირორჟანგი; იგი მავნებელია კველა ცოცხალი ორგანიზმისათვის. მისი მომატება იწვევს ადამიანის მაჯისცემის შენელებას, თავის ტკივილს, გულისრევას, გულერას და ორგანიზმის მოწამვლას. გამოანგარიშებულია, რომ მსოფლიოში ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებით ნახშირორჟანგი ატმოსფეროში ყოველწლიურად 20 mm -ით მატულობს. ის გამოიყოფა აგრეთვე ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეთა სუნთქვისას, სხვადასხვა ნივთიერებათა წვისას, კულტანების ამოფრქვევისას და სხვ. ადამიანი ერთი საათის განმავლობაში $22,6 \text{ ℓ}$ ნახშირორჟანგს გამოყოფს.

ტექ და სიცოცხლე დედამიწაზე, დედამიწაზე ერთადერთი ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია ნახშირორჟანგის შთანთქმა, არის მცენარე მხელოდ მისი საშუალებით ხდება ფოტოსინთეზი, რომლის დორსაც მზის სხივები ენერგია გარდაიქმნება ქიმიურ ენერგიად და წარმოიქმნება ორგანული ნივთიერება, როდესაც ორი არაორგანული შენაერთის – ნახშირორჟანგისა და წყლის მოლექულები იხლიჩება და ხელახლა შეერთების დროს წარმოიქმნება გლუკოზის მოლექულა, შემდეგ კი გამოიყოფა თავისუფალი ქანგბადი. ფოტოსინთეზის პროცესი, ანუ მწვანე მცენარეების მიერ გარემოს არაორგანული კომპონენტებისაგან ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა, ქიმიურად ასე გამოისახება [2]:



ეს განტოლება ზოგად წარმოდგენას იძლევა ფოტოსინთეზის შესახებ, რადგან იგი სინაზდვილეში შედგება მრავალი რეაქციისაგან. ფოტოსინთეზის პროცესის შესახებ ადამიანმა შეიტყო 1771 წელს და დაიწყო მისი შესწავლა [3].

უხსოვარ დროში პირველ მცენარეებს დედამიწაზე ლურჯ-მწვანე ფერის წყალმცენარეები წარმოადგენდა, რომლებიც მზის ენერგიას გარდაქმნიდა ქიმიურ ენერგიად, რაც ხელს უწყობდა თვით მცენარისა და მისი ნაცოფების ზრდა-განვითარებას. მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ დედამიწაზე წლის განმავლობაში 1 ჰა ფართობზე 10 მლრდ კკალ მზის სხივების ენერგია მოდის, რომელსაც მცენარე მოიხმარს ფოტოსინთეზისათვის [4]. მრავალი მილიონი წლის შემდეგ დედამიწაზე განვითარდა მცენარეთა სხვადასხვა სახეობა. ისინი ქმნიან ორგანულ მასას და ამდიდრებენ დედამიწის ატმოსფეროს ჟანგბადით, რამაც შექმნა დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმებისათვის აუცილებელი საარსებო პირობები; ე. ი. მცენარეთა მიერ შექმნილი მთელი მასა არის პირველადი ბიოლოგიური პროდუქცია ცხოველებისა და ადამიანთა გამოსაკვებად [5].

ა. რიაბჩიკოვის მონაცემებით, დედამიწის, როგორც ხმელეთის, ასევე ოკეანეების მცენარე ულობა წლიურად ითვისებს დაახლოებით 5×10^{10} ტ ნახშირბადს, კ.ი. შთანთქავს $1,8 \times 10^{11}$ ტ ნახშირორჟანგს, შლის $1,3 \times 10^{11}$ ტ წყალს, გამოყოფს $1,2 \times 10^{11}$ ტ მოლეკულურ ჟანგბადს და აგროვებს 4×10^{17} კკალ მზის ენერგიას [6].

ამრიგად, ხმელეთისა და წლის მწვანე მცენარეულობა და მსოფლიო ოკეანეების ფიტოპლანქტონი წარმოადგენს ერთადერთ ბუნებრივ “ლაბორატორიას”, რომელიც ატმოსფეროში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის რაოდენობას არეგულირებს. გამოანგარიშებულია, რომ ჟანგბადის მოელი 50 – 60 % ხმელეთის მცენარეულობის მიერ გამოიყოფა, ხოლო დანარჩენი ფიტოპლანქტონის მიერ. ტყის მიერ გამოყოფილი ჟანგბადი უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე ოკეანეებისა და ზღვების პლანქტონის ჟანგბადი, რადგან ტყის ჟანგბადი უფრო მეტადაა დამუხტული უარყოფითი იონებით, რაც ზრდის ტყის სამჟურნალო-გამაჯანსადებელ თვისებებს, რადგან ექსპერიმენტულად დადასტურებულია უარყოფითი იონიზაციის კეთილისმყოფელი გავლენა ადამიანების ორგანიზმები.

გამოანგარიშებულია, რომ 1 ჰა ტყე 1 სთ-ში იმდენ ნახშირორჟანგს შთანთქავს, რამდენსაც 1 სთ-ში 200 ადამიანი ამოისუნთქავს. ერთი წლის განმავლობაში 1 ჰა შერეული ტყე ატმოსფეროში შთანთქავს 15 ტ ნახშირორჟანგს და გამოყოფს 13 ტ ჟანგბადს [5]. ცნობილია აგრეთვე, რომ სინათლის მოყვარულ მცენარეებში ფოტოსინთეზის პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს, ვიდრე ჩრდილის ამტან მცენარეებში. ფიჭვის კორომი უფრო მეტი რაოდენობის ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნაძვისა.

ადამიანის მიერ ჟანგბადის გამოყენება დამოკიდებულია ასაგზე, მასაზე, სქესსა და მისი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. მედიცინაში ცნობილია, რომ ადამიანს მოსვენებულ მდგომარეობაში ერთ წუთში $0,35 - 0,40$ ლ ჟანგბადი სჭირდება, მუშაობის დროს კი – 5 ლ/წ. ადამიანი დღე-დღამეში საშუალოდ $500 - 600$ ლ ჟანგბადს ხარჯავს. ჟანგბადის მოხმარეების ოპტიმალური ნორმის უზრუნველსაყოფად ერთ სულ მოსახლეზე ტყის ფართობი $0,3$ ჰა-ს მაინც უნდა შეადგენდეს [5].

მიუხედავად იმისა, რომ ხე-მცენარეებზე ყველა სხვა მცენარეთა ნაირსახეობების 1 %-ზე ნაკლები მოდის, ისინი ქმნიან ადამიანისათვის ძვირფას ბუნებრივ რესურსს – ტყეებს, რომლებიც იძლევა ხმელეთის ფიტომასის თოთქმის 90 %-ს და მისი პროდუქტიულობის 64 %-ს [2, 5].

ამრიგად, მცენარეული საფარი წარმოადგენს ჟანგბადის, საკეტისა და ენერგიის წყალის და მაშასადამე, ადამიანებისა და ცხოველთა სამყაროს არსებობა დამოკიდებულია ტყის საფრის მდგომარეობაზე. სწორედ ტყე ინახავდა, იცავდა და კვებავდა პირველყოფილ ადამიანებს.

ბიბლიოდან ცნობილია, რომ დმერთმა სამყაროს შექმნის შვიდდღიანი ციკლის დროს მრავალ საოცრებათა შორის მესამე დღეს ტყეც მოავლინა და ყველა უნაყოფო ხესთან ცული მიაყედა. ამით მან ადამიანს მოუმზადა ეკოლოგიური გარემო და მერქნით სარგებლობის უფლება განუსაზღვრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ადრე ფიქრობდნენ, რომ ტყის, წლისა და პაერის რესურსები ამოუწურავია და კაცობრიობას მუდმივად ეყოფოდა. ამიტომ ადამიანები არ უფრთხილდებოდნენ მათ და ტყესაც უმოწყალოდ ანაღგურებდნენ. ამის გამო დედამიწის პაეროვანი გარსი და მისი შემადგენელი ერთერთი მთავარი ნაწილი – ჟანგბადი, მიუხედავად მისი კოლოსალური ოდენობისა (15×10^{14} ტ) და საყოველთაო გავრცელებისა, არარაციონალური და უდიერი გამოყენების შედეგად მცირდება და ვარაუდობენ, რომ მომავალშიც მისი მოხმარეების თანამედროვე ტემპის შენარჩუნების პირობებში 1,5

- 2,0 საუკუნის შემდეგ ქანგბადის რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს ადამიანის არსებობისათვის კრიტიკულ დონემდე.

ტყის რესურსები და მათი გავლენა. ტყე ბიოსფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი წარმოადგენს ეკოსისტემების რთულ ერთობლიობას, რომელშიც შედის ნიადაგი, წყალი, ჰაერი, სიობო, მცენარეული საფარი, ცხოველთა და ფრინველთა სამყარო და მიკროორგანიზმები.

ტყე ხელს უწყობს გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებასა და რეგულირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი გარემოსდაცვითი ფუნქციები. ტყე ჰავის ფორმირების მძლავრი ფაქტორია.

რამდენიმე ასეული წლის წინათ ტყეების ფართობი დედამიწაზე 7,2 მლრდ ჰა-ს აღწევდა, რაც ხმელეთის 48 %-ს მოიცავდა. ამჟამად მცენარეული საფრით შემოსილი ხმელეთის 12,2 მლრდ ჰა-დან ტყეების ფართობი შეადგენს 4,1 მლრდ ჰა-ს. აქედან ხე-მცენარეებით დაფარულია მხოლოდ 3,8 მლრდ ჰა, ხოლო დანარჩენი უჭირავს ბუჩქნარებს, ჭაობებსა და კლდეებს [7].

ცოცხალი ტყეების ფიტომასის საერთო რაოდენობა შეადგენს 1509 მლრდ ტ-ს, საიდანაც 25 % (377 მლრდ ტ) მოდის ფეხვებზე, ფოთლებსა და ნაყოფებზე, ხოლო დანარჩენი 1132 მლრდ ტ მერქანს წარმოადგენს. მერქანის მსოფლიო მარაგი კუბურ მეტრებში შეადგენს 360 მლრდ მ³-ს, რომლის წლიური ნამატი (პროდუქტიულობა) 3200 მლნ მ³-ია [2].

ტყე უდიდეს როლს ასრულებს სამეურნეო საქმიანობაში. იგი წარმოადგენს მერქანის ნედლეულის წეაროს, რომელიც უხვად გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ხე-ტყეს იყენებენ საშენ მასალად და ჯერ კიდევ სათბობად, ტყე იძლევა აგრეთვე საკვებ და სამეურნალო პროდუქტებს, მისგან დებულობენ ტექნიკურ და საკვებ ზეთებს.

დიდია ტყეების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და სტაბილურობის მიღწევის საქმეში. მინდორსაცავი ტყის ზოლების არსებობის შემთხვევაში მოსავლიანობა იზრდება საშუალოდ $20 - 25 \%$ -ით [8]. ამ მხრივ ტყეების მნიშვნელობაზე მკაფიოდ მეტყველებს [9] ნაშრომის მონაცემები: ტყის ზოლების ყოველი ჰექტარი ქარისაგან იცავს საშუალოდ $30 - 40$ ჰა მინდორს. აქედან მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე $2 - 3$ ც-ით იზრდება. ასეთი დაცული ტერიტორიიდან შეიძლება დამატებით მივიღოთ $60 - 80$ ც მარცვლეული და $8 - 10$ წლის შემდეგ მთლიანად ანაზღაურდება ტყის ზოლების გაშენებაზე გაწეული ხარჯები. განსაკუთრებით მკეთრად ვლინდება ტყის ზოლების გავლენა გვალვიან წლებში. ტყის ამ დადებით თვისებას შესანიშნავად ასახავს ნათქვამი: “ტყე ქმნის წყალს, წყალი – მოსავალს, მოსავალი კი – სიცოცხლეს”.

ტყეში თითქმის ყველა ხე-მცენარე გამოყოფს აქროლადი არომატული ეთეროვანი ნივთიერებების ფიტონციდებს. აღსანიშნავია, რომ წიწვოვანთა მიერ გამოყოლი ფიტონციდები ანტი-მიკრობული მოქმედების ფართო სპექტრით ხასიათდება. ისინი ახშობენ მრავალი მიკრობისა და ვირუსის ზრდასა და განვითარებას, რითაც უმჯობესდება გარემო, იწმინდება და ჯანსაღდება ჰაერი მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, 1 ჰა ფიჭვის კორომი სავეგეტაციო პერიოდში გამოყოფს $650 - 1100$ კგ ფიტონციდს და $400 - 450$ კგ არომატულ ნახშირწყალბადს, არყოს კორომი კი $430 - 650$ კგ ფიტონციდს და $200 - 320$ კგ ნახშირწყალბადს. ამის შედეგად ტყეში მცირდება ბაქტერიები და მიკრობები. ტყეში 1 მ³ ჰაერი შეიცავს 500-მდე პათოგენურ ბაქტერიას, მაშინ როდესაც ქალაქის 1 მ³ ჰაერში 36 ათასი ბაქტერიაა. გამოანგარიშებულია, რომ ხმელეთის მცენარეულობა ყოველწლიურად 175 მლნ ტ არომატულ ეთეროვან ზეთებს გამოყოფს.

დიდი მნიშვნელობა აქს აგრეთვე ტყის უნარს შთანთქას სხვადასხვა სახის ხმაურის შთანთქმის უნარი დამოკიდებულია ტყის შედგენილობაზე, აღნაგობაზე, ხნოვანებაზე, სიხშირეზე, შერეულ შედგენილობაზე. მრავალსართულიანი აღნაგობის მაღალი სიხშირის კორომები ხასიათდება ხმაურის შთანთქმის დიდი მაჩვენებლით.

გამოანგარიშებულია, რომ მრეწველობა წლის განმავლობაში მცენარეული საფრის მიერ გამოყოფილი ქანგბადის 23% -ს შთანთქას, რაც 43 მლრდ ადამიანის სუნთქვის წლიური ნორმაა. საშუალო სიმძლავრის ავტომანქანას $900 - 1000$ კმ-ის დასაფარად სჭირდება იმდენი ქანგბადი, რამდენიც ერთ ადამიანს ერთი წლის განმავლობაში [5].

ჩვენს ეპოქაში ატმოსფეროს ქვედა ფენები, გარდა ნახშირორჟანგისა, სისტემატურად ჭუჭყი-ანდება ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ქიმიური და მექანიკური მინარევებით. ატმოსფეროში მტვერი არის კვამლის, მიწისა და ორგანული წარმოშობისა და შედგება მიწის უმცირესი ნაწილაკებისაგან, სამრეწველო-სატრანსპორტო წარმოების ნარჩენებისაგან, მიკრო-ორგანიზმების უმცირესი ნაწილაკებისაგან და სხვ. პაერის სანიტარიულ-პიგიური პირობები ძირითადად აღნიშნული ელემენტების შემცველობით განისაზღვრება.

მტვერი პაერში ამცირებს მზის ულტრაიისფერ გამოსხივებას, პაერის გამჭვირვალობას, ცვლის იონიზაციის ხარისხს და სხვ. მტვრის ზემოქმედებით ადამიანის სასუნთქი თრგანოვები ავადდება. ადამიანი დღე-დამის განმავლობაში 20 წ³ პაერს ჩაისუნთქავს და, თუ ეს პაერი მტვრი-ანია, ის მრავალი დაავადების (მოწამვლა, ასთმა, ცხვირის ლორწოს ატროფია, ეროზია და სხვ.) მიზეზი ხდება. ამიტომ სადღეისოდ მეტად მნიშვნელოვანია პაერში მტვრის ნაწილაკებისა და სხვა მავნე აირების შემცველობის გაუვნებელყოფა.

ამ შემთხვევაშიც ძირითად “მაშველად” გვევლინება ტყის საფარი, რომელიც მტვრისაგან პაერის გამწმენდი ძლიერი ფილტრია. გამოანგარიშებულია, რომ 1 ჰა ტყე წლის განმავლობაში 50 – 70 ტ მტვერს ფილტრავს. ამ მხრივ გამოირჩევა: წიფლის კორომი, რომლის 1 ჰა ფართობი უველ-წლიურად 68 ტ მტვერს ფილტრავს, მუხის კორომი – 56 ტ-ს, ფიჭვის კორომი – 36 ტ-ს, ნაძვის კორომი – 32 ტ-ს [5]. ამასთან, ტყე არეგულირებს მიკროკლიმატს. ის დადებით გავლენას ახდენს პაერის ტენიანობაზე, ტემპერატურასა და პაერის მოძრაობაზე (ქარი). ტყეში იქმნება ყველაზე კომფორტული პირობები ადამიანთა დასვენებისათვის. ასე რომ, კურორტების სამკურნალო გამაჯანსადებელი თვისებები დიდადაა დამოკიდებული ტყეებზე. ტყის გარემო სანიტარიულ-პიგიური პირობების გაუმჯობესების ძლიერი ფაქტორია და ამის გამო მას უწოდებენ სასიცოცხლო “მწვანე ფილტვებს”. გარდა ამისა, ტყეების ბუნებრივი ლანდშაფტების სილამაზე, ნაირგვარობა, ურთიერთშესამება და მიმზიდველობა დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფიქიურ მდგომარეობაზე, მისი განწყობის, შრომის უნარის აღდგენისა და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სწორედ ამიტომ კურორტების, სამკურნალო და დასასვენებელი სახლების უდიდესი უმრავლესობა ტყეებშია განლაგებული.

ტყე არეგულირებს წყლის რეჟიმს დედამიწაზე, ამცირებს ზედაპირული წყლის ნაკადის სიჩქარეს და წყალდიდობების საშიშროებას, ზრდის წყლის ნიადაგში ჩაუონვის პირობებს და მათ გამოსავლებს წყაროების სახით მომატებული დებიტით. დადგენილია, რომ ტყე ფილტრავს და ასუფთავებს გრუნტის წყლებს [10].

განუზომელია ტყის მნიშვნელობა მთიან რეგიონებში, სადაც ტყის ზემოთ აღწერილ მრავალმხრივ დანიშნულებას ემატება კიდევ სხვა უამრავი დაცვითი სახის ფუნქციები. ტყე მთებში არეგულირებს მდინარეთა ჩამონადენს. სტაციონარული დაკვირვებებით დადგინდა, რომ მაღალი სიხშირის (>0,8) მთის ტყე წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების მოვალეობას ნიადაგის სიღრმეში, რითაც არეგულირებს თხიერ ზედაპირულ ჩამონადენს, აუმჯობესებს წყლის ბალანსს და იცავს მდინარეს დაშრობისაგან [11]. მთავარი კი არის ის, რომ ტყეები მთებში იცავს დასახლებულ ადგილებს და მოსახლეობას, გზებს, მინდვრებსა და ნიადაგს ისეთი საშიში სტიქიური მოვლენებისაგან, როგორიცაა წყალდიდობა-წყალმოვარდნები, დვარცოფები, მეწყრები, ზვავები, ეროზია და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნული დადებითი თვისების გამო ტყეებს თვალისწინებით გაფრთხილება სჭირდება. მსოფლიოს ყოველ ერთ მცხოვრებზე საშუალოდ მოდის დასახლეობით 0,6 – 0,7 ჰა ტყე და 1,2 ჰა ბალანის საფარი, რომლებიც მოსახლეობის ზრდის პარალელურად კლებულობს. დასახლებების, ტექნიკისა და სამეურნეო დარგების განვითარებასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება ხის მერქანზე. ამიტომ უმოწყალოდ იჩენებოდა ტყეში ხეები. დედამიწაზე სულ გაჩეხილ იქნა ტყის მასივების 2/3. შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა და ზოგან განადგურდა ტყის საფარი. ამჟამად ტყეს უკავია ხმელეთის 28 %. ტყეების გაჩეხების თანამედროვე ტემპი თუ მომავალშიც გაგრძელდა და ნატყევარებზე აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარდა, ადამიანი 2–3 საუკუნეში აითვისებს ტყეების მთელ მარაგს. აღრე ბუნება ახერხებდა მცენარეულ საფარზე ადამიანთა მოთხოვ-

ნილების დაქმაყოფილებას. მომავალში იგი დაფუძნებულ უნდა იქნეს ბრძნულ რჩევაზე: “რასაც დასთეს, იმას მოიმკი”.

სადღეისოდ ტექნოგენიზაციის დიდმა მასშტაბებმა ბუნებაში გამოიწვია მავნე ქიმიური ნივთიერებების დაგროვება. პაერის, წყლისა და ნიადაგის სხვადასხვა ნივთიერებებით გაჭუჭყიანებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ცოცხალი სამყაროს, მათ შორის ტექნიკის არსებობას დედამიწის მთელ რიგ რეგიონებში საფრთხე შექმნა განსაკუთრებით XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა დაიწყო ტყეების მასობრივი ხმობა. ტყეების დეგრადაცია ამჟამად ყველა კონტინენტზე მიმდინარეობს, რომელშიც მთავარ როლს ანთროპოგენური მოვლენები ასრულებს. ტყეებში მავნე აირებისადმი მდგრადობით გამოირჩევა: ფშატი, იფანი, აპაცია, მუხა, ჭადარი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ხოლო ფიჭვი ვერ უძლებს მავნე აირებით გაჭუჭყიანებას, ვერ გარდაქმნის მათ და ამიტომაც ზიანდება. გაჩეხვისა და დაავადების გარდა, ტყეებს ანადგურებს ტყის ხანძრები, რომლებიც კლიმატის დათბობასთან დაკავშირებით სადღეისოდ ძლიერ გახშირდა სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ძირითადად ადამიანთა დაუდევრობის გამო.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ტყეებში იზრდება არა მარტო მცენარეულობა (30 000 სახეობის), არამედ იქ ცხოვრობს აგრეთვე ათასობით სახეობის ცხოველი და ფრინველი. ამიტომ ტყის ფართობების შემცირებით მცირდება, იღუპება და ქრება როგორც მცენარეულობა, ისე ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა სახეობა, იზრდება ნახშირორგანგის რაოდენობა ატმოსფეროში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კლიმატისა და გარემოს ცვლილებებზე და, რაც მთავარია, ცოცხალი ორგანიზმების არსებობაზე.

განსაკუთრებით უარყოფითი შედეგები მოჰყვება ხოლმე ტყეების გაჩეხვას მთიან რეგიონებში, სადაც ხდება მდინარეთა წყლის რეჟიმის შეცვლა, კატასტროფული წყალდიდობა-წყალმოვარდნებისა და ღვარცოფების გახშირება, ერთზიული და მეწყრული მოვლენების განვითარება, ნიადაგის გადარეცხვა, უხევთოვლიანობა და მყინვარული ზვავების წარმოქმნა, ქვათაცვენა და სხვ. [12].

ცნობილია, რომ ბუნება არავის აპატიებს შეცდომებს. უკვე ნათელია ის ეკოლოგიური კრიზისი, რომელიც შეიძლება თავს დაგვატყდეს უახლოეს მომავალში. ყველა ამ მიზეზის გამო სადღეისოდ ბუნების დაცვა და მისი რესურსების, განსაკუთრებით ტყეების, რაციონალური გამოყენება საყოველთაო-საკაცობრიო მნიშვნელობის პირველსარისხოვანი პრობლემაა. იგი ბიოსფეროს არსებობის აუცილებელი წინაპირობაა.

დასკვნა

ამრიგად, ტყე ხე-მცენარეთა და ცოცხალ არსებათა რთული ეკოსისტემაა, რომელიც ბიოსფეროს კოსმოსური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, მდგრადი გარემოს შენარჩუნება-გაუმჯობესებისა და მარადიული სიცოცხლის გარანტიაა დედამიწაზე წყალთან, პაერთან და ნიადაგთან ერთად.

ტყე შთანთქავს ნახშირორგანგს და დიდი რაოდენობით გამოყოფს ჟანგბადს, არეგულირებს მიკროკლიმატს (ტენიანობას, ტემპერატურას და ქარს). ტყე არის პაერისა და წყლის მავნე მინარევებისაგან გამწმენდი მძლავრი ფილტრი, რომელსაც ახასიათებს ანტიმიკრობული, იონიზაციისა და სტერილიზაციის თვისებები. ამით იგი აჯანსაღებს გარემოს და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანისა და ყველა ცოცხალი ორგანიზმის ჯანმრთელობაზე.

ტყეები იცავს სასოფლო-სამურნეო სავარგულებს და დასახლებულ პუნქტებს ძლიერი ქარისაგან. ტყე გამოიყენება ჭაობების დასაშრობად. გარდა ამისა, ტყე არის მთავარი ფაქტორი მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების რესურსების რეგულირებისათვის. იგი აუმჯობესებს მიწისქვეშა წყლის ხარისხს, ზრდის წყაროების გამოსავლებს და დებიტს. ამასთან, ტყე არის მდინარეთა წყლის რეჟიმის სტაბილიზაციისა და მათი მაქსიმალური პიკის შემცირების განმაპირობებელი. მთებში ტყეები იცავს დასახლებებს, გზებსა და მინდვრებს წყალდიდობებისა და ღვარცოფებისაგან, ერთზიული პროცესებისაგან, მეწყრებისა და ზვავებისაგან.

ტყე მერქნის ნედლეულის წყაროა, რომელიც უხვად გამოიყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ხე-ტყეს იყენებენ სამშენებლო მასალად, გასათბობად. ტყე იძლევა აგრეთვე მრავალი

სახის საკვებ და სამურნალო პროდუქტებს, მისგან ღებულობენ ტექნიკურ და საკვებ ზეთებს. მოსახლეობისა და მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება მერქანზე. ამის გამო იჩენება ტყეები და მსოფლიოში ყოველწლიურად ტყის ფართობი 0,3 %-მდე მცირდება. თუ XX საუკუნის დასაწყისში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 2 პა ტყის ფართობი, თანდათან ის 0,7 პა-მდე შემცირდა.

ტყეების ჩეხის თანამედროვე ტექნიკი თუ მომავალშიც გაგრძელდა და ნატურალური სამუშაოები არ ჩატარდა, ადამიანი უახლოეს 2-3 საუკუნეში აითვისებს ტყეების მთელ მარაგს. მაგრამ ტყეში მარტო ხეები არ არის, იქ ბინადრობს მრავალრიცხოვანი ფაუნა, რომელიც ასევე ნადგურდება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მთლიანად დაიკარგა მცენარეების 25 ათასამდე სახეობა, გარეული ცხოველების ათასზე მეტი და ასეულობით შინაური ცხოველების უნიკალური ჯიშები. გარდა ამისა, ატმოსფეროში მცირდება ჟანგბადის რაოდენობა, რაც სიცოცხლის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია დედამიწაზე.

გარემოს მიმართ დღეს არსებული კრიზისული მდგომარეობა გამოწვეულია არა მარტო უახლესი ტექნიკის განვითარებით, არამედ მისი არასწორი გამოყენებითაც. საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეხედულებით, ბუნება საჩუქარია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ და მივიღოთ მოგება, თუნდაც მისი დაბინძურების ხარჯზე. ამგვარი მიღებით გარემო იმდენად შეიცვალა, რომ უკვე ხდება ბუნებრივი კატაკლიზმები და შესაძლებელია მათი უფრო ფართო მასშტაბით გავრცელება დედამიწაზე.

სადღეისოდ ბუნების დაცვა და მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება საყოველთაოსაკაცობრიო მნიშვნელობის პირველხარისხოვანი პრობლემა. იგი ბიოსფეროს არსებობის აუცილებელი წინაპირობაა. ტყე არის ჟანგბადის წყარო და მდიდარია საკვები და სხვა ნედლეული რესურსებით, რაც აუცილებელია ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმთა არსებობისათვის. ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტყის საფრის დაცვასა და გაფართოებას. ეს ხელს შეუწყობს ადამიანთა გაჯანსაღებას, ცხოველთა და ფრინველთა გამრავლებას, მოსავლიანობის მატებას და საკურორტო-რეკრეაციული ზონების გაფართოებას. შესაბამისად, ქვეყანაში გაიზრდება საკურორტო-რეკრეაციული, სამონადირეო და ეკოტურიზმი, რითაც ამაღლდება ეკონომიკა.

ტყის ასეთი მრავალმხრივი და ფართო დანიშნულების გამო მისი ზრდა-განვითარების ხანგრძლივი პერიოდი საჭიროებს ტყის რაციონალურ გამოყენებას, გაფრთხილებას და გაფართოებას. ამიტომ ყველა დასახლებაში მოსახლეობამ და ადმინისტრაციამ უნდა იზრუნონ თავ-თავიანთ რეგიონში ტყის საფრის განახლებასა და გაშენებაზე. მათ ექნებათ საშუალება გასაშენებლად შეარჩიონ მათვის სასარგებლო მცენარეთა ჯიშები და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მათი შერჩევითი ჭრა წლიური შემატების ოდენობით იმ ანგარიშით, რომ დარჩენილმა უზრუნველყოს მისი ბუნებრივი აღდგენა.

სასოფლო-სამურნეო მინდვრებში უნდა გაშენდეს ქარსაცავი ტყის ზოლები, რომლებიც დაიცავს მცენარეებსა და ნიადაგს ტენის დაკარგვისაგან, რაც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის გაზრდას. ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად კი მისი დამზადება-გადამუშავების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს კომპლექსურად, უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგიით.

ვინაიდან საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ათვითცნობიერებს ბუნების დაცვის პრობლემებს და წარმოდგენა არა აქვს ბუნებაში მიმდინარე პროცესებზე, ამიტომ აუცილებელია მათი ცოდნის ამაღლება ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური განათლება მოიცავს ეკოლოგიურ აღზრდას, განათლებასა და პროპაგანდას. ბუნებათსარგებლობის რაციონალური საფუძველი ეკოლოგიური განათლების ქადაგთხედია. მხოლოდ ცოდნას, ახალგაზრდობის სწორად აღზრდასა და ბუნების სიკვარულს შეუძლია ბიოსფეროს გადარჩენა და ქვეყნისთვის ეკონომიკური კეთილდღეობის მოტაცება.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ვ. სუხიშვილი, ნ. გოგინაშვილი. გლობალური დათბობა და მცენარეთა ადაპტაციები მაღალი ტემპერატურისადმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბ., 2014, გვ. 233-235.
2. ჭ. ჯაყელი, ო. ჯაყელი. ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ბუნების დაცვა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1977. - 132 გვ.
3. ი. მიქაელ. ეკოლოგია. საქართველოს ხარისხის მართვის უნივერსიტეტი. თბ., 2006. - 318 გვ.
4. Пьер Арец. Ключи экологии. Л., 1982.
5. თ. კანდელაკი საქართველოს ტყეები: რესურსები, მნიშვნელობა, პოტენციალი და გამოყენება. სამეცნიერო-პოპულარული კრებული “მეცნიერება და კულტურა”, ტ. II, 2013, გვ. 91-109.
6. Рябчиков А. М. Структура и динамика геосфера. М., 1972.
7. ვ. გულისაშვილი. ბუნების დაცვის საფუძვლები. თბ., 1973.
8. Арманд Д. Л. Нам и внукам. М., 1964.
9. ნ. იაშვილი. მიწის რესურსები და მათი რაციონალური გამოყენება. თბ., 1976.
10. Семёнова-Тян-Шанская А. М. Мир растений и люди. Л.: Наука, 1986.
11. გ. ხარაიშვილი. საქართველოს მთის ტყეების წყალმარეგულირებელი და ეროზიის საწინააღმდეგო როლი // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები, თბ., 2001, გვ. 237-241.
12. ც. ბახილაშვილი. ტყე და გლობალური დათბობით გამოწვეული პრობლემები // საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “გლობალური დათბობა და აგრობიომრავალფეროვნება” შრომები, თბ., 2015, გვ. 75-78.

THE ROLE OF FORESTS IN THE DEVELOPMENT OF THE BIOSPHERE IN THE CONTEXT OF GLOBAL WARMING**Ts. Basilashvili**

(Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University)

Resume: The main cause of global warming is considered to be high level of Carbon Dioxide in the atmosphere, which can only be absorbed by green plants through photosynthesis, as a result of which oxygen is produced, which, in its turn, is a life source of all living beings on earth. The paper places special emphasis on the role of forests in cleaning process of air through filtration. Forests also play an important role in protection of water resources and saves soil from emaciating; in addition, forests protect environment from disasters of various kinds: floods, mudflows, avalanches, erosion, etc. Forests play a vital role in protection of the environment from all the above-mentioned threats.

Key words: anthropogenic process; oxygen; photosynthesis; protection of natural resources.**ЭКОЛОГИЯ****РОЛЬ ЛЕСА В РАЗВИТИИ БИОСФЕРЫ НА ФОНЕ ГЛОБАЛЬНОГО ПОТЕПЛЕНИЯ****Басилашвили Ц. З.**

(Институт гидрометеорологии Грузинского технического университета)

Резюме: В работе отмечается, что основной причиной глобального потепления на Земле является повышенный уровень в атмосфере углекислорода, поглощать который могут только зелёные насаждения через процесс фотосинтеза. В результате этого образуется кислород, который является источником существования всех живых существ на Земле. Отмечается также, что лесной покров, как сильный фильтр, очищает воздух от всех загрязняющих веществ. Очень важно, что лес является основным фактором для защиты водных и почвенных ресурсов, а также для борьбы с разрушениями при разных катастрофических явлениях: наводнения, сели, лавины, оползни, эрозия и др. В целях защиты от них обязательно следует размножать лесной покров.

Ключевые слова: антропогенные процессы; защита природных ресурсов; кислород; фотосинтез.

დიზენდის სამუშაო პროცესის სრულყოფის მეთოდებისა და ახალი, აღტერნატიული, ნაწილობრივ პომობენური წვის პროცესის შესახებ*

მერაბ ლლონტი, რევაზ ქავთარაძე, თამაზ ნატრიაშვილი

(რ. დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი, ნ. ბაჟმანის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: თანამედროვე ძრავათმშენებლობისათვის მთელ მსოფლიოში მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია შიგაწვის ძრავების და მათ შორის დიზენდების ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესება. ამის მისაღწევად ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ძრავას ცილინდრში მიმდინარე რთული ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, კერძოდ კი წვის პროცესის, სრულყოფა.

სტარიაში დიზენდის სამუშაო პროცესის შემდგომი სრულყოფის პოტენციალი შეფასებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა იღეალური თერმოდინამიკური ციკლის საწყისი პარამეტრები; წვის პროცესი და მისი მართვა; თბოგადაცემის პროცესი; აირმიმოცვლის პროცესი და მექანიკური დანაკარგები.

დიზენდის წვის პროცესის კვლევაზე ჩატარებულ სამუშაოთა ანალიზით დადგენილია, რომ აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების შემცირების მეთოდებს შორის კ. წ. „მიზნების კონფლიქტია“, რაც იმით გამოიხატება, რომ ერთის (მაგალითად, $[NO_x]$ -ის) შემცირება იწვევს მეორის (ჭვარტლის) კონცენტრაციის გაზრდას და პირიქით. ამის გამო შიგაწვის ძრავების მკვლევრებიცა და მწარმოებლებიც იძულებული არიან, აირჩიონ კომპრომისული გზა, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი მათგანის შემცირებას მეორის გაზრდის ხარჯზე. დასაბუთებულია დიზენდის ძრავას სამუშაო პროცესის სრულყოფის თანამედროვე მეთოდებისა და ახალი, აღტერნატიული (ნაწილობრივ პომოგენური) წვის პროცესის, როგორც აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების ერთდროული შემცირების მეთოდის, უპირატესობა არსებულ ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით და ნაჩვენებია პრობლემის გადაწყვეტისათვის ჩასატარებელი კონკრეტული დონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: აზოტის ჟანგეულები, აღტერნატიული წვის პროცესი, დიზენდი, ეკოლოგია, ნაწილობრივ პომოგენური ნარევი, წვის პროცესი, ჭვარტლი, HCCI პროცესი.

შესავალი

დღეს თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე არსებული გლობალური პრობლემების (ეკოლოგიურისა და ენერგეტიკულის) გადაჭრა უშუალოდაა დაკაგშირებული შიგაწვის ძრავებთან, რადგან ისინი ბუნებრივი საწვავის ძირითადი მომხმარებლები არიან და გარემოს დაბინძურების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენენ. ამასთან, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მაღალი მქე, კარგად ორგანიზებული წარმოების ტექნოლოგიები (სიახლეების სწრაფი დანერგვა სერიულ წარმოებაში და ასევე სწრაფი რეაგირება საბაზრო მოთხოვნებზე) და გაბატონებული (დომინირებული) მდგომარეობა ენერგიის სხვა ავტონომიურ წეაროებთან შედარებით ფაქტორივად გამორიცხავს ახლო მომავალში აღტერნატიული ძრავების გამოჩენას და მათ ფართოდ დანერგვას.

* აღნიშნული პროექტი ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი №FR/241/3-170/14). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ თანამედროვე ძრავათმშენებლობისათვის მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია შიგაწვის ძრავების (მათ შორის დიზელების) ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესება.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგების მიხედვით, შიგაწვის ძრავების ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესება შესაძლებელია სამი ძირითადი მიმართულებით:

1. ძრავას ცილინდრში მიმდინარე როტორი ფიზიკურ-ქიმიური პროცესების, კერძოდ კი წვის პროცესის, სრულყოფით (ანუ პროცესის ისეთი წარმართვით, როცა წვის პროდუქტები მავნე კომპონენტების მინიმალურ რაოდენობას შეიცავს);

2. ძრავას გამომშვებ სისტემაში სხვადასხვა სახის ნეიტრალიზატორის დაყენებით;

3. ალტერნატიული საწვავების (ბუნებრივი აირი, წყალბადი, მცენარეული წარმოშობის სპირტები, ზეთები და სხვ) გამოყენებით.

ნაშრომში განხილულია შიგაწვის ძრავების ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესების პირველი მიმართულება, რომლის ანალიზმა ცხადყო, რომ აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების შემცირების მეთოდებს შორის ე.წ. „მიზნების კონფლიქტია“, რის გამოც ერთის (მაგალითად, [NO_x]-ის) შემცირება იწვევს მეორის (ჭვარტლის) კონცენტრაციის გაზრდას და პირიქით. ამიტომ შიგაწვის ძრავების მკვლევრებიცა და მწარმოებლებიც იძულებული არიან, აირჩიონ კომპრომისული გზა, რომელიც ითვალისწინებს ერთ-ერთი მათგანის შემცირებას მეორის გაზრდის ხარჯზე. აქედან გამომდინარე, აქტუალურია:

ახალი, ალტერნატიული (ნაწილობრივ პომოგენური) და კლასიკური, სერიული წარმოების დიზელებისათვის დამახასიათებელი წვის პროცესების მოდელირება;

დიზელის გამონაბოლქვ აირებში აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების მკვეთრი შემცირების შესაძლებლობის გამოყვლევა მოდელირების საფუძველზე;

ახალი, პერსპექტიული დიზელების დაპროექტებისას ეკოლოგიური მახასიათებლების პროგნოზირება;

წვის ალტერნატიული და კლასიკური პროცესების შედარებითი ანალიზი;

ნეიტრალიზატორების გამოყენებლად ახალი, ალტერნატიული წვის პროცესის პოტენციალის საშუალებით ძრავას ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესება (აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების ერთდროულად შემცირებით).

1. შიგაწვის ძრავების სამუშაო პროცესის სრულყოფის თანამედროვე მეთოდების მოკლე ანალიზი

დგუშიანი ძრავების სამუშაო პროცესის სრულყოფის პოტენციალის შეფასება ხდება შემდეგი ფაქტორებით:

1. იდეალური თერმოდინამიკური ციკლის საწყისი პარამეტრებით;
2. წვის პროცესითა და მისი მართვით;
3. თბოგადაცემის პროცესით;
4. აირმიმოცვლის პროცესით;
5. მექანიკური დანაკარგებით.

იდეალური თერმოდინამიკური ციკლის საწყისი პარამეტრებიდან ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ძრავას კუმშვის ხარისხს, რომლის მატება ერთმნიშვნელოვნად იწვევს ძრავას მქანეს ზრდას. ცნობილია, რომ ბენზინის ძრავებში კუმშვის ხარისხის სიდიდე შეზღუდულია საწვავის ხარისხითა და დეტონაციის არსებობით, ხოლო დიზელის ძრავებში – ძირითადი დეტალების თბოგადაცემითა და აზოტისა და ჭვარტლის გამონაბოლქვით. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, ანუ შეზღუდვების ნაწილობრივი მოხსნა, შესაძლებელია რეგულირებადი კუმშვის ხარისხის გამოყენებით, რომელიც ნაწილობრივი დატვირთვის რეჟიმების დროს იზრდება. სადღვისოდ

ცვალებადი კუმშვის ხარისხის მისაღებად არსებობს რამდენიმე მიდგომა: დგუშის სელის ცვლილება, ცილინდრის მოძრავი თავი, მიერთებული მოცულობები, მუხლა ლილვით რეგულირება და სხვ. მათი ცნობილი ვარიანტები განხილულია ნაშრომებში [1, 2, 3]. აქ აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ სერიულ წარმოებაში მათ ვერ პოვეს ფართო გამოყენება უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ საიმედო კონსტრუქციის შექმნა დაკავშირებულია საქმაოდ დიდ ხარჯებთან. მიუხედავად ამისა, დგუშიანი ძრავას წვის პროცესის სრულყოფისათვის ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კუმშვის ხარისხის რეგულირებას.

გადარიბებული ნარევით სასურველი სამუშაო პროცესის რეალიზაცია თერმოდინამიკური თვალსაზრისით მუშა სხეულის თვისებების შეცვლაა (ან ცილინდრში აირის ადიაბატის მაჩვენებლის ცვლილება, რომლის მატებითაც ძრავას თერმული მქე იზრდება). ამასთან, ასეთი მიდგომა შეზღუდულია არა მარტო აალების ზღვრებით (ანუ პარის სიჭარბის კოეფიციენტის ზღვრული მნიშვნელობებით), არამედ ბენზინის ძრავების შემთხვევაში იზღუდება საშუალო ეფექტური წნევის შემცირება და ნამუშევარი აირების ნეიტრალიზაციაზე გასაწევი ხარჯების ზრდა, ხოლო დიზელებში – კუთრი სიმძლავრის შემცირება, რომელიც ნამუშევარი აირების რეცირკულაციითა გამოწვეული. ბენზინის ძრავებში ნაწილობრივი დატვირთვის რეჟიმებზე საწვავი ნარევის განშრევება და უშუალო შეფრქმევა ეფექტურ მქეს ზრდის დიზელის მქე-მდე და უფრო მეტადაც კი. ამას თან სდევს აზოტის ჟანგეულების გრძისის საფუძვლიანი შემცირება, მაგრამ იქმნება ჭვარტლის მყარი ნაწილაკების შემცირების პრობლემა, რაც საწვავის შემშვებ სისტემაში შეფრქმევის მქონე ბენზინის ძრავებში არ ხდება.

წვის პროცესი და მისი მართვა. ბენზინისა და დიზელის ძრავების ტრადიციული წვის პროცესების ალტერნატივაა პომოგენური თვითაალება (HCCI – Homogeneous Charge Compression Ignition – პომოგენური მუხტის შეკუმშვით აალება). ზოგჯერ იხმარება – „კონტროლირებადი თვითაალება“ (CAI – Controlled Auto Ignition) [4]. ასეთი ალტერნატიული ძრავა წარმოადგენს დიზელისა და ოტოს თერმოდინამიკური ციკლით მომუშავე ძრავას კომბინაციას. ასეთ ძრავებს „Diesotto“-საც უწოდებენ. ამასთან, ხშირად იხმარება ტერმინები: „პომოგენური წვა“ და „ძრავა პომოგენური წვით“ (იგულისხმება პომოგენური ნარევის წვა) [4, 5]. ძრავების თეორიაში მიღებული ტერმინოლოგიის მიხედვით, ნაშრომში გამოყენებულია ტერმინები: „ნაწილობრივ პომოგენური წვა“ და „ძრავა ნაწილობრივ პომოგენური წვით“.

დიდი პერსპექტივები აქვს ზემოაღნიშნული პროცესის (პომოგენური მუხტის აალება შეკუმშვით) გამოყენებას ბენზინისა და დიზელის ძრავებში. ამითაა სწორედ განპირობებული ამ პროცესის მიმართ მკვლევრების მზარდი ინტერესი [6, 7]. აღსანიშნავია, რომ კუმშვით აალებული პომოგენური პარსაწვავის ნარევის წვის ხანგრძლივობა საგრძნობლად მცირება ტრადიციული წვის პროცესის ხანგრძლივობასთან შედარებით, ხოლო ძრავას სამუშაო ციკლი უახლოვდება თერმოდინამიკურ ციკლს მუდმივი მოცულობის დროს სითბოს მიწოდებით (ოტოს ციკლი). იმ შემთხვევაში, როცა ოტოსა და დიზელის ციკლებს მიეწოდება ერთი და იმავე რაოდენობის სითბო, მაშინ ოტოს ციკლის მქე უფრო მაღალია დიზელის ციკლთან (მუდმივი წნევის დროს სითბოს მიწოდებით) შედარებით [8], ხოლო, თუ ამ ციკლების კუმშვის ხარისხებია თანაბარი (თანაბარია ციკლის მაქსიმალური წნევები), მაშინ, პირიქით, დაბალია.

ამრიგად, პომოგენური წვისას ციკლის მქე-ის ამაღლება დამოკიდებულია სამუშაო ციკლის ეფექტურობის ზრდაზე. პომოგენური წვის კონცეფციის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ გამონაბოლქვი აირების ნეიტრალიზატორების გარეშე უნდა იქნეს მიღწეული აზოტის ჟანგეულების ემისის მკვეთრი შემცირება, რაც უფრო მაღალი მქე-ის მიღების საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული კონცეფცია განხსაკუთრებით საინტერესოა ძრავას ნაწილობრივი დატვირთვების რეჟიმებზე მუშაობისას. ამიტომ საჭიროა HCCI-ის სისტემა, ანუ პომოგენური მუხტის შეკუმშვით აალებამ, უზრუნველყოს ძრავას საიმედო მუშაობა რეჟიმების ცვლილების ფართო დიაპაზონში და ასევე აუცილებელია მის შექმნასა და დანერგვაზე გაწეული ხარჯების ანალიზი. ცხადია, ამ სისტემის სამეცნიერო დამუშავებაზეა დამოკიდებული მისი პერსპექტივები და გამოყენება სერიულ წარმოებაში.

თბოგადაცემის პროცესი. ცნობილია, რომ თბოგადაცემის პროცესი (განსაკუთრებით სამუშაო პროცესის მაღალი წნევების ფაზაში) არსებით გავლენას ახდენს ძრავას სამუშაო ციკლის ეფექტურობაზე. მუშა სხეულიდან თბოარინების შემცირებით მომუშავე ძრავას (იდეალში – ადიაბატური ძრავა) შექმნის კონცეფციამ წვის კამერის თბოიზოლაციისა და მისი ზედაპირის ტემპერატურის გაზრდით ვერ გაამართლა იმედები და, როგორც გამოკვლევებიდან ჩანს [9,10], ნაკლებად პერსპექტიულია. თბოარინების შემცირების იდეა თბოგადაცემის ზედაპირების შემცირებით ნაწილობრივ რეალიზდება თავისუფალდგუშებიან ძრავებში, რომლებშიც არ არის ცილინდრების თავის თბომიმღები ზედაპირები. ასეთი მიღვომა წარმატებით იქნა რეალიზებული მეორე მსოფლიო ომის დროს საავიაციო დიზელის ძრავებში [11] და დღეს რიგ შემთხვევებში გამოიყენება აშშ-ში [12, 13]. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში თერმოდინამიკურ უპირატესობებთან ერთად წარმოქმნება კამერის ფორმის, აირმიმოცვლისა და მექანიკური დანაკარგების ოპტიმიზაციის პრობლემები. აქტუალურია ასევე მძლავრ დიზელისძრავიან სატენიო ავტომობილებში წვის პროდუქტებისა და გამაგრილებელი სითხის სითბოს რაციონალური გამოყენების საკითხი. აქვე შევნიშნავთ, რომ გამოუყენებელი სითბოს რაოდენობა ძრავას თბურ ბალანსში დანაკარგების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და წვის პროცესის სრულყოფისათვის მას ჯეროვანი უურადღება უნდა მიექცეს.

აირმიმოცვლის პროცესი. აირმიმოცვლის პროცესი არსებით გავლენას ახდენს მთლიანად ძრავას მუშაობაზე, კერძოდ, სამუშაო ციკლის ეფექტურობაზე არა მარტო ძრავას მუშაობის მაქსიმალური დატვირთვებისას, არამედ ნაწილობრივი დატვირთვების რეჟიმების დროსაც. გარდა ამისა, აეროდინამიკური პროცესები ძრავას შემშვებ და გამშვებ სისტემებში, ასევე წვის კამერაში მოქმედებს ნარევზარმოქმნისა და წვის პროცესების მიმდინარეობაზე [4, 5, 8]. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნები აირმიმოცვლის სისტემებზე იცვლებოდა ძრავათმშენებლობის განვითარებით, მკლევრები თავიდანვე ცდილობდნენ აირმიმოცვლის პროცესი ემართათ და ერგოულირებინათ ძრავას მუშაობის რეჟიმის მიხედვით. დღეისათვის ამ მიმართულებით მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები მრავალი მწარმოებლის მიერ. ამის ნათელსაყოფად მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

1. Honda-ს სარქვების მართვის სისტემა საშუალებას იძლევა, მუხლა ლილგის ბრუნთა სიხშირის მიხედვით ძრავას მუშაობის პროცესში ოთხსარქვლიანი რეჟიმი შეიცვალოს ორსარქვლიანით და პირიქით [4, 14];

2. BMW-ს სისტემა „Valvetronic“ სარქვების მთლიანი მართვით საშუალებას იძლევა ძრავას მუშაობის რეჟიმის მიხედვით შეიცვალოს როგორც აირგანაწილების ფაზები, ასევე სარქვლის სვლა [15];

3. BMW-ს შეშვების სისტემა ერთი სიგრძის შემშვები მიღსაღენიდან მეორეზე მდოვრე გადასვლით და პირიქით [16] გამოიყენება როგორც ბენზინის, ასევე დიზელის ძრავებში ცილინდრის ახალი მუხტით შევსების გასაუმჯობესებლად. ეს სისტემა დიზელებში უზრუნველყოფს შემავალი ჰაერის დაგრიგადებასაც.

ეს, რა თქმა უნდა, არაა სრული ჩამონათვალი. მათ შეიძლება დაემატოს სხვა ცნობილი სქემებიც, კერძოდ: Nissan [17], Toyota [18], BMW [19], Mitsubishi [20] და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აირმიმოცვლის სისტემა დაეჭნებულია სერიულ ძრავებზე. გარდა ამისა, სადღეისოდ დგუშიანი ძრავების ჩაბერვის პოტენციალი ჯერ კიდევ არაა ამოწურული და აირმიმოცვლის სისტემები კალაგაც ვითარდება.

მექანიკური დანაკარგები. ძრავას სამუშაო ციკლის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარდაუგალ მექანიკურ დანაკარგებზე, რომელთა მინიმუმამდე დაუგანა რჩება ერთერთ მთავარ პრობლემად დგუშიანი შიგაწვის ძრავების მეცნიერებისათვის. მექანიკურ დანაკარგებში მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმს მნიშვნელოვანი წილი უდევს და ამიტომ გამომგონებელთა უმრავლესობა მის არსებობას მიიჩნევს მთავარ პრობლემად დგუშიანი ძრავების შემდგომი განვითარების გზაზე. ამან განაპირობა მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმის საკმაო რაოდენობის ალტერნატიული ვარიანტის (უბარბაცო ძრავები, სხვადასხვა ტიპის თავისუფალდგუშებიანი ძრავები, ვანკელის ძრავები და სხვ. [21]) შექმნა. ძრავას სამუშაო ციკლის თერმოდინამიკური ეფექტურობის თვალსაზრისით ისინი ყველა ჩამორჩება მრუდმხარა-ბარბაცა მექანიზმს, ოდონდ

ზოგიერთი მათგანისათვის, მაგალითად, ვანკელის ძრავებისათვის დამახასიათებელია ხახუნისას უფრო მეტი დანაკარგები. ხახუნის დანაკარგების მინიმიზაციისათვის კი საჭიროა შეზეთვის სისტემის სრულყოფა, ახალი შემზეთი საშუალებებისა და ახალი მასალებისაგან მოხახუნე ნაწილების დამზადება, მოხახუნე ზედაპირების ახალი ტექნოლოგიებით დამუშავება და სხვ. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მექანიკურ დანაკარგებს, გარდა ხახუნით დანაკარგებისა, ასევე მიეკუთვნება ძრავას დამატებითი აგრეგატების ამძრავები, კერძოდ, ზეთისა და წყლის ტუმბოები, საწვავის შეფრქვევის სისტემა, ელექტრული გენერატორი. სავტომობილო ძრავების შემთხვევაში მათ უნდა დაემატოს საჭიროს მართვის მაძლიერებელი, ავტომობილებში მიკროკლიმატის უზრუნველყოფი მოწყობილობა და სხვ. მომავალში გათვალისწინებულია სერიულ ძრავებზე საწვავისა და ზეთის ხარჯების მართვადი ტუმბოებისა და მართვადი ელექტრული აგრეგატების ფართო გამოყენება და ა. შ. მექანიკური დანაკარგების შემცირებისათვის ნაკლებაკრსაჭირებულია პერიოდულად გამორთვადი ცილინდრებითა და სამუშაო ციკლებით მომუშავე ძრავების შექმნა [4, 22].

2. საწვავის უშუალო შეფრქვევის მქონე დიზელებისათვის ახალი, ალტერნატიული წვის პროცესების დამუშავების აუცილებლობა

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზითა და გრძელვადიანი სამეცნიერო პროგნოზებით [4, 5, 8, 23] მტკიცდება, ახლო მომავალში ბენზინისა და დიზელის ძრავები ძველებურად იქნება სატრანსპორტო ენერგეტიკის ძირითადი ბირთვი. თითქმის 150 წელია მკაცრი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს დგუშიანი ძრავების ამ ორი ძირითადი ტიპის განვითარება და სრულყოფა. ამასთან, თოთოვეულ მათგანს აქვს მოხმარების თავისი სფერო, რომელშიც ისინი პრაქტიკულად მონოპოლისტებად ითვლებიან. დიზელის ძრავებისათვის ეს არის წყლის, რკინიგზის ტრანსპორტი და სატვირთო ავტომობილები, ხოლო ბენზინის ძრავებისათვის – სპორტული ავტომობილები, მსუბუქი ტრანსპორტი (მოტოციკლები და მოპედები), მსუბუქი ავიაცია (საერთო დანიშნულების ავიაცია). ბენზინისა და დიზელის ძრავების კონკურენცია საკმაოდ იგრძნობა სავტომობილო ტრანსპორტში, კერძოდ მსუბუქი ავტომობილების ბაზარზე, სადაც დიზელისძრავიანი ავტომობილების უმრავლესობა აღჭურვილია საწვავის უშუალო შეფრქვევის მოწყობილობებით.

ბოლო ათწლეულებში ბენზინის ძრავებში საწვავის ეკონომიკურობის მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესია, რაც პირველ რიგში კარბიურატორული სისტემის გაუქმებითა და შემშვებ არხში საწვავის შეფრქვევის მეთოდის დანერგვითა გამოწვეული. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ საგრძნობლად ჩამორჩებიან (საწვავის ხარჯის დაახლოებით 20–30 %-ით) საწვავის უშუალო შეფრქვევის მქონე დიზელის ძრავებს [8, 23]. ბუნებრივია, რომ ბენზინის ძრავების სპეციალისტები ყოველმხრივ ცდილობენ ამ სხვაობის აღმოფხვრას. ისინი ძრავას შემშვებ არხში საწვავის შეფრქვევის მეთოდის პარალელურად სრულყოფენ ძრავებსაც, რომლებშიც უშუალოდ ხორციელდება ცილინდრში ბენზინის შეფრქვევა. ასეთი ბენზინის ძრავები დიზელის ძრავების მსგავსად მუშაობს ნაწილობრივი დატვირთვების რეჟიმით ჰაერსაწვავის პეტეროგენული ნარევით, და ამიტომ წვის პროცესში ჭვარტლის მყარი ნაწილაკები წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ ურო-6-ის ნორმები ითვალისწინებს შეზღუდვებს ჭვარტლის მყარი ნაწილაკების ემისიაზე არა მარტო დიზელებისათვის, არამედ საწვავის უშუალო შეფრქვევის მქონე ბენზინით მომუშავე ძრავებისთვისაც. სხვა ტიპის ბენზინის ძრავები მუშაობს ჰომოგენური ნარევის იძულებითი აალებით, რომლის წვის დროსაც ჭვარტლი პრაქტიკულად არ წარმოიქმნება და, ბუნებრივია, რომ ასეთი შეზღუდვები ამ ძრავებისთვის არაა მიღებული. ნათელია, რომ ჭვარტლის მყარი ნაწილაკების გამოტყოფის შემცირება აქტუალური ამოცანაა როგორც ბენზინის, ასევე დიზელის საწვავის უშუალო შეფრქვევის მქონე ყველა მაღალეკონმიური საავტომობილო ძრავასათვის.

თანამედროვე ტექნიკის დონე ტოქსიკური ნივთიერებების ნეიტრალიზებისათვის არ იძლევა „ნულოვანი“ გამონაბოლქვის მქონე დიზელისძრავიანი ავტომობილის შექმნის საშუალებას უპირველეს ყოვლისა აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის მყარი ნაწილაკების არსებობის გამო. სამუშაო პროცესის ოპტიმიზაციის ტრადიციული მეთოდებით (მაღალი ჩაბერვა შუალედური გაგრილებით, მუხტის დაგრიგალების რეალირებით, ციკლის განმავლობაში მრავალჯერადი შეფრ-

ქვეყით, ნამუშევარი აირების რეცირკულაციით და სხვ.) შესაძლებელია, საგრძნობლად შემცირდეს წვის პროდუქტებში მათი კონცენტრაცია, მაგრამ დარჩენილი ნაწილი აუცილებელია განეიტრალდეს ეფექტური ფილტრების საშუალებით. სადღეისოდ არსებული მყარი ნაწილაკების ფილტრები ძვირია და დესულფატიზებული საწვავების შემთხვევაშიც კი მომსახურების არასაკმარისი ვადა აქვთ. ახალი, ალტერნატიული წვის პროცესების გამოყენებით, კერძოდ პომოვენური წვით, შესაძლებელია არსებითად შევამციროთ ძრავას ცილინდრში ზემოაღნიშნული მავნე კომპონენტების წარმოქმნა და ამით შევამსუბუქოთ ძრავას გამოშვებ სისტემაში დაყენებული ნეიტრალიზაციების მუშაობა. ამგარად, თუ ამ მიმართულებით უახლოეს წლებში არ გვეჩნება დადებითი ტენდენციები, მაშინ თავად ყველაზე ეკონომიური თბური ძრავები, ანუ საწვავის უშუალო შეფრქვევის მქონე დგუშიანი ძრავები, ნაკლებ პერსპექტიული იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასცნათ:


1. ახალი, ალტერნატიული წვის პროცესის მეთოდების დამუშავების აუცილებლობა განპირობებულია დიზენის ტრადიციული ციკლის თვისებით („მიზნების კონფლიქტით“) – აზოტის შანგეულებისა და ჭვარტლის კონცენტრაციების ცვლილებით. ამ კონფლიქტის გადაწყვეტა გულისხმობს ისეთი ალტერნატიული წვის პროცესის გამოყენებას, რომელიც ამ მავნე კომპონენტების ერთდროულ შემცირებას შეძლებს;

2. ამ ახალი, ალტერნატიული წვის პროცესის შესაფასებლად და ძრავას ახალი, ალტერნატიული წვის პროცესით ეკოლოგიური და ეფექტური მახასიათებლების პროგნოზირებისათვის აუცილებელია ცილინდრში მიმდინარე პროცესები, ტურბულენტური წვა და მავნე ნივთიერებების წარმოქმნა აისახოს სამანზომილებიანი მოდელირებით, რომელიც დაეყრდნობა პიდრო- და აეროდინამიკისა და ქიმიური კინეტიკის ფუნდამენტურ განტოლებებს.

3. ახალი, ალტერნატიული (ნაწილობრივ პომოვენური) წვის პროცესის ალტერა და მისი უპირატესობანი

კლასიკურ დიზენის წვის პროცესს (საწვავის უშუალო შეფრქვევით) ახასიათებს ორი ძირითადი სტადია (ფაზა): კინეტიკური და დიფუზური [4, 5, 8, 9, 24]. წვის კინეტიკური სტადია, თავის მხრივ, წარმოადგენს ჰაერისა და საწვავის ორთქლის ნარევის წვას, რომელიც ყალიბდება აალების შეყოვნების მოკლე პერიოდში (ინტენსიური აორთქლებისა და ნარევშარმოქმნის დროს), როცა ქიმიური პროცესები დომინირებს. აალების კერები წარმოქმნება ერთდროულად წვის კამერის სხვადასხვა ზონაში. წვას ცილინდრში თბური აფეთქების ხასიათი აქვს და ის მიმდინარეობს მაღალი სიჩქარით, რასაც თან სდევს წნევის მკვეთრი ზრდა [4, 8, 26, 27, 28, 29]. წვის დიფუზური სტადიისას მორგავირე კომპონენტების (საწვავის ორთქლისა და უანგბადის) ტურბულენტური დიფუზურის ფიზიკური პროცესი ჭარბობს, რომლის დროსაც ცილინდრში ლოკალური ტემპერატურების (T_i) და ჰაერის სიჭარის კოეფიციენტის (α_i) მნიშვნელოვანი უთანაბრობაა. უნდა აღინიშნოს, რომ ცილინდრში წარმოქმნილი როგორც აზოტის უანგეულების, ისე ჭვარტლის მყარი ნაწილაკების ლოკალური კონცენტრაციები უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ჰაერის სიჭარის კოეფიციენტისა და ტემპერატურის ლოკალურ მნიშვნელობებზე (ნახ. 1). დიზენის ძრავას მუშაობის კლასიკურ პროცესში აზოტის უანგეულები წარმოიქმნება დიზენის საწვავისა და ჰაერის ჰეტეროგენული ნარევის წვისას იმ ლოკალურ ზონებში, რომლებშიც ნარევი თავისი შედგენლობით უახლოვდება სტეპიომეტრიულ ნარევს, ხოლო ტემპერატურა T_i ლოკალური მნიშვნელობები არ იქნება იმ ლოკალურ ზონებში, რომლებშიც ჰაერის სიჭარის კოეფიციენტის მნიშვნელობები $\alpha_i < 0,6-0,7$ -ზე.

I-ლ ნახ-ზე ნაჩვენებია, რომ დიზენის ეკოლოგიური მახასიათებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სავსებით რეალურია, თუ ის იმუშავებს ახალი, ალტერნატიული (ნაწილობრივ პომოვენური) წვის პროცესით, რომლის დროსაც ჰაერის სიჭარის კოეფიციენტისა α_i და ტემპერატურის T_i ლოკალური მნიშვნელობები არ იქნება იმ დიაპაზონებში, რომლებშიც აზოტის უანგეულები და ჭვარტლი წარმოიქმნება.




ნახ. 1. აზოტის ჟანგეულებისა და ჰერცტლის წარმოქმნის დიაპაზონები პაერის სიჭარბის კოეფიციენტისა და ტემპერატურის ლოკალური მნიშვნელობების მიხედვით [30, 31]

დიზელის ძრავას მუშაობის კლასიკური პროცესის დროს ნარევის ჰომოგენიზაციის ეს ამოცანა არ დგას წვის პროცესის დაწყებამდე. ალტერნატიული წვის პროცესის მქონე დიზელებში კი მისი არსებობა აუცილებელია და ნარევის ჰომოგენიზაციისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ხერხი. მაგალითად, საწვავის აღრეული შეფრქვევა (შევსების პროცესში ან კუმშვის ტაქტის დასაწყისში), რასაც მოსდევს ნარევზარმოქმნისათვის განკუთვნილი დროის მნიშვნელოვანი ზრდა და, როგორც შედეგი, პრაქტიკულად ნარევის სრული ჰომოგენიზაცია. ასეთი პროცესი, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, HCCI (ჰომოგენური მუხტის შეკუმშვით აალება) პროცესია [5, 8, 30]. ეს პროცესი განკუთვნილია ციკლის საერთო ტემპერატურის შესამცირებლად და ძრავას მუშაობის უზრუნველსაყოფად მისადები პაერის სიჭარბის კოეფიციენტით. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ HCCI პროცესი პირველ რიგში მიიღწევა აღრეული შეფრქვევით და ფრაქციას სპეციალური კონსტრუქციით, რომლის საქმენების რაოდენობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (შეიძლება 20-ზე მეტიც იყოს), ხოლო საქმენის დერძებს შორის კუთხე შემცირებულია, რათა საწვავი არ მოხვდეს ცილინდრის კედლებს.

პოტენციური შესაძლებლობების მიუხედავად, ჯერჯერობით HCCI პროცესი სერიულ ძრავებში არ გამოიყენება. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა არის წვის პროცესის მართვის სირთულე. HCCI პროცესის დროს ცილინდრის მთელ მოცულობაში წვა მიმდინარეობს კინეტიკური მექანიზმით (დიფუზური სტადიის გარეშე) თითქმის ერთდროულად და ფაქტობრივად ხდება თბური აფეთქება, რასაც თან სდევს დიდი სიჩქარით თბოგამოყოფა და წნევის მატება. ეს კარგად ჩანს მე-2 ნახ-ზე, რომელზეც მოყვანილია საწვავის მიწოდების სიჩქარისა $dm_{\text{შფრქ}}/d\varphi$ და თბოგამოყოფის სიჩქარის $dQ_x/d\varphi$ ცვალებადობის ხასიათი წვის ტრადიციული და HCCI პროცესების დროს ($m_{\text{შფრქ}} \cdot \text{ცილინდრში შეფრქვეული საწვავის მასა}, Q_x - \text{წვის კამერაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა, } \varphi - \text{მუხლა დიდვის მობრუნების კუთხე}). როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ტრადიციული პროცესისაგან$

განსხვავებით HCCI პროცესისას კუმშვის პროცესის ბოლოს კენ ხორციელდება საწვავის ხეთჯერადი შეფრქვევა მნიშვნელოვანი წინსწრებით, ე. ი. პროცესი პრაქტიკულად ნაწილობრივ პომოგენურია. მიუხედავად ამისა, HCCI პროცესისას თბოგამოყოფის სიჩქარე 2-ჯერ მეტია, ხოლო წვის ხანგრძლივობა – 5-ჯერ ნაკლები ტრადიციულ პროცესთან შედარებით. ცხადია, პომოგენური ნარევის წვის პროცესი უმართავი ხდება, რასაც თან ახლავს ძრავას ძირითადი დეტალების მექანიკური დატვირთვებისა და ხმაურის ზრდა.




ნახ. 2. წვის ტრადიციული და HCCI პროცესების დროს საწვავის მოწოდების სიჩქარისა და თბოგამოყოფის ცვალებადობის ხასიათი მუხლა ლილვის მობრუნების კუთხის მიხედვით [4, 5]

ნარევის პომოგენიზაციის ცნობილი ხერხები: საწვავის ჩირალდების მოძრაობისა და შემშვები პარამეტრების ნაკადის ბრუნვის ინტენსიურობის შეთანხმული, შეფრქვევის წნევის ზრდა და სხვ., რომლებიც წვეულებრივად გამოიყენება ნაგიანევი სიჩქარის (ტრადიციული) შეფრქვევისას, ასევე შეიძლება გამოიყენებულ იქნეს HCCI პროცესის განსახორციელებლად [4, 5, 8]. მაგრამ ნაგვიანევი შეფრქვევისას, ადრეულ შეფრქვევასთან შედარებით, ნარევწარმოქმნის დროის სიმცირის გამო წვის პროცესის სწორი ორგანიზებისასაც კი მიიღწვა არასრული, ანუ ნარევის ნაწილობრივი, პომოგენიზაცია.

წინამდებარე ნაშრომში HCCI პროცესის ნაცვლად განხილულია ნაწილობრივ პომოგენური პროცესი, რომელშიც წვის საწვისი მომენტის მართვისა და წვის სიჩქარის შეზღუდვისათვის შემოთავაზებულია რეცირკულაციის გამოყენება, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს წინა სამუშაო ციკლის ნამუშევარი აირების ნაწილობრივ დამატებას (შერევას) შემშვები სისტემის კოლექტორში არსებულ (შემავალ) ჰაერის ახალ მუხტოან. ეს პროცესი ხასიათდება რეცირკულაციის ხარისხით (წილით), რომელიც წარმოადგენს რეცირკულირებული აირების მოცულობების (ან მასების) ფარდობას ახალი მუხტის რაოდენობასთან [5, 8]. ნათელია, რომ წვის სიჩქარის შეზღუდვა განხორციელდება გამონაბოლდეჭვი ინერტული აირების წილის ზრდითა და მუხტში უანგბადის შემცირებით, ანუ რეცირკულაციის ხარისხის გადიდებით. პრაქტიკულად ასეთი პროცესის რეალიზება საწვავის მიწოდების საწვისი მომენტის მუდმივობის დროს შესაძლებელია საწვავის შეფრქვევის ხანგრძლივობის შემცირებითა და რეცირკულაციის ხარისხის მნიშვნელოვანი გადიდებით [31, 32]. ახალ მუხტში ნამუშევარი აირების წილის ზრდა იწვევს აალების პერიოდის შეყოვნების მნიშვნელოვან ზრდას, რაც მთლიანად ყოფს ერთმანეთისაგან შეფრქვევისა და საწვავის აალების პროცესებს, რის გამოც საწვავის ორთქლისა და ჰაერის ნარევის (რომელიც ნამუშევარ აირებს შეიცავს) წვას ძირითადად კინეტიკური ხასიათი აქვს. ამ დროს დიფუზური სტანდია პრაქტიკულად არ არსებობს. წვის კინეტიკური ფაზისათვის დამახასიათებელი თბოგამოყოფის მაქსიმალური სიჩქარის მიუხედავად, ასეთი ნარევის წვისას ლოკალური ტემპერატურები შედარებით დაბალია, რაც გამოწვეულია რეცირკულაციის მაღალი ხარისხით. მაქსიმალური ლოკალური ტემპერატურების და მუხტში უანგბადის შემცირება ბლოკაგს აზოტის უანგეულების წარმოქმნას. ეს დასტურდება იმ კვლევებით, რომლებიც ჩატარდა ექსპერიმენტულ, ე. წ. „გამჭვირვალე“

(ტრანსპარანტულ) დიზელებზე (ნახ. 3). გადაღებული კალორებიდან ჩანს, რომ HCCI პროცესისას პრაქტიკულად არ ხდება ჭვარტლის ჩვეული გამოსხივება, რაც დამახასიათებელია ტრადიციული დიზელებისათვის. ამ შემთხვევაში წვის კამერაში გამოსხივებას აქვს ლურჯი ფერი ნაცვლად კაშკაშა ლაქებიანი ყვითლისა, რომელიც წარმოიქმნება პეტროგენული ნარევის წვის დროს.



ნახ. 3. ტრადიციული და HCCI პროცესების დროს წვის პროცესის მიმდინარეობის ფოტოები და ამ პროცესების დროს აზოტის ჟანგეულების ცვალებადობის ხასიათი [7]

ტრადიციული დიზელის წვის პროცესისაგან და ნაპერწკლური ანთებისაგან განსხვავებით HCCI პროცესში შესაძლებელია საწვავის წვის სითბოს რეალიზება საწვავი ნარევის დაბალტემპერატურული წვით (წვის კამერის მთელ მოცულობაში), როცა არ ხდება ალის ჩირადდის (როგორც ეს დიზელებშია) ან ალის ფრონტის (ნაპერწკლური ანთების დროს) წარმოქმნა.

ეს შედეგები ცხადყოფს, რომ HCCI პროცესს დიზელებში შეუძლია აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის მყარი ნაწილაკების ერთდროული მინიმიზაცია. ე. ი. ამ პროცესის საშუალებით შესაძლებელია გადაწყდეს ზემოსხენებული ტოქსიკური კომპონენტების „მიზნების კონფლიქტი“, რაც, სამწუხაროდ, კერ წყვეტს წვის პროცესის მართვის პრობლემას.

ჩვენ მიერ გათვალისწინებულია დიზელებში ახალი, ალტერნატიული, ნაწილობრივ პომოგენური წვის პროცესის განხორციელება ისე, რომ კუმშვის პროცესის ბოლოს ჰაერისა და რეცირკულირებული ინერტული აირების ნარევში საწვავის შეფრქვევამ ხელი შეუწყოს ნარევის პომოგენიზაციას. რა თქმა უნდა, ეს კერ უზრუნველყოფს ნარევის სრულ პომოგენიზაციას, როგორც ნაადრევი შეფრქვევის დროს იყო შესაძლებელი. ჩვენს შემთხვევაში წარმოიქმნება ნაწილობრივ პომოგენური ნარევი, რადგან სრულ პომოგენიზაციას ხელს უშლის როგორც ნაგვიანევი შეფრქვევა, ასევე ფრქვევანების საქმენების შეზღუდული რაოდენობა. აქვე შევნიშნავთ, რომ ტრადიციული და HCCI პროცესისათვის შექმნილი ფრქვევანების უნიფიცირებული კონსტრუქციების (და მთლიანად საწვავმიმღვდი სისტემის) გამოყენება სერიულ ძრავებში მნიშვნელოვნად შეამცირებს ნაწილობრივ პომოგენური წვის პროცესის დანერგვის დანახარჯებს.

ზემოაღნიშნულ პროცესს პომოგენური წვის განსაზღვრის ანალოგიურად შემდგომში ნაწილობრივ პომოგენური წვის პროცესი ვუწოდეთ. ნაწილობრივ პომოგენური ნარევის პომოგენიზაციის ხარისხი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს დიზელის სამუშაო ციკლში აზოტის ჟანგეულებისა და ჭვარტლის რაოდენობას, დამოკიდებულია აალების შეყოფების სიდიდეზე, საწვავის შეფრქვევის

მახასიათებლებსა და პარამეტრებზე, ასევე დიზენის ცილინდრში მუხტის მოძრაობის დაგრიგალების ინტენსიურობაზე და სხვ.

ცნობილია, რომ დიზენის მიზანი (არა აქვს მნიშვნელობა რა ხერხით!) აალების შეფერხების სიდიდის მართვა პრაქტიკულად ნიშნავს წვის პროცესის, კერძოდ მისი დასაწყისის, მართვას [27, 28, 29]. ავტორების მიერ შემოთავაზებული მეორე, რომელიც ეხება ნაწილობრივ პომოგენური წვის პროცესს, ითვალისწინებს იმას, რომ ნარევის პომოგენიზაციაზე და აალების შეფერხებაზე გავლენა (ძრავას სამუშაო ციკლის სხვა პარამეტრებთან ერთად) უნდა განხორციელდეს ნამუშევარი აირების რეცირკულაციის ხარისხის რეგულირებით.

ცხადია, რომ საავტომობილო დიზენის შემთხვევაში, HCCI პროცესის განხორციელების სირთულისაგან განსხვავებით, ნაწილობრივ პომოგენური წვის პროცესი (წვის კინეტიკური ფაზის გაბატონებული მდგრადმარეობით) პრაქტიკულად მეტად საინტერესოა, რადგან იგი არ საჭიროებს ტრადიციული, სერიული დიზენის საწვავიმწოდი სისტემის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

HCCI პროცესი, როგორც დიზენისა და ბენზინის ძრავების კლასიკური სამუშაო ციკლების ჰიბრიდი. დიზენებისა და ბენზინის ძრავების მძაფრმა კონკურენციამ, როგორც ეს მათი განვითარების ისტორიიდან ჩანს, მეტობაგანვე შეუწყო ხელი ისეთი ახალი, ალტერნატიული სამუშაო პროცესების ორგანიზებას, რომლებიც შეძლებდა ამ პრინციპულად განსხვავებული ძრავების დადგებითი თვისებების ერთ ძრავაში გაერთიანებას.


სამუშაო ციკლების დამახასიათებელი ნიშან-თვისებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ HCCI პროცესის მქონე ძრავა არის დიზენისა და ბენზინის ძრავების ჰიბრიდი. აქ უნდა განვმარტოთ, რომ ჰიბრიდული ძრავები ამ შემთხვევაში გულისხმობს დაგუშიან ძრავებს, რომელთა სამუშაო ციკლი ხასიათდება დიზენისა და ბენზინის ძრავების ნიშან-თვისებათა კომბინაციით. ამ შემთხვევაში ბენზინის ძრავებს მიეკუთვნება ყველა ის ძრავა, რომლებიც ოტოს თერმოდინამიკური ციკლის შესაბამისად მუშაობს. ასეთი დაზუსტება საჭიროა, რადგან ჰიბრიდულ ძრავებს, წვეულებრივ, უწოდებენ ავტომობილის ძალურ აგრეგატს, რომელიც შედგება დაგუშიანი ძრავასა და ელექტროძრავასაგან [33].

ნაშრომში [34] განხილულია წვის პროცესი, რომელიც წარმოადგენს პომოგენური და ჰეტეროგენული წვის კომბინაციას. მასში ასევე მოცემულია დიზენებში პომოგენური წვის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. იდეალური პომოგენური ნარევის წვა. პომოგენური ნარევი მაშინაა იდეალური, როცა ლოკალური და ჯამური (ავტორების ტერმინოლოგიის მიხედვით – გლობალური [34]) პაერის სიჭარბის კოეფიციენტები ტოლია, ანუ $\alpha_{\text{c}} = \alpha_{\text{e}}$. ასეთი პროცესის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ გარე ნარევწარმოქმნით და შეესაბამება HCCI პროცესის კლასიკურ განმარტებას. იდეალური პომოგენიზაციის მისაღწევად გამოყენებული იყო აირისებრი საწვავი, კერძოდ ბუთანი, რომლის შეფრქვევაც ხორციელდებოდა შემშვებ ტრაქტზე;

2. პომოგენური დიზენური წვა. ასეთი წვა ხდება მაშინ, როცა პომოგენიზაცია შიგა ნარევწარმოქმნით მიიღწევა. ცილინდრში ერთი ციკლის განმავლობაში ხორციელდება უშუალო შეფრქვევა – ადრეული და მრავალჯერადი (განხილულ ნაშრომში – ხუთჯერადი [34]). ამასთან, ცალკეული შეფრქვევის დოზები თითქმის თანაბარია, ხოლო შეფრქვევის წნევა და ტემპერატურა ისეა შერჩეული, რომ წვის კამერის კედლებზე საწვავის რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობა მოხვდეს;


3. გაყოფილი, ანუ ორსტადიანი წვა (Split Combustion). ასეთი წვა, თავის მხრივ, პომოგენური და ჰეტეროგენული წვის კომბინაციაა. ოთხი ერთნაირი დოზის ხანმოკლე შეფრქვევით მიღებულ პომოგენურ ნარევში დაგვიანებით (მუხლა ლილვის თითქმის 70%-ის კუთხით მობრუნების შემდეგ) შეიფრქვევა საწვავის მე-5 დოზა (ნახ. 4), რომელიც წარმოქმნის ჰეტეროგენურ ნარევს, რის შედეგადაც წვა მიმდინარეობს ორ სტადიად: პირველია პომოგენური და მეორე – ჰეტეროგენული. წვის ორი, ერთმანეთისაგან გაყოფილი სტადიის არსებობა კარგად ჩანს მე-5 ნახ-ზე მოყვანილ დიაგრამაზე და ასევე მე-6 ნახ-ზე, რომელზეც ასახულია წვის კამერის ზედაპირებზე თბური ნაკადების სიმკვრივის ცვლილების გრაფიკები;




ნახ. 4. შეფრქვევის მახასიათებლები გაყოფილი, ანუ ორსტადიიანი, წვის დროს (დიზელის ძრავა – Daimler-Benz OM 500; დგუშის სვლა/ცილინდრის დიამეტრი – $S/D=150/130$ მმ/მმ; მაქსიმალური საშუალო ეფექტური წნევა – $p_e=18$ ბარი $n=1800$ წთ⁻¹ მუხლა ღილვის ბრუნვის სიხშირის დროს; კუმულაციის ხარისხი – $\varepsilon=14,7$; შეფრქვევის სისტემა – CR. მუშაობის რეჟიმი: $p_e=18$ ბარი, $n=1100$ წთ⁻¹, $\alpha=2,77$, ჩაბერვის პაერის წნევა $p_k=1,5$ ბარი, ხოლო ტემპერატურა $T_k=41$ °C, ნამუშევარი აირების რეცირკულაციის გარეშე)

4. ჩვეულებრივი (ტრადიციული) პეტეროგენული ნარევის დიზელური წვა წინასწარი (საპილოტე) და ძირითადი შეფრქვევით. წვის ეს პროცესი გამოყენებულია პირველ სამ პროცესთან შესაძარებლად.

პომოგენური წვის კალევები ჩატარდა დაბალი დატვირთვების დროს (სრული დატვირთვების თითქმის 50 %-ის ჩათვლით) სატვირთო ავტომობილის დიზელის ძრავაზე. დიზელის მუშაობის რეჟიმების დიაპაზონების შემდგომმა გაფართოებამ პომოგენური წვა გაართულა და სასურველი ეფექტი ვერ იქნა მიღწეული. ამიტომ დამუშავდა ახალი წვის პროცესი – გაყოფილი, ანუ ორსტადიიანი, წვა (Split Combustion), რომელიც საშუალებას იძლევა Euro-5-ის ნორმებამდე შემცირდეს აზოტის ჭანგეულებისა და ჭვარტლის ემისია. პარალელურად ასევე ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები წვის კამერის თბოგადაცემაზე, რომლებმაც ცხადყო, რომ ფუნდამენტური ცვლილებები პომოგენური წვის პროცესში ჩვეულებრივ დიზელის პროცესთან შედარებით შეუმნეველი იყო და გამოკვლეული რეჟიმების დიაპაზონში არ შეინიშნებოდა დეტალებზე თბერი დატვირთვების ზრდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თანამედროვე დიზელების ფორსირებისას მექანიკური დატვირთვები სწრაფად იზრდება, პირველ რიგში, წვის ხანგრძლივობის შემცირებისა და ციკლის მაქსიმალური წნევის ზრდის გამო. თბოგადაცემის საანგარიშო ცნობილი ნახევრად ემპირიული ფორმულები (G. Woschni, G. Hoberberg, M. Bargede და სხვ.) მოითხოვს დაზუსტებას განსაკუთრებით თბოგადაცემის (ორსტადიიანი) პროცესის შემთხვევაში [34, 35].



ნახ. 5. თბოგამოყოფა და თბოგამოყოფის სიჩქარე ორსტადიიანი წვის დროს (დიზელის ძრავა – Daimler-Benz OM 500, მუშაობის რეჟიმი იხილეთ მე-4 ნახ-ზე)



ნახ. 6. ღგუშისა და ცილინდრის თავის წვის კამერის კონტურის ზედაპირებზე თბური ნაკადების გასაშუალოებული სიმკერივეები (დიზელის ძრავა – Daimler-Benz OM 500, მუშაობის რეჟიმი იხილეთ მე-4 ნახ-ზე)

გამოქვეყნებული ნაშრომების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ეფექტური და ეკოლოგიური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად აუცილებელია ახალი, ალტერნატიული წვის პროცესების შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია. მაგრამ ასევე ნათელია, რომ ზოგიერთ მიღებობასა და მეთოდს, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე ღგუშისანი ძრავების თეორიაში და დაფუძნებულია დიზელის ტრადიციული წვის პროცესის ფიზიკურ-ქიმიურ ანალიზე, დასჭირდება

გადახედვა. ამ თვალსაზრისით იზრდება ფუნდამენტური კვლევების როლი, რომლებიც დაეფუძნება დიზელების სამუშაო პროცესის, ტურბულენტური წვისა და მავნე ნივთიერებების წარმოქმნის თანამედროვე, მაღალი რანგის მათემატიკურ მოდელებს.

დასკვნა

დღეისათვის დგუშიანი შიგაწვის ძრავები, როგორც ენერგიის წყარო, ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში – ხელის აგრეგატებიდან და ავტომობილებიდან დაწყებული და მძლავრი გენერატორებითა და დიდი გემებით დამთავრებული. დგუშიანი ძრავა არის არა მარტო ყველაზე გავრცელებული ენერგიის გარდამქმნელი, არამედ პირველ რიგში ყველაზე ეკონომიური თბური ძრავა. მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა და განვითარების გრძელი ისტორიისა, დღეისათვის არაა ამოწურული ამ ძრავების შემდგომი სრულყოფის პოტენციალი.

ბენზინისა და დიზელის ძრავებს თავად აქვს სრულყოფის საკმაოდ მაღალი პოტენციალი და განვითარების ახალი დონეების მიღწევის შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ჩაბერვის, აირცვლისა და საწვავის უშეალო შეცრკვევის ახალი სისტემების გამოყენებას; ხახუნსა და დამატებითი აგრეგატების აძვრაზე დანაკარგების შემცირებას; რეგულირებადი მწარმოებლურობის მქონე დამატებითი აგრეგატების გამოყენებას; გაუმჯობესებული ფიზიკური თვისებების მქონე ალტერნატიული მასალებისა და შენადნობების დაწერგვას.

ეკოლოგიური და საწვავის ეკონომიური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი, ალტერნატიული წვის პროცესების შემუშავება. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ალტერნატიული პროცესების დახვეწა, რომლებიც უზრუნველყოფს მუშა სხეულიდან არინებული სითბოს, გამონაბოლქვი აირებისა და გაგრილების სითბოს გამოყენებას, რადგან ისინი, თვის მხრივ, დანაკარგების დიდ ნაწილს შეადგენს.

ეკოლოგიური მახასიათებლების გასაუმჯობესებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წვის პროცესის სრულყოფა, კერძოდ, სერიულ ძრავებზე პომოგენური წვის რეალიზაცია. პომოგენური ნარევის კუმშვით აალების სხვადასხვა ალტერნატიული წვის პროცესის მოკლე ანალიზი ცხადყოფს, რომ HCCI პროცესს, როგორც დიზელისა და ბენზინის ძრავების კლასიკური სამუშაო ციკლების პიბრიდს, დიდი პერსპექტივები აქვს.

ამრიგად, ალტერნატიული (ნაწილობრივ პომოგენური) წვის პროცესის შესამუშავებლად აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი უნდა იყოს პომოგენური ნარევი, როგორ უნდა მოხდეს ასეთი ნარევის აალება და როგორ შეიძლება წვის პროცესის კონტროლი. ამასთან, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საწვავის კუთრი ხარჯის შესაძლო ზრდას (რაც გამოწვეულია კუმშვის ხარისხის შემცირებით) და უფრო ხისტ (თბური აფეთქების მსგავს) წვას.

ზემოთ განხილული ძირითადი პუბლიკაციების (რომლებიც ეხება ახალი, ალტერნატიული პროცესების შემუშავებას და მიზანმიმართულია დგუშიანი ძრავების ეკოლოგიური და ეფექტური მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად) ანალიზურმა მიმოხილვამ დიზელების შესახებ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოვცა:

- დასაბუთებულია ახალი, ალტერნატიული (ნაწილობრივ პომოგენური) წვის პროცესის, როგორც დიზელის წვის პროდუქტებში აზოვის ჟანგეულებისა და ჭვარტლის ერთდროულად შემცირების მეთოდის, ჟანგარებებისა და მიზანმიმართულია დგუშიანი ძრავების ერთდროულად შემცირების მეთოდის გამოყენება და დიზელის ცილინდრში მიმდინარე თბოფიზიკური პროცესების გადაწყვეტა ნავიუსტოქსის ფუნდამენტური განტოლებებით.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. H. Eichlseder, M. Klüting, W. F. Piock. Grundlagen und Technologien des Ottomotors. Springer Verlag. 2008, ISBN 978-3-211-25774-6.
2. H. Kemper, H. Baumgartner R. Habermann, K. Yapici, S. Pischinger. Der Weg zum Konsequenteren Downsizing-Motor mit kontinuierlich Verdichtungsverhältnis in einem Demonstrationsfahrzeug. MTZ, N7/8, 2003, s. 398-404.
3. Махалдiani В. В., Эджибия И. Ф., Леонидзе А. М., Двигатели внутреннего сгорания с автоматическим регулированием степени сжатия, Тб.: Мецниереба, 1980. - 270 с.
4. G. Merker, Ch. Schwarz, R. Teichmann (Hrsg.). Grundlagen Verbrennungsmotoren. Funktionsweise, Simulation, Messtechnik. 6. Auflage. Vieweg Teubner-Verlag//Springer Fachmedien Wiesbaden GmbH. 2014, - 795 s.
5. R. Basshuyse, F. Schäfer (Hrsg.). Handbuch Verbrennungsmotor. Grundlagen, Komponenten, Systeme, Perspektiven. 4 aktualisierte und erweiterte Auflage. Vieweg & Sohn Verlag, Wiesbaden. 2014, -1040 s.
6. H. Zhao (edit.). HCCI and CAI Engines for the Automotive Industry// CRC Press. Boston, New York, Washington. 2007, -557 p.
7. Ch. Bartsch. Auf dem Weg zum homogenen Verbrennung // MTZ. N 5, 2001, s. 386-389.
8. Кавтарадзе Р.З. Теория поршневых двигателей. Специальные главы. М.: МГТУ им. Н.Э. Баумана, 2008, - 720 с.
9. G. Woschni. Verbrennungsmotoren. 2. Auflage. TU München, 1988, - 303 s.
10. Кавтарадзе Р.З. Локальный теплообмен в поршневых двигателях. 2-е изд., М.: МГТУ им. Н.Э. Баумана, 2007, - 472 с.
11. K. Gersdorff, K. Grasmann, H. Schubert. Flugmotoren und Strahltriebwerke. Bernard & Graefe Verlag. 1995.
12. <http://www.ecomotors.com>.
13. <http://www.achatespower.com>.
14. Honda <http://world.honda.com/motorcycle-technology/vtec/p3.html>, August, 2011.
15. M. Klüting, C. Landerl. Der neue Sechszyylinder-Ottomotor von BMW. Teil 1: Konzept und konstruktive Merkmale. MTZ, N12, 2004, s. 868-880.
16. K. Hirschfelder, R. Hofmann, E. Jägerbauer, C. Schausberger, J. Schopp. Der neue BMW-Achtzylinder-Ottomotor. Teil 1: Konstruktive Merkmale. MTZ, N7/8, 2001, s. 630-640.
17. S. And, K. Chujo. Der neue Nissan V8-Benzinmotor mit variabler Ventiltechnik (VVEL) und Direkteinspritzung. 31. Wiener Motorensymposium, 2010.
18. J. Harada, T.Yamada, K. Watanabe. Toyota Motor Corporation: Der neue 4-Zylinder Ottomotoren mit VALVEMATIC-system. 29. Wiener Motorensymposium, 2008.
19. K. Lang. Geschichte des Motors. BMW Mobile Tradition. München, 1999.
20. MurataS.et.al. http://www.mitsubishimotors.com/corporate/about_us/technolgy/review/e/pdf/2003/15E08.pdf
21. S. Zima. Ungewöhnliche Motoren. Vogel Buchsverlag, 2005, ISBN 3-8023-1995-8.
22. W. C. Albertson, U. D. Grebe, A. B. Rayl, F. J. Rozario. Displacement on Demand – der Antrieb von morgen mit Zylinderabschaltung. MTZ, Sonderheft „Antriebe in Zukunft“, 12, 2005.
23. მ. ქავთარაძე, მ. დლონიშვილი, თ. ნატრიაშვილი, საავტომობილო შიგაწვის ძრავების ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესების გზები // მეცნიერება და ტექნოლოგიები, №2(716), თბ., 2014, გვ. 33-40.
24. R. Z. Kavtaradze. EOLSS-Encyclopedia of Life Support Systems/Thermal to Mechanical Energy Conversion Engines and Requirements/Chapter 13.11.1.3. Thermodynamic Cycles of Reciprocating and Rotary Engines. Bruxelles, New-York, Paris, London. Eolss Publishing. <http://www.eolss.net/Eolss-sampleAllChapter.aspx>. 2005.- 35 p.
25. R. Z. Kavtaradze, T. M. Natriashvili, A. A. Zelentsov. Ignition Delay and Emission of the Noxious Substances in Double-Fuel Engines Working on the Natural Gas and Syngases//Chahter 15 (p. 109-120) in the Book: Innovative Methods for Improvement of Technical, Economic and Ecological Efficiency of Motor Cars (ISBN:978-1-63463-671-1). NOVA-Publishers. New-York, 2015, -138 p.
26. R. Z. Kavtaradze, A. I. Gaivoronskii, V. A. Fedorov, D.O. Onishchenko, A. V. Shibanov. Calculation of Radiative-Convective Heat Transfer in the Combustor of Diesel Engine. High Temperature. Vol. 45, N5. -2007, p. 673-680.

27. R. Z. Kavtaradze, R. Zeilinger, G. Zitzler. Ignition Delay in a Diesel Engine Utilizing Different Fuels. High Temperature. Vol. 43, N6, 2005, p. 951-960.
28. S. M. Frolov, A. A. Scripnik, R. Z. Kavtaradze. Modeling of Diesel Spray Ignition. Semenov Memorial. Combustion and Atmospheric Pollution. M.: Torus Press Ltd. 2003, p. 220-227.
29. Скрипник А.А., Фролов С.М., Кавтарадзе Р.З., Эфрос Б.В. Моделирование воспламенения в струе жидкого топлива// РАН. Химическая физика, №1, т. 23, 2004, с. 54-61.
30. K. Akihama, Y. Takatori, K. Inagaki. Mechanism of the Smokeless Rich Diesel Combustion by Reducing Temperature // SAE Paper 2001-01-0655.
31. R. Z. Kavtaradze, S. S. Sergeev. New Alternative (Partially Homogeneous) Combustion Process, as a Method for Reduction of Concentrations of Nitric Oxides and Soot in Combustion Products of Diesel. High Temperature. Vol.52, №2, 2014, p. 285-299.
32. R. Z. Kavtaradze, S. S. Sergeev. Method for Reduction of Concentrations of Nitric Oxides and Soot in Combustion Products of Diesel. Problems of Mechanics. IFToMM. Special Issue International Conference Mechanics-2014. June, 19-21, N2(55), Tb., Georgia. 2014, p. 112-115. ISSN: 1512-0740.
33. C. Stan. Alternative Antriebe für Automobile – Hybridsysteme, Brennstoffzellen, alternative Energieträger. Springer Verlag. 2008, ISBN: 978-3-540-76372-7.
34. E. Müller, Ch. Weiskirch, E. Bach, Th. Emmrich, A. Schneemann. Homogene Dieselverbrennung – Verfahren zur Emissionsreduzierung. Teil 2: Untersuchungen am Nfz-Motor. MTZ, N11. 2006, s.906-917.
35. E. Bach, Th. Emmrich, A. Schneemann. Homogene Dieselverbrennung. Oberflächentemperaturmessung und lokaler Wärmeübergang. FVV, Heft R 535 (2006). Informationstagung, 19 September, Würzburg, 2006, s. 281-305.

ON THE METHODS OF PERFECTION OF THE DIESEL WORKING PROCESS AND NEW, ALTERNATIVE PARTIALLY HOMOGENEOUS BURNING PROCESS**M. Glonti, R. Kavtaradze, T. Natriashvili**

(R. Dvali Institute of Machine Mechanics, N. Bauman Moscow State Technical University)

Resume: Improvement of ecological characteristics of the internal combustion engines, including the diesels is very important and actual for the modern motor-car construction all over the world. One of the basic ways for its achievement is perfection of the complex physical and chemical processes taking place in the engine cylinder and namely burning process.

The potential of the further perfection of working processes of the piston machines is estimated in the paper by the following factors: initial parameters of the ideal thermo-dynamical cycle; burning process and its control; heat-transfer process; air exchange process and mechanical losses.

By the analysis of works carried out on the researches into burning process of the diesel is shown, that there is a so called 'conflict of aims~ between the methods of reduction of concentrations of the nitric oxide and soot, which is expressed by the fact, that decrease of the one of them (for example $[NO_x]$) causes increase of concentration of the another and inversely. Because of this, both, the researchers and the manufacturers of the internal combustion engines are obliged to meet each other half-way, that means decrease of one of them at the expense of increase of another.

Advantage of the modern methods of perfection of the diesel working process and new, alternative (partially homogeneous) burning process, as a method of simultaneous decrease of of nitric oxides and soot concentrations in comparison with the existent traditional methods is ascertained and the concrete measures to be taken for solution of the problem are shown.

Key words: alternative burning process; burning process; diesel; ecology; HCCI process; nitric oxide; partially homogeneus mixture; soot.

О МЕТОДАХ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ РАБОЧЕГО ПРОЦЕССА ДИЗЕЛЯ И О НОВОМ, АЛЬТЕРНАТИВНОМ, ЧАСТИЧНО-ГОМОГЕННОМ ПРОЦЕССЕ СГОРАНИЯ**Глонти М. Г., Кавтарадзе Р. З., Натриашвили Т. М.**

(Институт механики машин им. Р. Двали, Московский государственный технический университет им. Н. Э. Баумана)

Резюме: Для современного двигателестроения всего мира весьма значительным и актуальным является улучшение экологических показателей двигателей внутреннего сгорания, в том числе дизелей, для достижения которого одним из основных путей является улучшение сложных физико-химических процессов, происходящих в цилиндре двигателя, в частности, улучшение процесса сгорания.

В статье потенциал дальнейшего улучшения рабочего процесса дизелей оценен следующими факторами: начальными параметрами идеального термодинамического цикла, процессом сгорания и его управлением, процессом газообмена и механическими потерями.

Анализом проведенных работ по исследованию процессов сгорания в дизелях выявлено, что среди методов уменьшения сажи и окиси азота возникает т.н. «конфликт целей», что выражается в том, что уменьшение одного компонента (например $[NO_x]$) вызывает увеличение концентрации второго (сажи), и наоборот. Поэтому и исследователи и производители двигателей внутреннего сгорания вынуждены выбирать компромиссный вариант, который подразумевает сокращение одного за счет увеличения второго.

Проанализованы современные методы улучшения рабочего процесса дизелей и обосновано преимущество нового, альтернативного (частично-гомогенного) процесса сгорания как одновременного сокращения концентрации сажи и окиси азота, по сравнению с традиционными методами, и приведены конкретные мероприятия для решения проблемы.

Ключевые слова: альтернативный процесс сгорания; дизель; HCCI процесс; окись азота; процесс сгорания; сажа; частично-гомогенная смесь; экология.

ბუნებრივი აირების გეოქიმია

მდ. აჭარის ზეპლის ხეობაში ბუნებრივი აირგამოვლინებების ქიმიური შედეგების და გამოცემისა და გამოცემის შესახებ

ბადრი მხეიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდროგეოლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ბუნებრივი აირგამოვლინებების ქიმიური შედეგების და გავრცელების კანონზომიერებაზე მდ. აჭარის ზეპლის ხეობაში. ფაქტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია პროგნოზი ბუნებრივი აირების შედეგებისა და შემოდინების ინტენსიურობის შესახებ გვირაბების გაყვანის შემთხვევაში, რაც უკავშირდება აჭარის ზეპლის ხეობაში პიდროგელქროსადგურების მშენებლობას.

საკვანძო სიტყვები: აჭარის ზეპლის ხეობა; ბუნებრივი აირგამოვლინებები; გვირაბები.

შესავალი

მდ. აჭარის ზეპლის ხეობას აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უკავია. იგი აგებულია უპირატესად შუალედური გულკანოგენურ-დანალექი ქანებით, რომელთა სისქე რამდენიმე კილომეტრს შეადგენს. ამ წყებას ორ ნაწილად ყოფენ: ერთია ქვედა, ანუ შრეებრივი, რომელიც წარმოდგენილია ტუფქვიშაქვებით, ტუფტრექჩებით, ქვიშაქვებით და არგილიტებით და, მეორე, ზედა, უხეშნატეხოვანი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია უხეშნატეხოვანი ტუფტრექჩებით, ტუფებით და ანდეზიტების განვენებით. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ტერიტორიაზე უმეტესად ზედა დასტის ქანებია განვითარებული, ხოლო ქვედა დასტალოკალურადა გაშიშვლებული დიდი ანტიკლინების თაღებში. შუალედურ ვულკანოგენებში ხშირად ვხვდებით სიენიტური და სიენიტ-დიორიტული შედეგების მომცრო ინტრუზიულ სხეულებს, რომლებთანაც დაკავშირებულია პიდროთერმული გამადნებები, კერძოდ, მერისის სპილენის გამადნება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაოჭა სტრუქტურები გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ. აქ აღინიშნება წყვეტილი აშლილობებიც. დიდი გამწერების შესხლებებს ასევე ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ან კვაზიგანედური მიმართულება აქვს. ამასთან, მდ. აჭარის ზეპლისა და მისი დიდი შენაკადების კალაპოტების მიმართულება მეტ-ნაკლებად ემთხვევა რღვევების მიმართულებებს.

აჭარის ზეპლის ხეობა ბუნებრივი აირების გამოსავლებით დარიბია საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. სავარაუდოდ ეს მოვლენა გამოწვეულია ორი მკვეთრად განსხვავებული მიზეზით: ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებების თავისებურებებით და ღრმა ბურდილების არარსებობით. უნდა ითქვას, რომ აქ აირების მშრალი გამოსავალი დაფიქსირებული არაა. ყველა აირგამოვლინება მიწისქვეშა წყლებთან, კერძოდ, მინერალურ წყლებთან არის დაკავშირებული.

ძირითადი ნაწილი

მდ. აჭარის ზეპლის ხეობაში გავრცელებულია ორი ტიპის აირგამოვლინება: ნახშირორჟანგიანი და აზოტიანი.

ნახშირორჟანგიანი აირგამოვლინებები (5 წყარო), როგორც წესი, აღინიშნება ინტრუზიული სხეულების სიახლოებებს, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ CO₂ პოსტვულკანური პროცესების ერთ-ერთი ბოლო პროდუქტია. ამ აირთან ასოცირებული მინერალური წყლები მცირებად, იშვიათად,

საშუალო მინერალიზაციისაა – 1,9-დან 6,0 გ/ლ-მდეა (იხ. ცხრილი). საინტერესოა, რომ ხეობის ქვედა და შეა წელში (მინერალურ წყლებში) შეინიშნება სულფატ-იონის გაზრდილი შედგენილობა, სამაგიეროდ აჭარისწყლის სათავეებში (ხიხაძირის და დანისპარაულის მინერალურ წყლებში) სულფატი უკანა პლანეტა ან, საერთოდ, მაკროკომპონენტურ შედგენილობაში ვერ აისახება.

ნახშირორჟანგიან აირგამოვლინებებში სპონტანური აირგამოყოფა ფიქსირდება მხოლოდ ორ პუნქტში – კოკოტაურსა და ხიხაძირში, სადაც აირული ფაქტორი (აირის დებიტის შეფარდება წყლის დებიტთან) დაბალია: კოკოტაურში 0,5-ია, ხოლო ხიხაძირში – 0,1. სხვაგან მხოლოდ გახსნილი ნახშირორჟანგიანი აირია. ნახშირორჟანგიან აირგამოვლინებებში CO_2 -ის შემცველობა 100 %-ს აღწევს. იგი შედარებით დაბალია (დაახლოებით 88 %) ნამონასტრევის ქვედა წყაროში. აღსანიშნავია, რომ მეთანი ან მისი პომოლოგები ამ ტიპის აირგამოვლინებებში არსად ფიქსირდება. აზოტი თოთქმის ყველგან გვხვდება, მაგრამ იშვიათია, რომ 10 %-ს აღემატებოდეს.

მონაცემები აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივი აირგამოვლინებების შესახებ

№	გამოვლინებების დასახელება	ადგილმდებარება	აირების შედგენილობა, მოც. %						განსაზღვრული სტატუსი	აირების დოზა	წყლის ქიმიური შედგენილობის ფორმულა	წლის ტემპ. °C	წლის დენს. კg/m³					
			სპონტანური			გახსნილი												
			CO_2	CH_4	N_2	CO_2	CH_4	N_2										
ა) ნახშირჟანგიანი აირგამოვლინებები																		
1	კოკოტაური	ქარის მუნიციპალიტეტი	100	–	–	91,7	–	8,3	20	0,5	$M_{3,0} \frac{HCO_3 75SO_4 24}{Ca48 Mg27 Na23}$	10	3500					
2	ნამონასტრევი, ქვედა წყარო	8 ქმ ქვედიდან	–	–	–	87,7	–	12,3	–	–	$M_{2,2} \frac{SO_4 45 HCO_3 40}{Na49 Ca40}$	16	4300					
3	ნამონასტრევი, ზედა წყარო	– – –	–	–	–	89,5	–	10,5	470	–	$M_{1,9} \frac{SO_4 43 HCO_3 41}{Ca48 Na39}$	13,5	4300					
4	ხიხაძირი, ქვედა წყარო	ხულოს მუნიციპალიტეტი; მდ. სხალთის სათავე	99,8	–	0,2	94,9	–	5,1	870	0,1	$M_{5,7} \frac{Cl 35 HCO_3 32 SO_4 30}{Na49 Ca40}$	10	850					
5	დანისპარაული (ზანგა)	ხულოს მუნიციპალიტეტი	–	–	–	94,4	–	5,6	680	–	$M_{5,0} \frac{HCO_3 99}{Na69 Mg25}$	11,5	500					
ბ) აზოტიანი აირგამოვლინებები																		
1	ცხმორისი	7 ქმ შეახვიდან	–	–	–	23,2	1,1	75,7	24	–	$M_{1,4} \frac{Cl 78 SO_4 13}{Ca82 Mg12}$	26,5	ჟარფ-დონე					
2	გუნდაური	ქვედის მუნიც., 2 ქმ ხოფ. მერისიდან	–	–	–	45,8	–	54,2	24	–	$M_{0,5} \frac{SO_4 95}{Ca46 Mg36}$	18	800					
3	ჩანჩხალო	5 ქმ შეახვიდან	–	–	–	18,9	10,9	70,2	22	–	$M_{0,5} \frac{Cl 46 HCO_3 42}{Na45 Ca43}$	23	600					
4	ბოგაური	8 ქმ ხულოდან	–	0,3	99,7	–	1,3	98,7	24	0,01	$M_{4,7} \frac{Cl 94}{Na94}$	30						
5	შებანი	25 ქმ შეახვიდან	–	–	–	7,1	–	92,9	18	–	$M_{0,2} \frac{SO_4 66 HCO_3 32}{Ca44 Na32 Fe18}$	31	27000					
6	ტომაშეთი	შეახვის მუნიც., მდ. ჩირუხისის სათავე	–	–	–	16,7	–	83,3	15	–	$M_{0,2} \frac{SO_4 60 CO_3 30}{Na61 Ca28}$	30	25000					

აზოტიანი აირგამოვლინებები (7 წყარო) გვხვდება სუბთერმულ წყლებთან (ტემპერატურა არა უმეტეს 31 °C) ასოციაციაში. ეს სუბთერმული ძალზე მცირე და სუსტი მინერალიზაციით გამოირჩევა და ფრიად ჭრელი ქიმიური შედგენილობით ხასიათდება. წყაროების დებიტი დაბალია: წვეთობრივიდან 0,3 ლ/წმ-მდე (ტომაშეთის წყარო). გამონაკლისია გუნდაურის ჭაბურლილი, სადაც მიღებული იყო დაბალმინერალიზებული სულფატურ-ჰიდროკარბონატული წყალი (დებიტი – 5,0 ლ/წმ). მაგრამ იგი ფაქტობრივივად სუბთერმებს არც მიეკუთვნება, რადგან მისი ტემპერატურა მხოლოდ 14 °C-ია. აზოტიანი აირის სპონტანური გამოვლინება მხოლოდ ერთ პუნქტში – ბოგაურის

წყაროში აღინიშნება. მის შედგენილობაში მეთანის შემცველობა მცირე რაოდენობით (0,3 %) ფიქსირდება. წყალში გახსნილ აირებში აზოტის წილი 54-დან 99 %-მდეა. მეთანი მცირე რაოდენობით (1,5 %) თითქმის ყველაზე შეიმჩნევა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ჩანჩხალოს წყაროს აირგამოვლინებაში 11 %-მდე CH_4 -ის არსებობა. საერთოდ, როგორც აზოტიანი აირებისთვისაა დამახასიათებელი, წყალში გახსნილი აირების მოცულობა აქაც დაბალია და 5 – 30 სმ³/ლ-ს შეადგენს. აზოტიანი აირგამოვლინებების შედგენილობაში ადსანიშნავია “ნახშირორჟანგი + მჟავე აირების” ჯგუფის მაღალი წილი, რაც, ჩვეულებრივ, დაახლოებით მთელი მოცულობის 20 %-ია, ხოლო გუნდაურის წყაროში 46 %-მდეა. ამ ჯგუფის შედგენილობაში შედის ძირითადად CO_2 , მაგრამ გეხვდება აგრეთვე H_2S , SO_2 და სხვ. რაც შეეხება გოგირდწყალბადს, წყალში გახსნილი მისი რაოდენობა (1,2 მგ/ლ-ზე მეტი) არსად დაფიქსირებულა.

დასკვნა

აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივი აირების აქ მოყვანილი დახასიათება შეეხება მხოლოდ ზედაპირულ გამოვლინებებს. გეოლოგიურ-საძიებო ბურღვითი სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში ქვედა პორიზონტებიდან მოსალოდნელია გაცილებით უხვი აირმოდინების მიღება, რომელიც შედგენილობით დიდად განსხვავებული არ უნდა იყოს ამჟამად დაფიქსირებული აირშედგენილობისაგან.

აჭარისწყლის ხეობის ბუნებრივი აირების გამოვლინებების მოყვანილ შედგენილობას და რაოდენობრივ დახასიათებას ორი ასპექტით აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთი მხრივ, იგი წანამდვარია მინერალური წყლების რესურსების გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დასაბუთებისა და სწორი მიმართულების განსაზღვრის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, მოსალოდნელ აირულ პირობებზე მიწისქვეშა ნაგებობების გაყვანის დროს ამ ხეობაში პიდროელექტროსადგურების და სხვადასხვა დანიშნულების კომუნიკაციების მშენებლობასთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთების საფუძველს იძლევა. კერძოდ, არსებული მონაცემებით ნაკლებმოსალოდნელია ნახშირწყალბადების (მეთანისა და მისი პომოლოგების) მიწისქვეშა გამონამუშევრებში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოდენა.

მიწისქვეშა წყლებში, გოგირდწყალბადის ძალზე მცირე შემცველობიდან გამომდინარე, ასევე ძალზე დაბალი ალბათობითაა მოსალოდნელი მიწისქვეშა გამონამუშევრებში მისი მოდენა. თუმცა სულფატური წყლების გავრცელების არეალში მისი არსებობის სრულად გამორიცხვა სწორი არ იქნება. განსაკუთრებით ეს ეხება ნამონასტრევის, ხიხაძირის, შუბანის და ტომაშეთის წყაროების მიდამოებს.

აჭარისწყლის ხეობის მიწისქვეშა გამონამუშევრებში (განსაკუთრებით დაბალ პორიზონტებში) მოსალოდნელია ნახშირორჟანგა აირის მნიშვნელოვანი ნაკადების მოდინება, რაც გასათვალისწინებელია მიწისქვეშა ნაგებობათა როგორც დაპროექტების, ისე მშენებლობის სტადიაზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Буачидзе Г. И., Мхеидзе Б. С. Природные газы Грузии. Тб.: Мецниереба, 1989.- 156 с.
2. Буачидзе Г. И., Мхеидзе Б. С. Геохимические режимные наблюдения газоносности Аджаро-Триалетской складчатой зоны. Фонды Сектора ГИГ АН ГССР, Тб., 1974.- 78 с.

GEOCHEMISTRY OF NATURAL GASES

ON THE CHEMICAL COMPOSITION AND DISTRIBUTION OF NATURAL GAS-SEEPAGES IN CANYON OF ADJARISTSKALI RIVER

B. Mkheidze

(Institute of Hydrogeology and Engineering Geology of Georgian Technical University)

Resume: There is discussed the chemical composition and the regularity of natural gas distribution in the Adjarietskali river canyon (Georgia). Based on the analysis of evidence, the forecast of natural gas flow composition and intensity in the case of tunneling, associated with the construction of hydroelectric power plants in the Adjarietskali river canyon was made.

Key words: Adjarietskali river canyon; natural gas-seepages; tunnels.

ГЕОХИМИЯ ПРИРОДНЫХ ГАЗОВ

О ХИМИЧЕСКОМ СОСТАВЕ И РАСПРОСТРАНЕНИИ ПРИРОДНЫХ ГАЗОПРОЯВЛЕНИЙ В УЩЕЛЬЕ Р. АДЖАРИСЦКАЛИ

Мхеидзе Б. С.

(Институт гидрогеологии и инженерной геологии Грузинского технического университета)

Резюме: В статье обсуждаются химический состав и закономерности распространения природных газопроявлений в ущелье р. Аджарисцкали (Грузия). На основании анализа фактических данных сделан прогноз о составе и интенсивности притока природных газов в случае проходки туннелей, связанных со строительством гидроэлектростанций в ущелье р. Аджарисцкали.

Ключевые слова: природное газопроявление; туннели; ущелье р. Аджарисцкали.

სეზონიან დღეთა რაოდენობის სივრცულ-დროითი ცვლილებები პახეთის ტერიტორიაზე

მიხეილ ფიფია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი)

რეზიუმე: კახეთის 10 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე 1961–2013 წლების პერიოდისათვის გამოკვლეულ იქნა სეზონიანობის დღეთა რაოდენობა, სეზონის მოსვლის პერიოდულობა, განმეორებადობა, სეზონიანობის არეალები. შეიქმნა სეზონიანობის დღეთა რაოდენობა გეოინფორმაციული რუკები.

საკვანძო სიტყვები: ნალექების რაოდენობა, სეზონი, სეზონიან დღეთა რაოდენობა, სეზონიანობის განმეორებადობა.

შესავალი

სეზონიან მიეკუთვნება სტიქიურ მეტეოროლოგიურ მოვლენებს. ხშირად მისი მოსვლა კატასტროფულ ხასიათს ატარებს და საგანგებო სიტუაციის შექმნის მიზეზი ხდება. ასეთ დროს სეზონის შეუძლია მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას, მოვლენის არეალში არსებულ ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტს, საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას. სეზონიან მრავალებრივი მოვლენის მრავალი ქვეყნის თვის (აშშ, ევროპავშირის ქვეყნები, ჩინეთი და ა.შ.), ისე საქართველოსთვისაც [1, 3, 5, 6]. ამიტომაც სეზონიანობის პრობლემის გადასაჭრელად საქართველოში მრავალი კვლევაა ჩატარებული [1-3, 5, 6].

საქართველოში სეზონიანობის და ზოგადად კლიმატოლოგიის უკეთი ძირითადი საკონტროლი – სეზონიან დღეთა რაოდენობა, ინტენსიურობა, ხანგრძლივობა, არეალები, ნალექების რაოდენობა და ინტენსიურობა, მრავალწლიური ცვალებადობა – შეჯამებულია 2014 წელს ჩვენი თანაავტორობით გამოქვეყნებულ სტატიაში [7]. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევა მაინც ზოგად ხასიათს ატარებს და ვერ სწორება ამ მოვლენის თავისებურებების დეტალებს საქართველოს ცალკეული რეგიონების დონეზე. თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე სეზონიანობის აქტიურობის თვალსაზრისით რაონები ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულია [7]. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული რაონია კახეთი, რომელსაც საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი უკავია.

ძირითადი ნაწილი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია კახეთში სეზონის წარმოშობის პირობები და სეზონით გამოწვეული შედეგები, საშუალო და უდიდეს სეზონიან დღეთა რაოდენობის განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებები, სეზონიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობა და მრავალწლიური ცვლილება.

მასალები და მეთოდები. კვლევაში გამოყენებულია რეგიონში განლაგებული 10 მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებათა მონაცემები 1961–2013 წლების პერიოდისათვის. რუკების ასაგებად საწყისი მასალების სახით გამოყენებულ იქნა კახეთის რეგიონის თითოეულ მუნიციპალურ რაიონში არსებული მეტეოროლოგიური სადგურის 1967–2004 წლების მონაცემები, გამოყენებულ იქნა ასევე მათემატიკური სტატიტიკის და ალბათობის თეორიის მეთოდები.

სეზონის წარმოშობის პირობები და სეზონის შედეგები. კახეთის პირობებში სეზონი წარმოიქმნება ფრთხილური ან შიგამასური პროცესების შედეგად. პირველ შემთხვევაში, როცა ხდება ციფი

და ოკლუტიის ფრონტების შემოჭრა, სეტყვა ვრცელდება დიდ ფართობზე და ხშირად აჭარბებს 50 კმ²-ს. მეორე შემთხვევაში პროცესი ვითარდება ჰაერის ერთგვაროვან მასაში კონვექციური პროცეს სების შედეგად. ამ შემთხვევაში სეტყვა ვრცელდება მცირე ფართობზე. შიგამასური პროცესის დროს სეტყვის ხანგრძლივობა არ აღემატება 10–15 წთ-ს.

სეტყვის პროცესების განვითარება რეგიონში დამოკიდებულია მის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე, განსაკუთრებით ოროგრაფიაზე. რთულ მეტოროლოგიურ და კონვექციურ პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს მთები, ზეგნები და მაღლობები. მთიან და მაღალმთიან რაიონებში წინააღმდეგობის დაძლევისას ჰაერის მიწისპირა შრეებში ძლიერდება ტურბულენტურობა და იზრდება კონვექციური ღრუბლიანობა, რაც გავლენას ახდენს სეტყვის დღეთა რაოდენობის განაწილების ხასიათზე.

კახეთში სეტყვის გამანადგურებელი შედეგების შესახებ საქმაო მასალად დაგროვილი. ჯერ კიდევ 1877 წელს გაზეოთ “ივერია” წერდა, რომ “ამა წლის 4 ივლისს კახეთში, გურჯაანის, ვეჯინის და ბაკურციხის ტერიტორიებზე მოვიდა მტრედის კვერცხის ზომის სეტყვა, რამაც მოლიანად გაანადგურა ნათესები და ვენახები”. მსგავსი კატასტროფული ხასიათის სეტყვა არაერთხელ მოსულა კახეთში. 1-ლ ცხრილში წარმოდგენილია სწორედ ასეთი გამანადგურებელი ხასიათის შემთხვევები.

1953 წლის 19 ივნისს საგარეჯოში მოსულმა სეტყვამ შექმნა 5–7 სმ სისქის საფარი. დაზიანდა ვენახები და ბადები. სეტყვის მარცვლის ზომები აღემატებოდა კაკლის ზომებს. მსგავსი სტიქიური მოვლენა განვითარდა 2012 წლის 19 ივლისს თელავში. გრიგალურ ქარს მოჰყვა ძლიერი სეტყვა, განადგურდა ვენახები, ბადები, ნათესები, შენობა-ნაგებობები. ზარალმა 150 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ცხრილი 1 ძლიერი სეტყვის შემთხვევები კახეთის რეგიონში (1877–2012 წწ.)

წელი	ოვე	რიცხვი	დაზიანებული ფართობი, კმ ²	დაზარალებული ტერიტორიები, უდიდესი ინტენსიურობის ცენტრი
1877	ივლისი	4	60	გურჯაანი, ვეჯინი, ბაკურციხე
1953	ივნისი	19	45	საგარეჯო
1978	მაისი	28	129	სიღნაღი
1982	მაისი	20	34	გურჯაანი, დედოფლისწყარო
1986	მაისი	21	30	გურჯაანი, რუსპირი
1987	მაისი	9	121	უდაბნო, ნუგრიანი
1887	მაისი	12	42	ნაფარეული
1987	ივნისი	4	18	გავაზი
1912	ივლისი	19	35	თელავი


სეტყვიან დღეთა რაოდენობის განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებები. მე-2 ცხრილში წარმოდგენილია სეტყვიან დღეთა საშუალო და უდიდესი რაოდენობა წლის განმავლობაში კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის.

ცხრილი 2 სეტყვიან დღეთა რაოდენობა კახეთში წლის განმავლობაში (1967–2004 წწ.)

რაიონი	სიმაღლე მ, ზ. დ.	სეტყვიან დღეთა რაოდენობა	სეტყვიან დღეთა უდიდესი რაოდენობა
ახმეტა	567	2.5	8
გურჯაანი	451	3.0	6
დედოფლისწყარო	800	1.7	7
თელავი	562	3.2	13
ლაგოდეხი	435	1.2	6
საგარეჯო	802	2.5	5
სიღნაღი	790	2.4	5
ყვარელი	448	1.7	5

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, სეტყვიან დღეთა ყველაზე ნაკლები საშუალო რაოდენობა დაფიქსირებულია ლაგოდების რაონბში. აქ სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა არ აღმატება 1.2-ს. ხოლო ყველაზე მეტი სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა აღინიშნება თელავის რაიონში და შეადგენს 3.2-ს. უდიდეს სეტყვიან დღეთა მაქსიმალური რაოდენობა აღინიშნება აგრეთვე თელავის რაიონში და შეადგენს 13 დღეს.

სეტყვიან დღეთა რაოდენობის განაწილებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში ტერიტორიის სიმაღლის ზრდა 500 მ-დან 2500 მ-დე იწვევს სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობის 2-3-ჯერ ზრდას, ხოლო სიმაღლის კიდევ უფრო გაზრდის შემთხვევაში სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა არ იცვლება და 3000 მ-დან საერთოდ წყდება [4]. კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ცენტრალურ ნაწილში სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობის ზრდა გრძელდება 2500–2800 მ სიმაღლემდე, შემდეგ კი მცირდება [7]. მე-2 ცხრილში წარმოდგენილი სადგურების სიმაღლეთა დიაპაზონი 400–800 მ-ს შეადგენს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია სეტყვიანობის სიმაღლის მიხედვით ცვლილების შეფასება. ამიტომ დამატებით იქნა გამოყენებული დაკვირვებათა შედარებით ძველი მასალა გომბორისა (ზ. დ. 1000 გ) და ცივი-ტურას (ზ. დ. 1990 გ) მეტეოროლოგიური სადგურებიდან. მათი გათვალისწინებით, სეტყვიან დღეთა რაოდენობის ცვლილება სიმაღლის მიხედვით კახეთის რეგიონში წარმოდგენილია 1-ლ ნახ-ზე.



ნახ. 1. სეტყვიან დღეთა რაოდენობის ცვლილება სიმაღლის მიხედვით;
შესაბამისი კვადრატული ფუნქციები და დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2)

როგორც 1-ლი ნახ-დან ჩანს, სეტყვიან დღეთა რაოდენობა სიმაღლის მიხედვით წრფივად იზრდება 2000 მ-დე. სამწუხაროდ, ამ სიმაღლის ზემოთ კახეთში მეტეოროლოგიური სადგური არ ფუნქციონირებს. ამიტომ ძნელია ვიმსჯელოთ სეტყვიანობის ცვლილების ხასიათზე მაღალმთიან ზონაში, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როგორც კავკასიის სხვა რეგიონებში, სეტყვიან დღეთა რაოდენობამ მაქსიმუმს აქაც შეიძლება დაახლოებით 2500 მ სიმაღლეზე მიაღწიოს, ხოლო უფრო ზემოთ შემცირდეს.

1-ლ ნახ-ზე წარმოდგენილია აგრეთვე წრფივი რეგრესიის განტოლებები, რომლებიც აღწერს სეტყვიან დღეთა რაოდენობის განაწილებას, და დეტერმინაციის კოეფიციენტები (R^2). დეტერმინაციის კოეფიციენტების მნიშვნელობების შესაბამისად ტერიტორიის სიმაღლის წვლილი სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობის ცვლილებაში 64 %-ს შეადგენს, ხოლო მისივე წვლილი სეტყვიან დღეთა უდიდესი რიცხვის ცვლილებაში, მხოლოდ 42 %-ია.


მე-3 ცხრილში წარმოდგენილია სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობის ცვლილება თვეების მიხედვით. როგორც ვხედავთ, კახეთში სეტყვა ძირითადად წლის თბილ პერიოდში მოდის და მოიცავს IV–X თვეებს.

ცხრილი 3


სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა თვეების მიხედვით

რაიონი	კვლევის პერიოდი, წლ.	სიმაღლე, მ, ზ. დ.	თვე						
			IV	V	VI	VII	VIII	IX	X
გურჯაანი	1961–2006	451	0.2	0,6	0.3	0.1	0.1	0,04	0.07
დედოფლისწყარო	1961–1992	800	0.3	0.3	0.5	0.09	0.1	0,1	0.09
თელავი	1964–2013	562	0.1	0.3	0.3	0.02	0.1	0.1	0.02
ლაგოდექი	1961–1992 2007–2013	435	0.07	0.2	0.07	0	0.02	0.02	0.1
საგარეჯო	1961–2006 2010–2013	802	0.2	0.2	0.3	0,1	0.1	0.1	0.02
სიღნავი	1961–1992	790	0.1	0.2	0.09	0.03	0	0	0.03
ყვარელი	1961–2006	448	0.02	0.06	0.3	0.02	0.07	0.1	0

მე-3 ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სეტყვის პროცესები კახეთში განსაკუთრებით აქტიურია გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, როდესაც იქმნება ხელსაყრელი პირობები კონკრეტური დრუბლების განვითარებისთვის. სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა მაქსიმუმს ძირითადად მაის-ივნისში აღწევს. მე-2 ცხრილის მონაცემების საფუძველზე შედგენილია სეტყვიან დღეთა საშუალო და უდიდესი რაოდენობის გეოინფორმაციული რუკები კახეთისთვის მუნიციპალური რაიონების საზღვრების ფარგლებში (ნახ. 2 და ნახ. 3).



ნახ. 2. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობის განაწილება კახეთის რაიონების მიხედვით



**ნახ. 3. სეტყვიან დღეთა უდიდესი წლიური რაოდენობის განაწილება
კახეთის რაიონების მიხედვით**

მე-2 ნახ-დან ჩანს, რომ სეტყვის პროცესები ყველაზე აქტიურია თელავის რაიონში, სადაც სეტყვიან დღეთა რაოდენობა წელიწადის განმავლობაში საშუალოდ აღემატება 3-ს. გურჯაანის რაიონში რამდენადმე ნაკლებია (2.6–3.0), ახმეტის, საგარეჯოსა და სიღნაღის რაიონებში კი მათი რაოდენობა შეადგენს 2.1–2.5-ს, ყვარლისა და დედოფლისწყაროს რაიონებში – 1.6–2.0-ს, ხოლო ლაგოდეხის რაიონში სეტყვიან დღეთა რაოდენობა 1.5-ზე ნაკლებია.


მე-3 ნახ-ის თანახმად, წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სეტყვიან დღეთა უდიდესი რაოდენობა აგრეთვე თელავის რაიონშია და შეადგენს 13-ს, ახმეტის რაიონში 8-ს, დედოფლისწყაროს რაიონში 7-ს, გურჯაანისა და ლაგოდეხის რაიონებში 6-ს, ხოლო სიღნაღის, საგარეჯოსა და ყვარლის რაიონებში მათი რაოდენობა არ აღემატება 5-ს.

სეტყვიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობა. მე-4 ნახ-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა გრადაციის სეტყვიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობათა პისტოგრამები და მათი აღმწერი შესაბამისი ფუნქციები კახეთის რეგიონის ყველა აღმინისტრაციული რაიონისათვის.

პისტოგრამების განხილვით გამოიკვეთა მათი 2 ტიპი. პირველი, როდესაც სეტყვა ყოველწლიური მოვლენაა, ანუ მას არ გააჩნია ნულოვანი გრადაცია. ეს თვისება დამახასიათებელია თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებისთვის. აქ სეტყვის ყველაზე მაღალი ალბათობა შესაბამება პირველ გრადაციას, ამ შემთხვევაში 1–3 დღეს. ამ გრადაციის განმეორებადობა დაახლოებით 80 %-ია, მხოლოდ თელავში შეადგენს 60 %-ს. შესაბამისად თელავში 30 %-მდე გაზრდილია მეორე გრადაციის, ანუ 4–6 სეტყვიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობა, რაც დანარჩენ რაიონებში გაცილებით ნაკლებია. 7 და მეტი სეტყვიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობა იშვიათი მოვლენაა და აღინიშნება მხოლოდ თელავის, დედოფლისწყაროს და ახმეტის რაიონებში, სადაც, შესაბამისად, შეადგენს 9, 3 და 3 %-ს. ასეთი ტიპის პისტოგრამები კარგად აღიწერება კვადრატული ფუნქციებით, რომელთა სახეები კონკრეტული რაიონებისათვის წარმოდგენილია გრაფიკებზე (ნახ. 4).


პისტოგრამების მეორე ტიპი შეიცავს სეტყვიან დღეთა რაოდენობის ნულოვან გრადაციას, ანუ ამ დროს შეიძლება მთელი წლის განმავლობაში სეტყვა არ მოვიდეს. ასეთი შემთხვევებია ყვარლის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონებში. უსეტყვო დღეთა რაოდენობის განმეორებადობა ლაგოდეხის რაიონში 34 %-ს შეადგენს, ხოლო ყვარლისა და დედოფლისწყაროს

რაიონებში – 5-5 %-ს. თუმცა სეტყვიანობის უდიდესი განმეორებადობა მაინც 1-3 დღეს შექსაბამება და ყვარლისა და დედოფლისწყაროს რაიონებში 90 %-ია, ხოლო ლაგოდეხის რაიონში – 60 %. მეორე ტიპის პისტოგრამები კარგად აღიწერება მესამე რიგის პოლინომებით, რაც აგრეთვე წარმოდგენილია გრაფიკებზე (ნახ. 4).



ნახ. 4. სხვადასხვა გრადაციის სეტყვიან დღეთა რაოდენობის განმეორებადობათა პისტოგრამები და მათი აღმწერი შესაბამისი ფუნქციები

სეტყვიან დღეთა რაოდენობის მრავალწლიური ცვლილება. მე-5 ნახ-ზე წარმოდგენილია სეტყვიან დღეთა რაოდენობის მრავალწლიური სვლა თელავის და კახეთის 8 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით.



ნახ. 5. სეტყვიან დღეთა რაოდენობის მრავალწლიური სვლა: а) მთელი რიგის მიხედვით;
б) 1985 წლის მონაცემების გაუთვალისწინებლად

სეტყვიან დღეთა რაოდენობის საუკუნოვან სვლაში, როგორც თელავის, ისე კახეთის 8 პუნქტის მონაცემების გათვალისწინებით, პირი აღინიშნება 80-იან წლებში და შემდეგ კლებულობს (ნახ. 5 ა). ეს გამოწვეულია იმით, რომ 1985 წელს დაფიქსირდა სეტყვიან დღეთა მრავალი შემთხვევა. შეოლოდ თელავში ამ წელს 13 სეტყვიანი დღე აღინიშნა, ხოლო კახეთის 8-ვე სადგურის მონაცემებით სეტყვიან დღეთა რაოდენობამ ჯამში 38-ს მიაღწია. როგორც ჩანს, ეს წელი ანომალიური იყო, რადგანაც სხვა შემთხვევაში სეტყვიან დღეთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, თელავში განხილულ პერიოდში სეტყვიან დღეთა რაოდენობა იცვლებოდა 1-დან 7-მდე და ამ ფონზე 1985 წელს სეტყვა მოვიდა 13-ჯერ, რაც თითქმის ორჯერ აღემატება სეტყვიან დღეთა რაოდენობის მაქსიმუმს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა სადგურების მონაცემებშიც. ამიტომ სეტყვიანობის მრავალწლიური ცვლილების ტენდენციის სწორად შესაფასებლად მიზანშეწონილია ამ წერტილის გაუთვალისწინებლობა. ასეთ შემთხვევაში ვდებულობთ მე-5 ბ ნახ-ზე წარმოდგენილ შედეგს. როგორც ამ შედეგიდან ჩანს, თელავის მონაცემებით, სეტყვიან დღეთა რაოდენობას არ გააჩნია მატების ან კლების არსებითი ტენდენცია. რაც შეეხება ყველა მეტეოროლოგიური სადგურის შემაჯამებელ მონაცემებს, აშკარაა სეტყვიან დღეთა რაოდენობის კლების ტენდენცია. განსაკუთრებით სწრაფად იკლებდა სეტყვიანობა 1990 წლის შემდეგ, ანუ ინგენსიური გლობალური დათბობის პერიოდში. ამავე ნახაზიდან ჩანს, რომ სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების პერიოდში (1967–1989 წლები), სეტყვიანობის რაიმე შესამჩნევი კლება არ აღინიშნება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველაზე ნაკლები სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა აღინიშნება ლაგოდების რაორნში – 1.2 და ნაკლები. ხოლო ყველაზე მეტი თელავის რაორნში და შეადგენს 3.2-სა და უფრო მეტს;

სეტყვიან დღეთა რაოდენობის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტერიტორიის სიმაღლე, სეტყვიან დღეთა რაოდენობა სიმაღლის მიხედვით წრფივად იზრდება 2000 მ-მდე, მაქსიმუმს შეიძლება მიაღწიოს 2500 მ-ზე, ხოლო შემდეგ მცირდება;

კახეთში სეტყვა ძირითადად წლის თბილ პერიოდში მოდის და მოიცავს IV–X თვეებს. სეტყვის პროცესები კახეთში განსაკუთრებით აქტიურია გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, რო-

დესაც იქმნება ხელსაყრელი პირობები კონვექციური დრუბლების განვითარებისათვის. სეტყვიან დღეთა საშუალო რაოდენობა მაქსიმუმს ძირითადად მაის-ივნისში აღწევს;

სხვადასხვა გრადაციის სეტყვიან დღეთა რაოდენობის განვითარებადობის კვლევისას გამოიკვეთა მათი ორი ტიპი: პირველი, როდესაც სეტყვა ყოველწლიური მოვლენაა, ანუ მას არ გააჩნია ნულოვანი გრადაცია. ასეთია კახეთის რაიონების უმეტესობა, კერძოდ, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაძის და საგარეჯოს რაიონები; მეორე ტიპი შეიცავს სეტყვიან დღეთა რაოდენობის ნულოვან გრადაციას, ანუ ამ შემთხვევაში შეიძლება მთელი წლის განმავლობაში სეტყვა არ მოვიდეს. ასეთი პირობებია ყვარლის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონებში, ამ უკანასკნელში უსეტყვო დღეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია და შეადგენს 34 %-ს.

რაც შეეხება ყველა მეტეოროლოგიური სადგურის შემაჯამებელ მონაცემებს, აშკარაა სეტყვიან დღეთა რაოდენობის კლების ტენდენცია. განსაკუთრებით სწრაფად იკლებდა სეტყვიანობა 1990 წლის შემდეგ, ანუ ინტენსიური გლობალური დათბობის პერიოდში; ხოლო სეტყვის პროცესებზე აქტიური ზომების პერიოდში (1967–1989 წლ.) სეტყვიანობის რაიმე შესამჩნევი კლება არ აღინიშნება.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Амиранашвили А. Г., Нодия А. Г., Торонджадзе А. Ф., Хуродзе Т. В. Некоторые статистические характеристики числа дней с градом в теплое полугодие в Грузии в 1941–1990 гг. Труды Института геофизики АН Грузии, т. 58, 2003.
2. Гагуа В. П. Град. Опасные гидрометеорологические явления на Кавказе. Л.: Гидрометеоиздат, 1971.
3. Гигинеишвили В. М. Градобития в Восточной Грузии. Л.: Гидрометеоиздат, 1960.
4. Сулаквелидзе Г. К. Ливневые осадки и град. Л.: Гидрометеоиздат, 1967.
5. Сухишвили Э. В. Град. Климат и климатические ресурсы Грузии. Л.: Гидрометеоиздат, 1971.
6. Элизбарашивили Э. Ш., Элизбарашивили М. Э. Стихийные метеорологические явления на территории Грузии. Тб., 2012.
8. Элизбарашивили Э. Ш., Амиранашвили А. Г., Варазанашвили О. Ш., Церетели Н. С., Элизбарашивили М. Э., Элизбарашивили Ш. Э., Пипия М. Г. Градобитие на территории Грузии // European Geographical Studies, Vol. 2, No. 2, 2014.

SPATIAL AND TEMPORAL VARIATION OF THE NUMBER OF DAYS WITH HAIL IN THE TERRITORY OF KAKHETI

M. Pipia

(Institute of Hydrometeorology of Georgian Technical University)

Resume: According to observational data of 10 meteorological stations of Kakheti there was researched the number of days with hail during the period 1961-2013 years, periods of hailfall, duration, areas of hail.

There were developed GIS maps of the number of days with hail.

Key words: amount of precipitation; duration of hail-hits; hail; number of days with hail;.

ПРОСТРАНСТВЕННО-ВРЕМЕННЫЕ ИЗМЕНЕНИЯ ЧИСЛА ДНЕЙ С ГРАДОМ НА ТЕРРИТОРИИ КАХЕТИИ

Пипия М. Г.

(Институт гидрометеорологии Грузинского технического университета)

Резюме: По материалам наблюдений 10 метеорологических станций Кахетии исследованы число дней с градом за период 1961–2013 гг., периоды его выпадения, продолжительность, ареалы градобитий.

Разработаны геоинформационные карты числа дней с градом.

Ключевые слова: град; количество осадков; продолжительность градобитий; число дней с градом.

აჭარისწყლის ხეობის მინერალური და თერმული ფყლების რესპრესების
ბაზოდისა და ათვისების პრეპარატიზაციის

**ბაზო მხეიძე, ავთანდილ სონდულაშვილი, ზურაბ კაკულია, ინგული ნანაძე,
მანანა კოპაძე, ლუდმილა ღლონტი**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის
ინსტიტუტი)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია აჭარისწყლის ხეობის ფრიად მიმზიდველი ბუნებრივი პირობები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიწისქვეშა მინერალურ და თერმულ წყლებს, რომლებიც ქიმიური შედგენილობისა და ფიზიკური თვისებების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ წყლების რესურსები შედარებით მცირეა, რაც, ავტორთა აზრით, განპირობებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ამ ტერიტორიის მინერალურ და თერმულ წყლებზე არ ჩატარებულა დეტალური გეოლოგიურ-სამიებო სამუშაოები.

დასაბუთებულია ამ წყლების რესურსების გაზრდის შესაძლებლობანი, რაც ხელს შეუწყობს სასმელ-სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულების მინერალური წყლების ჩამოსხმის ორგანიზებას და მთელი წლის განმავლობაში მოქმედი ბალნეოლოგიური და ბალნეოკლიმატური კურორტების აღმშენებლობას.

საკვანძო სიტყვები: ათვისების პერსპექტივები; აჭარისწყლის ხეობა; მინერალური და თერმული წყლები; რესურსები.

შესავალი

აჭარისწყლის ხეობაში მრავალ ბუნებრივ სიკეთესთან ერთად (მთის და ზღვის ნაზავი ჰაერი, მწვანე საფრის სიუხვე და ნაირგვარობა, ზედაპირული წყლების მდიდარი რესურსები და სხვ.) არსებობს აგრეთვე დაავადებათა სამკურნალო და პროფილაქტიკური მიწით გამოსადეგი მინერალური და თერმული მიწისქვეშა წყლების გამოსავლები, რომლებიც გამოირჩევა პიდროგებიური და აირული შედგენილობის მრავალფეროვნებით, მაღალი ტემპერატურითა და სხვა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებით.

აჭარისწყლის ხეობა აგებულია უპირატესად რამდენიმე კილომეტრამდე სისქის შუალენური ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით, რომელთა შორის ჭარბობს ამ წყების ზედა ნაწილის უხეშნატეხოვანი ტუფბრექჩიები, აგრეთვე ტუფები და ანდეზიტების განვენები. ხშირად ვხვდებით სიენიტისა და სიენიტდიორიტის მომცრო ინტრუზივებს, რომლებსაც ზოგჯერ უკავშირდება პიდროთერმული გამადნებები, კერძოდ, მერისის სპილენის მადანგამოვლინება. ხეობაში განვითარებული ნაოჭა სტრუქტურები უმთავრესად სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენაა მიმართული.

აჭარისწყლის ხეობაში აღინიშნება მიწისქვეშა წყლების ფორმირებისათვის ხელშემწყობი მთელი რიგი ფაქტორები: ატმოსფერული ნალექების სიუხვე, ქანების ფორიანობა და ნაპრალიანობა, ტექტონიკური წყვეტითი აშლილობების ჭიდრო ქსელი და ა.შ. მიუხედავად ამისა, მინერალური და თერმული წყლების გამოსავლებს, როგორც წესი, მაინც მცირე და დაბალი დებიტები აქვს.

ძირითადი ნაწილი

აჭარისწყლის ხეობის პიდროთერმომინერალური რესურსები ორი ჯგუფის გენეტიკურად მკვეთრად განსხვავებული წყლითაა წარმოდგენილი. ერთია ნახშირმეული მინერალური წყლები და

მეორე, სუბთერმული წყლები. წყლის ტემპერატურის გარდა, მათ განასხვავებს გახსნილ ნივთიერებათა კონცენტრაცია, ქიმიური კომპონენტების რაგვარობა, აირშემცველობა, მიკროკომპონენტები, ტუტემჟავიანობის კოეფიციენტი და სხვ. მიწისქვეშა წყლების ამ ორი გენეტიკური ჯგუფის გავრცელებაში მკაფიოდ გამოხატული კანონზომიერება არ შეიმჩნევა. მათი გამოსავლები დაკავშირებულია ლითოლოგიურად და ასაკობრივად ერთნაირ ქანებთან, გვხვდება ერთნაირ გეომორფოლოგიურ პირობებში და ხშირად განლაგებულია უშუალოდ ერთი მეორის გვერდით.

აჭარისწყლის ხეობაში ნახშირორჟანგიანი მინერალური წყლების გამოსავლები, როგორც წესი, ინტრუზიული სხეულების სიახლოეს ფიქსირდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ტიპის წყლების ფორმირებაში პოსტვულგანური პროცესების მნიშვნელობაზე. ნახშირორჟანგიანი წყლების გამოსავალი სულ ექსია (ცხრილი I), მათგან ორში (კოკოტაურში და ხიხაძირის ქვედა წყაროში) ნახშირორჟანგი სპონტანურად გამოიყოფა. გახსნილი ნახშირორჟანგის შემცველობა 0,1-დან 0,9 გ/ლ-მდეა. ისინი მიეკუთვნებიან დაბალმინერალიზებულ წყლებს (საერთო მინერალიზაცია 2,0–5,0 გ/ლ). ადგილზე დეტალური პიდროგეოლოგიური შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ამ წყლების დაბალი საერთო მინერალიზაციისა და გახსნილი ნახშირორჟანგის მცირე კონცენტრაციის მიზეზი მათი გამოსავლების სამქედო კაპტაჟისა და დაცულობის არარსებობაა, რის შედეგადაც ხდება მინერალურ წყლებში გრუნტის მტკნარი წყლებისა და ზოგ შემთხვევაში ზედაპირული წყლების შერევა.

როგორც ადგინძეთ, აჭარისწყლის ხეობა გამოირჩევა მინერალური წყლების ქიმიური შედგენილობის მრავალფეროვნებით. აქ წარმოდგენილია როგორც სოდიანი (დანისპარაული) და სოდანარევი (კოკოტაური, ხიხაძირის ზედა წყარო), ისე სულფატური (ნამონასტრევის წყაროები) და ქლორიდული (ხიხაძირის ქვედა წყარო) წყლები, რაც განპირობებულია მათი ფორმირების არეალის გეოლოგიური და გეოქიმიური თავისებურებებით. კერძოდ, სულფატ-იონის გაზრდილი შემცველობა ამ წყლებში დაკავშირებულია წყალშემცველ ქანებში სულფიდური მინერალების გავრცელებასთან. ყველაზე მკაფიოდ ეს აისახა ნამონასტრევის წყაროების ქიმიურ შედგენილობაზე, რომლებშიც სულფატ-იონი წამყანა როლს ასრულებს, რაც აისხება ამ წყაროების სიახლოესით მერისის კოლჩედანურ გამაღნებასთან. საყურადღებოა აგრეთვე ქლორ-იონის გაზრდილი შემცველობა ხიხაძირის წყაროებში, რომლის მიზეზის გამოსაკვლევად საჭიროა პიდროგეოლოგიური საძიებო ბურღვითი სამუშაოების ჩატარება. მინერალური წყლების შედგენილობის კათიონურ ნაწილში ნატრიუმი და კალციუმი ჭარბობს.

ცხრილი 1

მონაცემები აჭარისწყლის ხეობის ნახშირორჟანგიანი წყლების შესახებ

№	გამოსავლის დასახელება	ბალნეოლოგიური ფორმულა	pH	გახსნილი CO ₂ , გ/ლ	დებიტი, ლ/დღ.	შენიშვნა
1	კოკოტაური	M _{3,0} $\frac{HCO_3\text{75 } SO_4\text{24}}{Ca48 Mg27 Na23}$	6,4	0,9	8 500	აირის სპონტანური გამოყოფა
2	ნამონასტრევი, ქვედა წყარო	M _{2,2} $\frac{SO_4\text{45 } HCO_3\text{40}}{Na49 Ca40}$	6,2	0,3	4 300	
3	ნამონასტრევი, ზედა წყარო	M _{1,9} $\frac{SO_4\text{43 } HCO_3\text{41}}{Ca48 Na39}$	6,5	0,2	4 300	
4	ხიხაძირი, ქვედა წყარო	M _{5,7} $\frac{Cl35 HCO_3\text{32 } SO_4\text{30}}{Na68 Ca22}$	6,3	0,8	850	აირის სპონტანური გამოყოფა
5	ხიხაძირი, ზედა წყარო	M _{2,4} $\frac{HCO_3\text{42 } SO_4\text{29 } Cl29}{Na50 Ca32}$	6,2	0,3	1 700	
6	დანისპარაული (ზანგა)	M _{5,0} $\frac{HCO_3\text{99}}{Na69 Mg25}$	6,5	0,1	500	წყლის უარყოფითი დონე

აჭარისწყლის ხეობის ნახშირორჟანგიან მინერალურ წყლებს შორის დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით პირველია კოკოტაურის მინერალური წყლის გამოსავალი. ესაა დაბალმინერალიზებული (დაახლოებით 3 გ/ლ) პიდროკარბონატულ-სულფატური შედგენილობის წყალი, რომელიც თავისი პიდროქიმიური პარამეტრებით კარგად ცნობილი კისლოვოდსკის ნარზანის ტიპს განეკუთვნება [1]. მისი ჩამოსხმა გასული საუკუნის შუა ხანიდან მიმდინარეობს და 80-იანი წლების შუა პერიოდში წლიურად 1,3 მლნ ნახევარლიტრიან ბოთლს შეადგენდა. დაგვემილი იყო მისი ჩამოსხმის გაზრდა 5,0 მლნ ბოთლამდე. კოკოტაურის წყლის გამოსავალი მოქცეულია ბეტონის დახურულ აუზში (ნახ. 1), კარგადაა დაცული ბიოქიმიური დაბინძურებისაგან და მტკნარი წყლების შერევით გამოწვეული გამტკნარებისაგან, რაც მის ქიმიურ შედგენილობას შეცვლიდა.

საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კოკოტაურის მინერალური წყლის რესურსის გაზრდა პიდროგეოლოგიურ-საძიებო ბურღვითი სამუშაოების ჩატარების გზით.




ნახ. 1. ბეტონის აუზით დაპაპტაჟებული კოკოტაურის მინერალური წყარო

ქედიდან დაახლოებით 10 კმ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს ნამონასტრევის მინერალური წყაროები. მდ. მერისის ხეობაში ერთმანეთისგან ოთხი ათეული მეტრის დაშორებით ფიქსირდება თითქმის ერთნაირი ქიმიური შედგენილობის რამდენიმე გამოსავალი. 1-ლ ცხრილში მოყვანილია ორი მათგანის ქიმიური ანალიზების შედეგები. ესაა სულფატურ-პიდროკარბონატული ნატრიუმკალციუმიანი ნახშირმჟავა წყლები. არსებული საველე პიდროგეოლოგიური და პიდროქიმიური მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საძიებო ბურღვის საშუალებით ამ უბანზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს მინერალური წყლების მნიშვნელოვანი რესურსი, რომლებშიც ნახშირორჟანგისა და გახსნილი ნივთიერებების შემცველობა ახლანდელზე გაცილებით მეტი იქნება.

აჭარისწყლის მარცხენა შენაკადის, მდ. სხალთის, სათავეებში დაფიქსირებულია ქიმიური შედგენილობით ძალზე საინტერესო ორი წყარო. ქვედა წყარო გამოირჩევა ყველაზე მაღალი საერთო მინერალიზაციით აჭარისწყლის ხეობის ნახშირორჟანგიან წყლებს შორის (5,7 გ/ლ) და რეგიონისთვის იშვიათი ქიმიური შედგენილობით. ესაა ქლორიდულ-პიდროკარბონატულ-სულფატური ნატრიუმიან-კალციუმიანი წყალი. წყაროში აღინიშნება თავისუფალი ნახშირორჟანგის სპონტანური

გამოყოფა. მეორე გამოსავალი გაცილებით ნაკლებმინერალიზებულია (2,4 გ/ლ) და მასში შეცვლილია ტიპურმომქმნელი მაკროკომპონენტების რიგითობაც. ეს უბანი ყურადღებას იპყრობს თავისებური ქიმიური შედგენილობის მინერალური წყლებით.

აჭარისწყლის სათავეებში, სოფ. დანისპარაულიდან 2 კმ-ის დაშორებით მდებარეობს დანისპარაულის (ზანგას) მინერალური წყარო. გამოსავალი ფაქტობრივად წარმოადგენს ჭას, რომელიც დაბეტონებულია და გადახურულია (ნახ. 2).



ნახ. 2. დანისპარაულის მინერალური წყლის გადახურული გამოსავალი

ადგილობრივთა გადმოცემით, ისინი ზაფხულობით ამ ჭიდან 500–600 ლ მინერალურ წყალს იღებენ. ჭის ბუნებრივი შევსება და დონის ადგგნა ხდება ერთი დღე-დამის განმავლობაში. დანისპარაულის მინერალური წყალი მიეკუთვნება ტიპური სოდიანი წყლების ჯგუფს და გამორჩეული ადგილი უკავია აჭარისწყლის ხეობის დანარჩენ მინერალურ წყლებს შორის. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს როგორც თავისი სასიამოვნო გემოთი, ისე კუჭ-ნაწლავთა სისტემის სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოყენების მიზნით. ამ უბანზე ჩასატარებელია საძიებო ბურღვითი სამუშაოები წყლის დამატებითი რესურსების მისაღებად.

აჭარისწყლის ხეობაში აგრეთვე გავრცელებულია სუბთერმული წყლების გამოსავლები (ცხრილი 2). მათგან ერთ-ერთი კველაზე პოპულარული ცხმორისის წყაროა, რომელიც მდებარეობს შუახევიდან 7 კმ-ის დაცილებით, სადაც მდინარე უხვევს მარცხნივ და მიემართება სამხრეთისკენ. მოხვევის ადგილთან გაკეთებულია ბეტონის კედელი წყაროს დასაცავად, თუმცა მდინარის ადიდების დროს იგი ვერ იცავს გამოსავალს და წყარო იფარება ქვიშითა და სილით. ცხმორისის გამოსავლის თანამედროვე მდგომარეობა (2015 წლის ივლისი) კარგად ჩანს მე-3 ნახ-ზე. იგი გამოწვეულია ცხმორისის სუბთერმული წყაროს მდინარის ჭალაში მდებარეობით. ცხადია, თერმული წყლის გაზავება ხდება მდინარის ფილტრატით, რაც იწვევს მისი ტემპერატურის დაწევას და საერთო მინერალიზაციის კლებას. საჭიროა ბუნებრივი გამოსავლის ჩაღრმავება და მიწისქვეშა წყლის ჭავლის ბეტონის აუზში მოქცევა, რათა დავიცვათ იგი მტკნარი ცივი წყლის შერევისგან. ამ შემთხვევაში მივიღებთ ცხმორისის გაუზავებელ თერმულ წყალს, რომელსაც ექნება გაცილებით მაღალი ტემპერატურა და სამკურნალო ეფექტის შემცველი კომპონენტების გაზრდილი კონცენტრაცია. ანალოგიური და უფრო შთამბეჭდავი ეფექტის მიღება შეიძლება საძიებო ბურღვითი სამუშაოების ჩატარების შედეგად.

ცხრილი 2

მონაცემები აჭარისწყლის ხეობის სუბთერმულის გამოსავლების შესახებ

N ^o	გამოსავლის დასახელება	ბალნეოლოგიური ფორმულა	ტემპერა- ტურა, °C	pH	დებიტი, ლ/დღ.	შენიშვნა
1	ცხმორისი (შეახევის აბანო)	M _{1,4} $\frac{Cl78\ SO_413}{Ca82\ Mg12}$	26	7,8	უარყოფითი დონე	ძალზე პოპულარულია ადგილობრივთა შორის
2	ქემისი	M _{0,4} $\frac{SO_489}{Mg43\ Ca31}$	23	4,5	8 600	წარმოებს ჩამოსხმა
3	ჩანჩხალო	M _{0,5} $\frac{Cl46\ HCO_342}{Na45\ Ca43}$	23	7,6	600	პოპულარულია ადგილობრივთა შორის
4	ბოგაური	M _{4,7} $\frac{Cl94}{Na94}$	30	7,2	არ იზომება	ძალზე პოპულარულია
5	შებანი	M _{0,2} $\frac{SO_466\ HCO_328}{Ca44\ Na32\ Fe18}$	31	5,3	1 700	
6	კლდისაბანო (ჩირუბის ხევი)	M _{1,0} $\frac{SO_460\ CO_330}{Na61\ Ca28}$	28,5	6,6	40 000	
7	ტომაშეთი	M _{0,2} $\frac{SO_460\ CO_330}{Na61\ Ca28}$	30	8,5	25 000	წყაროების ჯგუფი

რეგიონში სუბთერმული წყაროების სიმრავლით გამოირჩევა შეახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. ძალზე თავისებური გამოყენება პოვა კემისის სუბთერმულმა წყალმა, რომლის გამოსავალი მდებარეობს აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ბალაძეების სიახლოეს. კემისი მცირებინერალიზებული (0,4 გ/ლ) სულფატური მაგნიუმიან-კალციუმიანი თბილი წყალია, რომლის რესურსების ბაზაზე ფუნქციონირებს სასმელი წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. თავისი ჰიდროქიმიური შედგენილობითა და ტემპერატურული მახასიათებლებით გაცილებით გამართლებული იქნებოდა მისი გამოყენება ბალნეოთერაპიის განხრით. მით უმეტეს, რომ კემისის წყარო შედარებით უხვი დებიტით გამოირჩევა (8600 ლ/დღ.).



ნახ. 3. ცხმორისის სუბთერმული წყლის გამოსავალი

აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე შუახევიდან 5 კმ-ის დაცილებით მდებარეობს ჩანჩხალოს სუბთერმული წყარო. მართალია, წყარო ხასიათდება დაბალი ოერმულობითა (23 °C) და მცირე მინერალიზაციით (0,53 გ/ლ), მაგრამ ყურადღებას იპყრიბს ორიგინალური პიდროქიმიური შედგენილობით: ესაა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატული ნატრიუმიან-კალციუმიანი წყალი. როგორც ჩანს, იგი საშუალო ან მაღალმინერალიზებული მინერალური წყლის ძირითადი ნაკადის მტკნარი წყლით გაზავების შედეგია. ჩანჩხალოს წყაროსთან ჰაბურდილის გაბურდვის შედეგად მოსალოდნელია საინტერესო შედეგენილობისა და გაცილებით მაღალი ტემპერატურის მქონე წყლის რესურსის მიღება.

აჭარისწყლის მარცხენა შენაკადის, მდ. ჩირუხისწყლის ხეობის ზედაწელსა და სათავეებში დაფიქსირებულია რამდენიმე სუბთერმული წყარო, რომელთა ტემპერატურა 28–31 °C-ის ფარგლებშია. ესენია: შუბანის წყარო, რომელიც მდებარეობს მარიტის ხევში, შუახევიდან 6 კმ-ში; კლდის აბანო – ჩირუხისხევში, სოფ. შუბანიდან 5 კმ-ის დაცილებით და ტომაშეთის წყაროების ჯგუფი – საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს. ეს სუბთერმული წყლები ქიმიური შედგენილობით სულფატური წყლების ჯგუფს განეკუთვნება. ისინი აჭარისწყლის ხეობის მინერალურ და თერმულ წყლებს შორის მაღალდებიტიანობით გამოიჩინიან, რის გამოც, მიუხედავად მუნიციალიტეტის ცენტრიდან მათი საქმაო სიშორისა, სავსებით შესაძლებელია არსებული რესურსების ბაზაზე (დამატებითი საძიებო სამუშაოების გარეშე) მცირე და საშუალო მასშტაბის ბალნეოკლიმატური კურორტების დაფუძნება. ამისათვის საკმარისია თითოეული წყაროს უბნის მოწერილება, წყაროს ნორმალური კაპტაჟი, დაცვის ზონის დადგენა, შემოღობგა და ა.შ.

ხელოდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით, ბოგაურის დელეს მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სუბთერმული წყლის გამოსავალი ($T=30$ °C). აჭარის თერმულ წყლებს შორის იგი გამოირჩევა მომატებული საერთო მინერალიზაციით (4,7 გ/ლ) და ეს მაშინ, როცა მას ერვენა ზედაპირული წყლის ნაკადი, რაც, ბუნებრივია, დაბლა სწევს როგორც მის მინერალიზაციას, ისე ტემპერატურას. ბოგაურის წყარო პოპულარულია ადგილობრივთა შორის; ისინი აბაზანებს იდებენ მის ბაზაზე წარმოქმნილი ტალახით. წყარო გასულ საუკუნეში დაკაპტაჟებული იყო ბეტონის აუზით, რომლის კვალი ახლა ადარ დარჩენილა – მდინარის ადიდების დროს დანგრეულ-დაშლილა და წყალს წაუდია (ნახ. 4). ბოგაურის წყარო ძალზე პერსპექტიულია ცხელი მიწისქეშა წყლების მიღების თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა აქ საძიებო-საექსპლუატაციო ჭაბურდილის გაფანა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზედაპირული წყლებისაგან დასაცავად ბეტონის აუზით დაკაპტაჟება.



ნახ. 4. ბოგაურის სუბთერმული წყლის გამოსავალი

საჭიროა აღინიშნოს ბოგაურის წყაროს წყლის ქიმიური შედგენილობის მკვეთრი განსხვავება გასულ საუკუნეში ჩატარებულ და დღევანდელ ქიმიურ ანალიზებს შორის. კერძოდ, გასული საუკუნის 50–70-იანი წლების ანალიზების მიხედვით, აქ გამოდიოდა 0,5–1,0 გ/ლ საერთო მინერალიზაციის მქონე ქლორიდულ-სულფატური ნატრიუმიან-კალციუმიანი წყალი. აშკარად, რომ ადრე მინერალურ წყალს მეტწილად ერეოდა ზედაპირული მტკნარი წყალი, რის შედეგადაც ხდებოდა როგორც გახსნილი ნივთიერებების კონცენტრაციის მკვეთრი შემცირება, ისე წყლის

ქიმიური ტიპის შეცვლა. ამაზე მიუთითებს აგრეთვე წყაროს წემპერატურის განსხვავება; თუ წინათ ტემპერატურა 24°C -ს აღწევდა, ახლა იგი 30°C -ია. ამგვარი მოვლენები მინერალური წყლების გამოსავლებთან დაკავშირებით არცოუ იშვიათია. ამიტომ აუცილებელია წყაროს სრულყოფილი კაპტაჟის მოწყობა.

აჭარისწყლის ხეობის მინერალურ წყლებს შორის თავისი სპეციფიკური ქიმიური შედგნილობითა და, აქედან გამომდინარე, საინტერესო სამკურნალო თვისებების წყალობით მკეთრად გამოიჩევა ტბეთის შაბიანი წყალი. წყარო მდებარეობს შეახევის მუნიციპალიტეტში სოფ. გოგაძეებთან ახლოს (4ქმ-ზე). ინტერესს იწვევს წყლის ორიგინალური შედგენილობა და მკვეთრად მომატებული მინერალიზაცია. ესაა ფაქტობრივად რკნის სულფატის ხსნარი, გამდიდრებული სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიურად აქტიური, ელემენტებით, ისეთებით როგორიცაა: სპილენდი, კობალტი, ნიკელი, ქრომი [2]. წყლის ბალნეოლოგიური ფორმულა ასეთია: $M_{7,8} \frac{SO_4 100}{Fe 54 Na 21 Mg 12} T=9^{\circ}\text{C}, pH=3,4, D=1200 \text{ ლ/დლ}$. აღსანიშნავია, რომ წყლის ქიმიური შედგენილობა წლიწადის პერიოდისა და ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვალებადობის მიხედვით განიცდის მცირეოდენ სახეცვლილებას. კერძოდ, ნაკლებია ხოლმე საერთო მინერალიზაცია ($6,0 \text{ გ/ლ}$), მცირდება რეინის იონის შემცველობა $40 \text{ მგ-ექვ. \%}-\text{მდე}$. ეს ყველაფერი მიუთითებს ზედაპირული და გრუნტის წყლების შერევის შედეგად ტბეთის წყაროს პერიოდულ გამტკნარებაზე. ქიმიური შედგენილობის სტაბილურობისა და სამკურნალო თვისებების სრულყოფილად შესანარჩუნებლად საჭიროა წყაროს ნორმალური კაპტაჟის მოწყობა. საძიებო ბურღვის შედეგად შესაძლებელია დამატებითი რესურსების გამოვლენა. ტბეთის წყარო, მართალია, საკმაოდ შორსაა, მაგრამ მისი მაღალი შედეგიანობა კანის სხვადასხვა გენეზისის დაავადებათა მკურნალობაში ფრიად იმედის მომცემია მისი რესურსების ბაზაზე ბალნეოლოგიური კურორტის დაფუძნებისათვის.

დასკვნა

აჭარისწყლის ხეობის მრავალფეროვანი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე მინერალური და თერმული წყლების რესურსები, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით სრულად გამოვლენილი არაა, რადგან კოკოტაურის გარდა, აյ არ ჩატარებულა გეოლოგიური საძიებო-საექსპლუატაციო ბურღვითი და საკაპტაჟო სამუშაოები. იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომ აჭარაში განზრახულია სეზონური სამთო კურორტებისა და ტურისტული ბაზების შექმნა, ძალზე მომგებიანი იქნება, თუ პარალელურად მათ სიახლოვეს აშენდება ბუნებრივი თერმული წყლის სააბაზანოები სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ და პროფილაქტიკური მიზნით. ეს ხელს შეუწყობს სამთო კურორტების ფუნქციონირების შენარჩუნებას მოელი წლის განმავლობაში. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ნახშირორუანგიანი მინერალური წყლების ჩამოსხმის პოტენციალიც ნამონასტრევის, ხისაძირის, დანისაპარაულის უბნებზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელება გარკვეულ წვლილს შეიტანს ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი დასაქმებისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საჭეში.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Мхеидзе Б. С.. Гидрогеология перспективных месторождений минеральных вод Аджаро-Триалетской горноскладчатой системы. АН ГССР (Сектор гидрогеологии и инженерной геологии)///Труды, Гидрогеология и инженерная геология в народнохозяйственном освоении территории Грузии. вып.10. Тб.: Мецниереба, 1988, с. 39-50.
2. Чихелидзе С. С. Природные ресурсы Грузинской ССР. Т. III. Минеральные воды. АН СССР, М., 1961.- 407 с.

PERSPECTIVES OF REVELATION AND DEVELOPMENT OF MINERAL AND THERMAL WATERS RESOURCES IN CANYON OF ADJARISTSKALI RIVER

B. Mkheidze, A. Songulashvili, Z. Kakulia, I. Nanadze, M. Kopadze, L. Glonti

(Institute of Hydrogeology and Engineering Geology of Georgian Technical University)

Resume: There are discussed the underground mineral and thermal waters in canyon of Adjariistskali River (Georgia), which are distinguished with diverse chemical composition and physical properties. Although waters resources are relatively low, that, in authors' opinion, due to the fact, that on this area has not been relevant geological exploration of mineral and thermal waters. There is justified revelations of additional resources of these waters, on the basis of which it is possible to organize bottling potable-curative mineral waters and construction of balneoclimatic health resorts for year-round operation.

Key words: Adjariistskali River canyon; mineral and thermal water; perspectives of development; resources.

ГИДРОГЕОЛОГИЯ

ПЕРСПЕКТИВЫ УВЕЛИЧЕНИЯ И ОСВОЕНИЯ РЕСУРСОВ МИНЕРАЛЬНЫХ И ТЕРМАЛЬНЫХ ВОД УЩЕЛЬЯ Р. АДЖАРИСЦКАЛИ

Мхеидзе Б. С., Сонгулашвили А. Т., Какулия З. Г., Нанадзе И. В., Копадзе М. О.,

Глонти Л. Е.

(Институт гидрогеологии и инженерной геологии Грузинского технического университета)

Резюме: В статье обсуждаются подземные минеральные и термальные воды р. Аджарисцкали (Грузия), которые отличаются разнообразием химического состава и физических свойств. Ресурсы этих вод относительно малы, что, по мнению авторов, связано с тем, что на этой территории не проводилось соответствующих работ на минеральные и термальные воды. Обоснованы возможности выявления дополнительных ресурсов этих вод, на базе которых возможно организовать розлив питьево-лечебных и профилактических минеральных вод и строительство бальнеоклиматических курортов круглогодичного функционирования.

Ключевые слова: минеральные и термальные воды; перспективы освоения; ресурсы; ущелье р. Аджарисцкали.

საპრეზ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი მცირე
მწარმოებლურობის საწარმოს შექმნის პერსამტივები*

თამაზ მეგრელიძე, გიორგი პირველი, გივი გუგულაშვილი, ვიტალი ლვაჩლიანი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების თანამედროვე მდგომარეობა. ნაჩვენებია, რომ მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს შენარჩუნებული მასში არსებული სასარგებლო ელემენტები. აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად აგტორების მიერ დამუშავებულია ახალი ტექნოლოგია და მცენარეული ნედლეულის საჭყლები-საქუცმაცებელი საფიქსაციო-საშრობი დანადგარი. მოყვანილია გადამუშავების პროცესში მცენარეულ ნედლეულში შემავალი სასარგებლო ნივთიერებების შედგენილობის ცვლილების კვლევის შედეგები. ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით, ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია და დანადგარი უზრუნველყოფს მცენარეული ნედლეულის საწყისი სასარგებლო თვისებებისა და ანტიოქსიდანტები პოტენციალის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: ახალი მეთოდი; გადამუშავება; საკვებ-პროფილაქტიკური მასალები; საწყისი თვისებები; ფოთლების უჯრედული წვენი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი დიდებულებისანი საკვებ-პროფილაქტიკური და სამკურნალო პროდუქტების წარმოებას, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა და, ამასთან, ადამიანის ორგანიზმში დაგროვილი სხვადასხვა მავნე ნივთიერების ეფექტური გამოდევნის უნარიც აქვს.

საქართველო მდიდარია მრავალფეროვანი საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულით, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ფართო სპექტრს. ასეთი მცენარებისაგან შესაძლებელია კარგი ორგანოლეპტიკური და ბიოლოგიური თვისებების მქონე ეკოლოგიურად სუფთა მრავალეობრივიანი საკვებ-პროფილაქტიკური პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების მიღება, თუმცა საამისო ტექნოლოგიური პროცესი ჯერჯერობით არაა საკმარისად შესწავლილი და ათვისებული. ამიტომ აღნიშნული ტექნოლოგიების სრულყოფა დღეისათვის მეტად აქტუალურია.

მცენარეული ნედლეულისაგან საკვები და სამკურნალო პროდუქტების მიღების ტექნოლოგიური პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მათში არსებული სასარგებლო ელემენტების მაქსიმალური შენარჩუნების სირთულე, რაც გამოწვეულია ნედლეულის გადამუშავების პროცესში მიმდინარე თბური, მექანიკური და ბიოქიმიური გარდაქმნებით.


* აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი № 30/26). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი გაუთვისთ ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

ძირითადი ნაწილი

ადამიანი საკებ-სამუშაონალო მცენარეული ნედლეულისაგან იყენებს თავისი ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებით მდიდარ პროდუქტებს. მაგრამ გამოყენებამდე საჭიროა მათი ტექნოლოგიური გადამუშავება, რათა მიეცეს საკვები ან სამკურნალო საშუალების სახე. გადამუშავების პროცესში კი ნედლეულში შემავალი სასარგებლო ელემენტები განიცდის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს. რაც მეტია აღნიშნული ცვლილებები, მით უფრო მეტად სცილდება წარმოებული პროდუქტის სასარგებლო თვისებები საწყისი ნედლეულის სასარგებლო ქიმიურ შედგენილობას და, შესაბამისად, მით უფრო ნაკლებად ეფექტური ხდება მიღებული პროდუქტი. ამიტომ საკებ-სამუშაონალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების უპირველესი ამოცანაა გადამუშავების ისეთი ტექნოლოგიური პროცესისა და მოწყობილობის გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ნედლეულში არსებული სასარგებლო ელემენტების მაქსიმალურ შენარჩუნებას.

ამ მიზნით ავტორთა მიერ დამუშავებულია ახალი ტექნოლოგია და მოწყობილობა, რომლის პრინციპული სქემა ნაჩვენებია ნახაზზე.

საჭყლებ-საჭუცმაცებელი მოწყობილობა (1) შედგება როტორებისაგან, რომლებზეც დასმულია შეწყვილებული შენერები და საჭყლებ-საჭუცმაცებელი ფრთვანები. როტორების ქვემოთ, კორპუსში განლაგებულია აირგამანაწილებელი, რომელშიც ორთქლის მიწოდება ხდება საჭყლებ-საჭუცმაცებელი მოწყობილობის გვერდით განლაგებული ორთქლის გენერატორიდან (2). საჭყლებ-საჭუცმაცებელ მოწყობილობას აქვს დიფუზორი და გადმოსატვირთი სარკმელი. სარკმლის ქვეშ განლაგებულია დაჭყლეტილ-დაჭუცმაცებული ფრთლის გამოსატანი ტრანსპორტიორის (3) მიმღები ნაწილი. ტრანსპორტიორის თავზე მანძილის რეგულირებით განლაგებულია ინფრაწითელი გამოსხივების ნათურები. ტრანსპორტიორი ზევიდან დახურულია ასპირაციული ქოლგით.



საკებ-სამუშაონალო მცენარეული ნედლეულის საჭყლებ-საჭუცმაცებელი
საფიქსაციო-საშრობი დანაღვარის პრინციპული სქემა

ტრანსპორტიორის განმტვირთველი ბოლო მდებარეობს ვიბრომდულარე ფენაში ფოთლის საშრობი მანქანის (4) მიმღები ბუნებრივის თავზე. საშრობი მანქანა აღჭურვილია ნამუშევარი ტენიანი ორთქლის გამწოვი კერტილატორით და ცხელი მუშა აგენტის (ჰაერის) შემკრებით. ამ უკანასკნელში მუშა აგენტის მიწოდება ხდება კალორიფერიდან (5), რომელიც მოთავსებულია მანქანაში ჰაერის მიწოდების მხრიდან.

მცენარეული ნედლეული ჩაიტვირთება საჭყლებ-საჭუცმაცებელი საფიქსაციო მოწყობილობის მიმღებ ბუნებრივში, სადაც მიმღინარეობს ფრთლის ჭყლეტა-დაჭუცმაცების პროცესი, რომლის დროსაც კორპუსის ქვედა ნაწილში განლაგებული აირგამანაწილებლიდან ხდება მუშა აგენტის (ორთქლის) მიწოდება გენერატორიდან. საჭყლებ-საჭუცმაცებელი მოწყობილობა უზრუნველყოფს ნედლეულის ფოთლების საჭირო ზომის ნაწილაკებად დაჭუცმაცებას და მათი უჯრედების მაქსიმალურად

დაჭყლებას. ამ დროს უჯრედებში არსებული წვენი გამოდის ფოთლის ზედაპირზე. აღნიშნული წვენი განიცდის მაღალი ტემპერატურის ($110 - 140^{\circ}\text{C}$) მქონე ორთქლის ზემოქმედებას, რის შედეგადაც ნედლეულის ტემპერატურა აღწევს $60 - 70^{\circ}\text{C}$ -ს. ეს უზრუნველყოფს წვენში არსებული ფერმენტების ინაქტივაციას. შესაბამისად, მიიღება საჭირო ზომებად დაჭყლებილ-დაჭუცმაცებული ფოთლის მასა ინაქტივირებული წვენით გარე ზედაპირზე. ეს უზრუნველყოფს საკვებ-სამკურნალო მცენარეებში არსებული დადგბითი ოვისებების მაქსიმალურ შენარჩუნებას. მუშაობის პროცესში დაჭყლებილ-დაჭუცმაცებული მასა გადმოიტვირთება დიფუზორიდან, ხოლო სამუშაოს დასრულებისას განტვირთვა ხორციელდება გადმოსატვირთი სარგმლიდან მისი გადების შემდეგ. ორივე შემთხვევაში დამუშავებული ფოთლი მოხვდება ტრანსპორტიორის მიმღებ ნაწილზე.

ტრანსპორტიორი ახორციელებს ნედლეულის ტრანსპორტიორებს საჭყლებ-საჭუცმაცებელი საფიქსაციო მოწყობილობიდან საშრობ მანქანამდე. ტრანსპორტიორის წვენის გამოანაბრებელი ფოთლის მასას გაშლის თხელ ფენად, რომელზეც ხდება ინფრაწითელი სხივებით ზემოქმედება ტრანსპორტიორის თავზე განლაგებული ინფრაწითელი გამოსხივების ნათურების საშუალებით. ინფრაწითელი სხივები ახურებს ფოთლის მასას და იწყება მისი შრობისათვის მომზადება. გახურებული ფოთლის მასა ტრანსპორტიორის განმტვირთავი ბოლოდან ჩაიყრება საშრობი მანქანის მიმღებ ბუნკერში, სადაც შრობა მიმდინარეობს ვიბროგათხევადებულ ფენაში. შრობისათვის საჭირო მუშა აგენტის (ცხელი ჰაერის) მომზადება ხდება კალორიფერში. ვიბროამძრავი რეევით მოძრაობას ანიჭებს საშრობ კამერას. გასაშრობი ნედლეულის მასა ჩამტკირთავი ბუნკერიდან მოხვდება პროდუქტის მიმღებ ბადეზე და თანდათან გადაადგილდება საფეხურებად განლაგებულ მოვიბრირე ბადეებზე. ცხელი მუშა აგენტი გაივლის ბადეებზე მოძრავი ფოთლის მასის ფენაში და ახდენს მის შრობას. ჰაერის გამწვევის დახმარებით ნამუშევარი ჰაერი გამოდის ატმოსფეროში. პროდუქტის გადაადგილების მიმართულებით დაღმავალ საფეხურებად განლაგებულ ბადეებზე მიიღწვა ფაზათა (დაჭყლებილ-დაჭუცმაცებული ნედლეულის მასა და მუშა აგენტი) შორის კონტაქტის გაზრდა, რაც აუმჯობესებს მათ შორის მასისა და სითბოს გადაცემის პროცესს და ამით უზრუნველყოფს შრობის მაღალ ხარისხს. ვიბრაციული მოძრაობისას ბადეების ქვევიდან მიწოდებული ცხელი ჰაერი იწვევს გასაშრობი ნედლეულის გადაფანას ფსევდომდუდარე მდგომარეობაში, რაც უზრუნველყოფს ფოთლის ნაწილაკების ინტენსიურ შრობას. გამშრალი პროდუქტი მოხვდება გადმოსატვირთ ხეიმირაში, საიდანაც იყრება მის ქვეშ არსებულ შემგროვებელში.

დანადგარი გამოიცადა ქ. ლანჩხუთში, შპს “არმატ-91”-ში 2014 წელს. ექსპერიმენტები ჩატარდა ჩაის, კავკასიური დეკას, მრავალძარღვას, ევკალიპტის და მაყვალის ფოთლებზე. ყოველი მცენარისათვის განსაზღვრული იყო შაქრების, პოლიფენოლების, ასკორბინის მჟავას, ამინმჟავების შემცველობა და ანტიოქსიდანტური პოტენციალი. გადამუშავების პროცესში მცენარეულ ნედლეულში შემავალი სასარგებლო ნივთიერებების შედგენილობის ცვლილების შესწავლის მიზნით განხორციელდა ცალკეული მცენარეების ქიმიური ანალიზი როგორც გადამუშავებამდე, ისე გადამუშავების შემდეგ. ანალიზები ჩატარდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაქულტეტის კვლევით დაბორატორიაში.

ანალიზის შედეგების მიხედვით, შაქრების, პოლიფენოლების, ასკორბინის მჟავას და ამინმჟავების შემცველობა შესწავლით ნედლეულთაგან ყველაზე მეტი აღმოჩნდა მწვანე ჩაისა და მაყვალის ფოთლებში. მათი ანტიოქსიდანტური პოტენციალიც ძალზე მაღალია (ნედლი ჩაი – 920; მშრალი – 5000, ხოლო ნედლი მაყვალის ფოთლი – 1810; მშრალი – 10600 მგ ასკორბინის მჟავას ექვივალენტი). შეიძლება ითქვას, რომ ჩაის ფოთლებისათვის მიღებული პოლიფენოლების შემცველობა საქმარე დაბალია, რაც შეიძლება აიხსნას ჩაის ფოთლის დაბალი ხარისხით (ნორმალური ხარისხის ნედლი ჩაის ფოთლის პროდუქციაში პოლიფენოლების შემცველობა 15 % და მეტიც უნდა იყოს). როგორც ანალიზმა ცხადყო, ანტიოქსიდანტური აქტიურობის ძირითადი წილი პოლიფენოლების შემცველობითაა განპირობებული. მაგალითად, მწვანე ჩაის 100 გ მშრალ ფოთლობი 5000 მგ (5 გ) ასკორბინის მჟავას ექვივალენტი აქტიურობა ვლინდება, საიდანაც მხოლოდ 222,8 მგ (4,5 %) მოდის უშუალოდ ასკორბინის მჟავაზე, დანარჩენი 4772 მგ (95,5 %) კი – პოლიფენოლებზე. მსგავსი სურათია სხვა ნედლეულის შემთხვევაშიც.

ნედლ ფოთლისა და მშრალ მზა პროდუქციას შორის ანტიოქსიდანტური პოტენციალის ცვლილების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ მრავალძარღვას და ევკალიპტის პოლიფე-

ნოლების ხედრითი ანტიოქსიდანტური აქტიურობა თერმული დამუშავების შედეგად პრაქტიკულად არ იცვლება. კავკასიური დეკას შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 1,5-ჯერ იზრდება. 1 გ პოლიფენოლების ანტიოქსიდანტური აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოვლინდა მაყვლისა და ჩაის ფოთლების თერმული გადამუშავების შედეგად: მაყვლის ფოთლების შემთხვევაში გაიზარდა 2,9-ჯერ, ხოლო ჩაის ფოთლის შემთხვევაში – 2,5-ჯერ. აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩაისა და მაყვლის ფოთლების ტექნოლოგიური გადამუშავების პროცესში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნები განაპირობებს ცალკეული პოლიფენოლების ანტიოქსიდანტური აქტიურობის გაზრდას.

დასკვნა

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას გამოყენებული ტექნოლოგია და საჭიროებული საფიქსაციო-საშრობი დანადგარი უზრუნველყოფს ნედლეულის სწრაფად გადამუშავებას და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საწყისი მცენარეული ნედლეულის ანტიოქსიდანტურ პოტენციალს. დამუშავებული ტექნოლოგიისა და მოწყობილობების ბაზაზე შესაძლებელია მცირე მწარმოვბლურობის (100–200 კგ/სთ) საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, რომელიც გამოიმუშავებს მაღალხარისხიან, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიან მზა პროდუქციას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, გ. მეგრელიძე. ვიბრომდულარე ფენაში ჩაის შრობის ხერხი. საპატენტო სიგელი GE P 4859 B, 12.10.2009, A 23 F 3/00, F.26 B 17/00.
- თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი, ს. მდებრიშვილი. ნედლეულის გადამამუშავებელი მოწყობილობა. საპატენტო სიგელი № GE P 5314 B, 25.10.2011, ქლასი C 12 G 1/02.
- თ. მეგრელიძე, ე. სადადაშვილი, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი. ღნობის პროცესის პარამეტრების დამოკიდებულება მუშა აგენტის ტენიანობაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, № 2 (476), თბ.: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2010, გვ. 114-118.
- თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, ე. სადადაშვილი, გ. გუგულაშვილი. “ვიბრომდულარე” ფენაში ჩაის შრობის პროცესის შესწავლა. ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის შრომები//სუბტროპიკული კულტურები, № 1-4 (261-264), 2010, გვ. 292-295.
- თ. მეგრელიძე, ბ. ლვაჩლიანი, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი. ფსევდოგათხევადებული პროდუქტის გამოსაშვები ზღუდის სიმაღლის განსაზღვრა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ-კონფერენცია “ინოვაციური პროცესები და ტექნოლოგიები”, ქუთაისი, 2011, გვ. 65-69.
- თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი, ბ. ლვაჩლიანი. მცენარეული ნედლეულისაგან მრავალკომპონენტიანი საკვებ-სამკურნალო პროდუქციის მიღების გაუმჯობესების გზები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, № 2 (492), თბ.: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014, გვ. 40-44.
- თ. მეგრელიძე, ვ. ლვაჩლიანი, გ. გუგულაშვილი, ე. სადადაშვილი, გ. პირველი. მცენარეული ნედლეულის გადამამუშავებელი დანადგარის გამოცდის შედეგები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის “კვების მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების პრობლემები” შრომათა კრებული, თბ., 2015, გვ. 11-19.

THE PERSPECTIVES OF SET UP THE NEW PETTY CONCERNS FOR REMAKE OF FOOD-PROPHYLACTIC VEGETABLE RAW MATERIALS

T. Megrelidze, G. Pirveli, G. Gugulashvili, V. Gvachiani

(Georgian Technical University)

Resume: There is considered the question about remake of food-prophylactic and nutritive-medical vegetable raw materials. Tere is shown, that for maximum defense of the vegetable raw materials useful properties if is necessary remake this raw materials in such terms; when leaves cell juice fermentation process will not happen. For realization this question it is necessary the new method and plant for remake the vegetable raw materials. Tere is described on remaking plant experiments carry method. Tere is given, that modifications, which currented in raw vegetable materials in their remaking process time. There is shown, that nutritive-medical vegetable raw materials remaking new technology and plant can improvement the vegetable materials source properties and their antioxidant potential.

Key words: food-prophylactic materials; initial properties; leaves cell juice; new method; remake.

НОВЫЕ ТЕХНОЛОГИИ

ПЕРСПЕКТИВЫ СОЗДАНИЯ МАЛОМОЩНЫХ ПРЕДПРИЯТИЙ ПО ПЕРЕРАБОТКЕ ПИЩЕВО-ЛЕЧЕБНОГО РАСТИТЕЛЬНОГО СЫРЬЯ

Мегрелидзе Т. Я., Пирвела Г. Т., Гугулашвили Г. Л., Гвачлиани В. В.

(Грузинский технический университет)

Резюме: Рассмотрено современное состояние вопроса переработки пищево-лечебного растительного сырья. Показано, что растительное сырье должно перерабатываться в условиях максимального сохранения всех полезных элементов, содержащихся в исходном сырье. Для достижения поставленной задачи авторами разработаны новая технология и установки для мятия-измельчения и фиксации-сушки растительного сырья. Приведены результаты исследования изменений, протекающих в сырье в процессе ее переработки с использованием новой технологии и оборудования. Согласно полученным результатам, новая технология и установка обеспечивают сохранение качественных показателей и повышение антиоксидантного потенциала исходного материала.

Ключевые слова: исходные показатели; клеточный сок листьев; новый метод; переработка; пищево-профилактический материал.

ინოვაციური მეთოდით ახალი საშრობი დანადგარის მუშა აგენტის შრობის უნარის აღდგენა

**თამაზ მეგრელიძე, გიორგი პირველი, გიგი გუბულაშვილი, გიორგი ბერუაშვილი,
თამაზ ისაკაძე**

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია შრობის პროცესში ჰაერის (მუშა აგენტის) ტენიანობის მომატების (დატენიანების) საკითხი. ნაჩვენებია, რომ მუშა აგენტის ტენიანობის შემცირებით შესაძლებელია შრობის პროცესის ინტენსიფიკაცია და გამშრალი პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება. წარმოდგენილია ახალი მოწყობილობა, რომელიც მაცივარი მანქანის საშუალებით უზრუნველყოფს საშრობ კამერაში მიწოდებამდე მუშა აგენტის ტენიანობის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: კონდენსატორი; მაცივარი მანქანა; მუშა აგენტი; მუშა პარამეტრები; მცენარეული ნედლეული; საორთქლებელი; საშრობი მანქანა.

შესავალი

ნებისმიერი პროდუქტის შრობის პროცესშე გავლენას ახდენს: მუშა აგენტის ტემპერატურა, მისი მოძრაობის ფარდობითი სიჩქარე გასაშრობი პროდუქტის ნაწილაკების მიმართ, მუშა აგენტის ტენიანობა და ტენშემცველობა და სხვ. ამ პარამეტრებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანებია მუშა აგენტის ტენშემცველობა. ცნობილია, რომ შრობისათვის საჭირო სითბოს რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q = W \frac{I_1 - I_2}{0,001 \cdot (d_1 - d_2)} \quad \text{კკლ/სთ},$$

სადაც W შრობის პროცესში ასაორთქლებელი ტენის რაოდენობაა, კგ/სთ;

I_1 – გასაშრობი პროდუქტის საწყისი ენთალპია, კკალ/კგ⁰C;

I_2 – გამშრალი პროდუქტის საბოლოო ენთალპია, კკალ/კგ⁰C;

d_1 – მუშა აგენტის საწყისი ტენშემცველობა, გ/კგ;

d_2 – ნამუშევარი აგენტის საბოლოო ტენშემცველობა, გ/კგ.

ფორმულის მიხედვით, შრობისათვის საჭირო სითბოს რაოდენობა უქუპროპორციულ დამოკიდებულებაშია მუშა აგენტის საწყის და საბოლოო ტენშემცველობათა შორის სხვაობასთან. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიდია ტენშემცველობათა აღნიშნული სხვაობა, მით უფრო ნაკლები სითბო იხარჯება პროდუქტის შრობისათვის და, შესაბამისად, უფრო ნაკლები იქნება ამ მუშა აგენტის მომზადებისათვის გაწეული ენერგეტიკული დანახარჯები.

მაგრამ, როგორც წესი, შრობის პროცესში (გამოყენებული მუშა აგენტის ცირკულაციის ჩეულებრივი სქემების პირობებში) ხდება გარემოს ჰაერის მიწოდება კალორიფერში. აქ ეს ჰაერი ცხელდება საჭირო (მუშა) ტემპერატურამდე და გაცხელებული ჰაერი კალორიფერიდან უშუალოდ მიეწოდება საშრობი მანქანის კამერას, სადაც პროდუქტიდან ტენის ართმევით იწყება მისი შრობა. აქვე შევნიშნავთ, რომ რაიმე სპეციალური მოწყობილობა, რომელიც დაარეგულირებდა კამერაში მისაწოდებული მუშა აგენტის ტენშემცველობას ან თუნდაც განსაზღვრავდა კალორიფერში მიწოდებული ჰაერის ტენშემცველობას, არსად არ გამოიყენება.

კარგიდაა ცნობილი, რომ ამინდის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის პარამეტრები (კერძოდ ტენშემცველობა) გამუდმებით იცვლება. აღნიშნული ცვალებადი პარამეტრებიდან კალორიფერებში ხორციელდება მხოლოდ მუშა აგენტის ტემპერატურის ცვლილება მისთვის საჭირო მნიშვნელობის მისანიჭებლად. მუშა აგენტის ტენშემცველობა კი მხოლოდ ამინდზეა დამოკიდებული (მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ჰაერის ფარდობით ტენიანობაზე).

შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირობებში შრობის პროცესი პრაქტიკულად მიმდინარეობს არა მუდმივი, არამედ ცვალებადი ტენშემცველობის მქონე მუშა აგენტის მეშვეობით. იმის გამო, რომ ჩვეულებრივ საშრობებში გამოყენებული მუშა აგენტის დანარჩენი პარამეტრები (კერძოდ სითბო) უცვლელია, შრობის შედეგად მიღებული პროდუქტის საბოლოო ტენიანობა (რომელიც დამოკიდებულია მუშა აგენტის ტენშემცველობაზე) ყოველი შრობისათვის განსხვავებულია. ეს კი განაპირობებს პროდუქტის საბოლოო ხარისხის გაუარესებას.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საშრობი კამერიდან გამოსული ნამუშევარი აგენტის შემთხვევაში. ნებისმიერი პროდუქტის შრობის პროცესის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ამ პროდუქტში არსებული ტენი გადადის მუშა აგენტში. სწორედ საშრობი კამერიდან გამოსულ ნამუშევარ აგენტში არსებული ტენი განაპირობებს შრობის სხვადასხვა სქემის გამოყენების საჭიროებას. ამ სქემებიდან ყველაზე მარტივია მუშა აგენტის ერთჯერადი გამოყენების სქემა, როდესაც ნამუშევარი აგენტი პროდუქტიდან მიღებულ ტენობა ერთად გარემოში გაიღებნება, ხოლო საშრობ კამერას მიეწოდება ახლად მომზადებული მუშა აგენტი. აღნიშნული მარტივი სქემის ნაკლია მუშა აგენტთან ერთად მის გაცხელებაზე დახარჯული სითბოს დაკარგვა, რადგან ნამუშევარ აგენტს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს სითბოს საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა მისი რეცირკულაციის შემთხვევაში. შრობის პოტენციალის მქონე ჰაერთან ერთად იკარგება ის ენერგიაც, რომელიც დაიხარჯა მისთვის აღნიშნული პოტენციალის (ტემპერატურა და ტენშემცველობა) მინიჭებაზე.


ნამუშევარი აგენტის სითბოს გამოყენების მიზნით შრობის პრაქტიკაში დამუშავებულია მუშა აგენტის რეცირკულაციის სხვადასხვა სქემა, რომლებიც ითვალისწინებს ნამუშევარი აგენტის ტენშემცველობის შემცირების მიზნით მასში ახალი, სუფთა ჰაერის შერევას საშრობ კამერაში მიწოდების წინ. მართალია, აღნიშნული მეთოდები პრაქტიკაში გამოყენება, მაგრამ ისინი საკმაოდ დაბალეფექტურია (განსაკუთრებით ტენშემცველობის რეგულირების არარსებობის პირობებში).

ძირითადი ნაწილი

შრობის პროცესის ინტენსივიკაცია და გამშრალი პროდუქტის ხარისხის ამაღლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მუშა აგენტის მომზადებისას მიღწეული იქნება არა მარტო ენთალპიათ სასურველი სხვაობა (კამერაში მისაწოდებელი მუშა აგენტის ტემპერატურის რეგულირების გზით), არამედ ტენშემცველობათა საჭირო სხვაობაც (კამერაში შემაგალი მუშა აგენტის ტენშემცველობის რეგულირების გზით). ამისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაცივარი მანქანის საორთქლებელთან მუშა აგენტის კონტაქტი, რომელიც უზრუნველყოფს საშრობ კამერაში მიწოდების წინ აღნიშნული აგენტიდან ტენის გამოყოფას და მისი ტენშემცველობის შემცირებას ზუსტად დადგენილ მნიშვნელობამდე. ტენის მოცილების შემდეგ მუშა აგენტი ცხელდება სასურველ ტემპერატურამდე უკვე ტენის დამატების გარეშე (მუდმივი ტენშემცველობის პირობებში). შესაბამისად, საშრობ კამერაში მიწოდების წინ მუშა აგენტს უქნება ზუსტად საჭირო ტემპერატურა და ტენშემცველობა, რაც უზრუნველყოფს შრობის პროცესის ოპტიმალურ პირობებში ჩატარებას, პროდუქტის შრობის მაქსიმალური ეფექტის მიღებას და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, გამშრალი პროდუქტის ტენიანობის დამოუკიდებლობას გარემო ჰაერის ტემპერატურისა და ტენშემცველობისაგან. შრობის პროცესის ოპტიმალურ პირობებში ჩასატარებლად შემოთავაზებულია მოწყობილობა, რომლის პრინციპული სქემა წარმოდგენილია ნახაზზე.

საშრობი დანადგარი შედგება საშრობი კამერისაგან (1), რომელიც აღჭურვილია მუშა აგენტის (ჰაერის) შემყვანი (2) და გამოყვანი (3) მიღებით. კამერის მიზნი მოწყობილია მუშა აგენტის გამანაწილებელი ბადეები (4), რომლებიც უზრუნველყოფს კამერის მთელ განივევთში ჰაერის თანაბრად განაწილებას. კამერის გვერდით კედებზე დამაგრებულია გასაშრობი

პროდუქტის მიმწოდი როგორული მკვებავი (5), ხოლო მკვებავის მოპირდაპირე კედელზე – შრობის პროცესში პროდუქტის ფენის სიმაღლის სარეგულირებელი ფარი (6), რომლის გვერდითაა გამშრალი პროდუქტის როგორული გამომტვირთვით (8) აღჭურვილი გამოსახულების გამრა (7).



მაცივარი მანქანის გამოყენებით ჰაერის მუშა პარამეტრების აღდგენის უნარის მქონე მცენარეული ნედლეულის ფოთლის საშრობი დანადგარის სქემა

ნამუშევარი პაერის გამომყვანი მილი (3) მიერთებულია ციკლონთან (9), რომლის ძირში ჩამონატავებულია ნამუშევარი აგენტის მიერ წატაცებული პროდუქტის როგორული გამომტვირთავი (10), ხოლო ზედა ნაწილში – ნამუშევარი აგენტის გამომყვანი მილი (11), რომელიც მეორე ბოლოთი მიერთებულია პაერის ხარჯსაზომთან (12). ხარჯსაზომს აქვს ვენტილის (26) მქონე ატმოსფერული პაერის შემომყვანი მილი (13) და მიერთებულია ტენის გამომყოფ კამერასთან (14). ტენის გამომყოფი კამერის შიგნით განლაგებულია მაცივარი მანქანის საორთქლებელი (15), ხოლო ამ კამერის ძირშია ავზი (16) პაერიდან გამოყოფილი წყლის შესაგროვებლად. ავზს აქვს წყლის ჩამოსაშვები ვენტილი (17). ტენის გამომყოფი კამერა მიღით (18) დაკავშირებულია მუშა აგენტის გამათბობელ კამერასთან (19), რომლის შიგნით მოთავსებულია მაცივარი მანქანის კონდენსატორი (20). მუშა აგენტის გამათბობელი კამერა მიღია აუგვანილობით (21) მიერთებულია ვენტილატორთან (22), რომელიც დამონტაჟებულია საშრობ კამერაში მუშა აგენტის შემყვან მილზე (2).

მაცივარი მანქანის საორთქლებელი და კონდენსატორი ინდივიდუალური მიღებავანილობით (23) დაკავშირებულია კომპრესორთან (24) და დროსელურ გენტილთან (25). ამგვარად შექმნილი მაცივარი მანქანა უზრუნველყოფს იმ სამაცივრო ციკლის წარმართვას, რომელიც განაპირობებს ერთდროულად საორთქლებლის გაცივებას და კონდენსატორის გაცხელებას.

საშრობი დანადგარი მუშაობს შემდეგი პრინციპით: ჩაირთვება ვენტილატორი და საშრობ ქამერაში იწყება მუშა აგენტის მიწოდება მილის დახმარებით. ერთდღოულად კამერაში იწყება

აგრეთვე გასაშრობი პროდუქტის მიწოდება როტორული მკვებავის გავლით. გამანაწილებელი ბადეების (გამთანაბრებლის) გავლის შედეგად კამერაში მუშა აგენტი შედის თანაბრად, წარიტაცებს გასაშრობი პროდუქტის ნაწილაკებს და წარმოქმნის მდუღარე შრეს. ასეთ პირობებში პროდუქტის შრობა მიმდინარეობს მაღალი ინტენსიურობით. უკვე გამშრალი პროდუქტი სარეგულირებელი ფარის გავლის შემდეგ მოხვდება განმტვირთავ კამერაში, საიდანაც როტორული განმტვირთავის გავლით გამოიტვირთება საშრობი მანქანიდან. გამშრალი პროდუქტის სანაცვლოდ კამერაში ხდება ახალი გასაშრობი პროდუქტის მიწოდება როტორული ჩამტვირთავის საშუალებით.

პროდუქტის ინტენსიური (მდუღარე შრის პირობებში) შრობის შედეგად მუშა აგენტის პარამეტრები იცვლება: მისი ტემპერატურა მცირდება, ხოლო ტენშემცველობა იზრდება, რის გამოც იგი კარგავს შრობის უნარს. ამ უნარის აღდგენის მიზნით ნამუშევარი ჰაერი მიღვანილობით მიეწოდება ციკლონში, სადაც ხდება ჰაერის გათავისუფლება მის მიერ წატაცებული პროდუქტის მცირე ზომის ნაწილაკებისაგან. მათ ციკლონიდან გამოტვირთვას ახორციელებს როტორული განმტვირთავი. წატაცებული ნაწილაკებისაგან გასუფთავებული ნამუშევარი ჰაერი მიღვანილობით ჯერ მიეწოდება ჰაერის სარჯსაზომს, ხოლო შემდეგ - ტენის გამოყოფ კამერას. სარჯსაზომი ახდენს მუშა აგენტის სარჯის აღრიცხვას. იგი ელექტრულად დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის შემოყვან მილზე დასმულ ვენტილთან და არეგულირებს საშრობ კამერაში მისაწოდებელი ჰაერის რაოდენობას. თუ მუშა აგენტის რაოდენობა შემცირებული აღმოჩნდება (მაგალითად, მიღვანილობებში არსებული დანაკარგების შედეგად), სარჯსაზომი გაადებს ვენტილს და მიღით შეუშვებს იმდენ ატმოსფერულ ჰაერს, რამდენიც უზრუნველყოფს საშრობ კამერაში ვიბრომდულარე შრეში შრობის ნორმალურ (ოპტიმალურ) პირობებს.

ტენის გამოყოფის კამერაში შესული ნამუშევარი აგენტი კონტაქტში შედის იქ განლაგებულ ცივ საორთქლებელთან, რის შედეგადაც ხდება მისი გაცივება. რადგან საორთქლებლის ტემპერატურა მუშა აგენტის ნამის წერტილზე დაბალია, ამიტომ მასთან შეხებისას ეს ჰაერი ცივდება ნამის წერტილზე უფრო დაბალ ტემპერატურამდე და იწყება მისგან ტენის გამოყოფა. გამოყოფილი ტენი წყლის სახით გროვდება ტენის გამოყოფის კამერის ძირში არსებულ ავზში და პერიოდულად გამოიდევნება ვენტილის გავლით.

გაგრილებული და ტენის მოცილების შედეგად ტენშემცველობაშემცირებული მუშა აგენტი მიღით მიეწოდება მუშა აგენტის გამათბობელ კამერას, რომელშიც მაცივარი მანქანის ცხელი კონდენსატორია მოთავსებული. აქ კონდენსატორთან კონტაქტის შედეგად მუშა აგენტი ცხელდება საჭირო ტემპერატურამდე, თუმცა მასში ტენის დამატება უკვე აღარ ხდება. ამიტომ ტენის გამოყოფის კამერიდან დარჩენილი ტენშემცველობისა და მუშა აგენტის გამათბობელ კამერაში შეძნილი ტემპერატურის მქონე მუშა აგენტი მიღვანილობით მიეწოდება ვენტილატორს, რომელიც მას დაჭირხნის კვლავ საშრობ კამერაში მიღის გავლით.

მაცივარ მანქანას აქვს ავტომატური მართვა, ამიტომ მისი საორთქლებლის ტემპერატურა მუდმივ სიღიდეს წარმოადგენს. მუდმივი ტემპერატურის მქონე საორთქლებელთან კონტაქტის შემთხვევაში საშრობი კამერიდან გამოსული ნამუშევარი აგენტი (ან გარემოდან შემოსული სუფთა ჰაერი) ცივდება ნამის წერტილის ტემპერატურამდე, რის შედეგადაც ხდება ჰაერიდან ტენის გამოყოფა. საორთქლებლის მუდმივი ტემპერატურა უზრუნველყოფს ნამის წერტილის ტემპერატურის მუდმივობას და, ამდენად, ჰაერის გაშრობას ზუსტად დადგენილ ტენშემცველობამდე. საჭირო ტენშემცველობის მიღწევის შემდეგ მუშა აგენტი ჯერ წინასწარ შეთქმება იმავე მაცივარი მანქანის კონდენსატორთან კონტაქტის შედეგად, შემდეგ კი დამატებით ცხელდება (თუ ეს აუცილებელია) კალორიფერში საჭირო ტემპერატურამდე. კონდენსატორთან და კალორიფერთან კონტაქტის პროცესში მუშა აგენტის ტენშემცველობა უცვლელი რჩება. შესაბამისად, საშრობ კამერას მიეწოდება ზუსტად იმ ტემპერატურისა და ტენშემცველობის მქონე მუშა აგენტი, რომლის პარამეტრები დამოკიდებულია მაცივარი მანქანის საორთქლებლის, კონდენსატორისა და კალორიფერის ტემპერატურებზე და არ არის დამოკიდებული ატმოსფერული ჰაერის პარამეტრებზე.

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი კონსტრუქცია უზრუნველყოფს საშრობი მანქანის კამერაში მისაწოდებელი მუშა აგენტის ძირითადი პარამეტრების (ტემპერატურისა და ტენსივულობის) მუდმივობას ატმოსფერული ჰაერის პარამეტრებისა და ამინდისაგან დამოუკიდებლად. პარამეტრების მუდმივობა კი უზრუნველყოფს შრობის პროცესის ოპტიმალურ პირობებში ჩატარებას და შრობის ხარისხის გაუმჯობესებას. მართალია, ტენის გამოყოფის მიზნით ჰაერის გაცივება იწვევს სითბოს გარკვეული რაოდენობის დაკარგვას, მაგრამ აღნიშნული დანაკარგი მცირება შრობის ხარისხის გაუმჯობესების ეფექტოა შედარებით. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაცივარი მანქანის საორთქლებელი აცივებს მუშა აგენტს, ხოლო იმავე მაცივარი მანქანის კონდენსატორი უზრუნველყოფს მის ხელახლა გათბობას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Мегрелидзе Т., Колесников Ю. К вопросу применения холодильной установки для сушки чая // Труды международной научно-технической конференции «Технологические процессы и оборудование». М., 2001, с. 148-151.
2. თ. მეგრელიძე, თ. რევიშვილი, ზ. შუბლაძე, ბ. დოლიძე, ლ. გალოგრე, ზ. ჯაფარიძე, გ. გოლეთიანი, გ. გუგულაშვილი. ჩაის ფოთლის საღნობი მანქანა. საპატენტო სიგელი GE P 4565 B. 10.12.2008. A 23 F 3/00.
3. თ. მეგრელიძე, თ. რევიშვილი, ზ. შუბლაძე, ბ. დოლიძე, გ. მეგრელიძე, გ. გუგულაშვილი. ჩაის ფოთლის საღნობი მანქანის მუშა აგენტის აღმდგენი მოწყობილობა. საპატენტო სიგელი GE P 4710 B. 01.10.2009. A 23 F 3/00, F 25 B 29/00.
4. თ. მეგრელიძე, ლ. მაღრაძე, ლ. პაპავა, გ. გუგულაშვილი, ე. სადაღაშვილი, მ. რაზმაძე. შრობის პროცესში გამოყენებული ჰაერის მუშაუნარიანობის აღდგენა//ენერგია, № 1 (65), თბ., 2013, გვ. 58-62.

THE NEW DRYING PLANT WITH WORKING AGENT SOURCE PARAMETERS RE-ESTABLISHMENT INNOVATION METHOD

T. Megrelidze, G. Pirveli, G. Gugulashvili, G. Beruashvili, T. Isakadze

(Georgian Technical University)

Resume: There is considered the question of re-establishment of working agent source parameters (the humidity and temperature), which appears from drying machines. There is shown, that working agent source parameters re-establishment is possible with its moisture separate with cooling application at first and then with its heating with the moisture transmissions exclusion. For working agent source parameters re-establishment there is proposed its cooling and heating in refrigerator machine evaporator and condensate.

Key words: condensate; drying agent; drying machine; evaporator; refrigerator; raw materials vegetable; working parameters.

НОВЫЕ ТЕХНОЛОГИИ

НОВАЯ СУШИЛЬНАЯ УСТАНОВКА С ИННОВАЦИОННЫМ МЕТОДОМ ВОССТАНОВЛЕНИЯ СУШИЛЬНОЙ СПОСОБНОСТИ РАБОЧЕГО АГЕНТА

Мегрелидзе Т. Я., Пирвели Г. Т., Гугулашвили Г. Л., Беруашвили Г. Ш., Исакадзе Т. А.

(Грузинский технический университет)

Резюме: Рассмотрен вопрос повышения влажности сушильного агента в процессе сушки. Показано, что путем уменьшения влажности подаваемого в сушильную камеру рабочего агента, возможны увеличение качества сушки и интенсификация процесса. Представлено новое устройство, которое обеспечивает уменьшение влажности рабочего агента перед подачей в сушильную камеру с использованием холодильной машины.

Ключевые слова: испаритель; конденсатор; рабочие параметры; растительное сырье; сушильная машина; сушильный агент; холодильная машина.

ელექტრომანქანათმშენებლობა

ორფაზა და სამფაზა ელექტრომანქანების სიმძლავრეთა შესახებ

არკადი რიკრიკაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: განხილულია ორფაზა და სამფაზა ელექტრომანქანების სიმძლავრე. ავტორი მიზნად ისახავს მათი ტოლობის თეორიულ დასაბუთებას. დღემდე სამეცნიერო წრებში არსებობს განსხვავებული აზრი იმის შესახებ, რომ, რაც მეტია ფაზათა რაოდენობა ელექტრომანქანაში, მით მეტია მისი სიმძლავრე. სტატიაში თეორიულად დამტკიცებულია ამ მოსაზრების უსაფუძვლობა.

საკვანძო სიტყვები: ელექტრომანქანა; ორფაზა; სამფაზა; სიმძლავრე.

შესავალი

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ელექტრომანქანაში ფაზათა რაოდენობის მატების პროპორციულად იზრდება მისი სიმძლავრე. მაგალითად, სამფაზა ელექტრომანქანის სიმძლავრე მეტია ორფაზა მანქანის სიმძლავრეზე $3/2=1.5$ -ჯერ. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ასაბუთებს, თუ რატომაა ეს ასე. შევეცდებით ზემოაღნიშნული დებულების უსაფუძვლობის დამტკიცებას.

ძირითადი ნაწილი

თეორიული ელექტროტექნიკიდან ცნობილია, რომ ელექტრომანქანის აქტიური სიმძლავრე

$$P = m \cdot E \cdot I \cdot \cos \varphi, \quad (1)$$

სადაც m ფაზათა რაოდენობა, E – ფაზური ელექტრომომაძრავებული ძალა (ემ), I – ფაზური დენი, $\cos \varphi$ – სიმძლავრის კოფიციენტი. ერთნაირი კონსტრუქციის ორფაზა და სამფაზა ელექტროგენერატორის სტატორის ღრმულთა რაოდენობა (Z), წყვილ პოლუსთა რაოდენობა (p) და ფაზაში ხვიათა რაოდენობა ერთმანეთის ტოლია. ერთი და იმავე სიხშირის დენის მისაღებად ამ მანქანების ბრუნთა რიცხვი ერთნაირი უნდა იყოს და, შესაბამისად, მაგნიტური ინდუქცია და ფაზური ემ-ც ტოლია. ელექტრომანქანის სტატორში პოლუსსა და ფაზაზე მოსული ღრმულთა რაოდენობა (q)

$$q = \frac{Z}{2pm}. \quad (2)$$

ორფაზა ელექტრომანქანაში სამფაზასთან შედარებით $q = 1.5$ -ჯერ მეტია. ხვიათა იმავე რაოდენობის შემთხვევაში (ისეთივე სიდიდის ემ-ის მისაღებად) იმავე ღრმულების შესაძლებელია 1.5-ჯერ მეტი განივალეთის მქონე გამტართა მოთავსება, რაც ფაზური დენის ასევე 1.5-ჯერ გაზრდის საშუალებას იძლეა და, (1)-ის თანახმად, ერთნაირი კონსტრუქციის პირობებში ფაზათა რაოდენობის ცვლილებით მანქანის სიმძლავრე არ იცვლება.

გამტარის განივალეთის 1.5-ჯერ გაზრდა მისი აქტიური წინადობის 1.5-ჯერ შემცირებას იწვევს. ასევე 1.5-ჯერ მცირდება მისი ინდუქციური წინადობაც. მართლაც, სტატორის მთავარი ინდუქციური წინადობა გამოითვლება ფორმულით [1]

$$x_{r1} = \frac{4 \cdot m_1 \cdot f_1 \cdot \mu \cdot \tau \cdot l \cdot W_1^2 \cdot K_{\delta\gamma}}{\pi \cdot K_\mu \cdot K_\delta \cdot \delta \cdot p}, \quad (3)$$

სადაც m_1 ფაზათა რაოდენობა; W_1 – ხვიათა რაოდენობა; f_1 – დენის სიხშირე; μ – მაგნიტური მუდმივა; $K_{\delta\gamma}$ – გრადნილის კოეფიციენტი; τ – საპოლუსო დანაყოფი; l – მაგნიტური გამტარის

სიგრძე; K_μ – მაგნიტური წრედის გაჯერების კოეფიციენტი; K_δ – კარტერის კოეფიციენტი; δ – საპაულო დრენი; p – წყვილპოლუსთა რაოდენობა. ფანტვის ინდუქციური წინაღობა კი ტოლია [1]

$$X_\sigma = 4\pi \cdot \frac{w^2}{p \cdot q} \cdot \mu_0 \cdot f \cdot l \cdot (\lambda_{\varphi} + \lambda_{\beta} + \lambda_{\alpha} + \lambda_{\beta\varphi}), \quad (4)$$

სადაც λ_{φ} , λ_{β} , λ_{α} და $\lambda_{\beta\varphi}$, შესაბამისად, დრმულის, კბილის გვირგვინის, შუბლური ნაწილის, დიფერენციალური და კბილის დახრის ფანტვის გამტარობებია.

(3) და (4) ფორმულებიდან ჩანს, რომ სტატორის ინდუქციური წინაღობა, რომელიც m -ზე და q -ზეა დამოკიდებული, ორფაზა ელექტრომანქანაში 1.5-ჯერ მცირეა. შესაბამისად, 1.5-ჯერ მცირეა მისი სრული წინაღობაც. აქედან გამომდინარე, ნომინალური დატვირთვის დენის დროს გენერატორის ძაბვის სიდიდეც იგივეა. ორფაზა და სამფაზა მანქანაში ელექტრული დანაკარგებიც ტოლია

$$\Delta P_3 = 3 \times I_3^2 \times R_3 \quad (5)$$

და

$$\Delta P_2 = 2 \times I_2^2 \times R_2 = 2 (1.5 I_3)^2 \times \frac{R_3}{1.5} = 3 \times \frac{2}{3} I_3^2 \times R_3, \quad (6)$$

ე. ი. $\Delta P_2 = \Delta P_3$.

ელექტრომანქანის ემდ-ზე გავლენას ახდენს გრაგნილის კოეფიციენტი: $K_{\varphi\varphi} = K_\varphi \cdot K_{\varphi\varphi} \cdot K_{\varphi\varphi}$, სადაც K_φ , $K_{\varphi\varphi}$ გრაგნილის განაწილების, დამოკლების და დრმულის დახრის კოეფიციენტია.

ამ კოეფიციენტებიდან მირთადად ორფაზა და სამფაზა გრაგნილის განაწილების კოეფიციენტშია განსხვავება. იგი ტოლია:

$$K_\varphi = \frac{\sin \frac{\pi}{2m}}{q \sin \frac{\pi}{2mq}}. \quad (7)$$

ამ ფორმულით გამოთვლილი ორფაზა და სამფაზა გრაგნილის კოეფიციენტების შეფარდება ტოლია 1.06-ის, რაც იმას ნიშნავს, რომ ორფაზა ელექტრომანქანის ემ 6 %-ით ნაკლებია სამფაზაზე, მაგრამ 6 %-ითვე შემცირდება ორგორც ელექტრომანქანის სრული წინაღობა, ისე ძაბვაც.

შეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ ექსპერიმენტულად მიღებულია, რომ ორფაზა ელექტრომანქანის სიმძლავრე სამფაზა ელექტრომანქანასთან შედარებით 6 %-ით ნაკლებია [2], ხოლო მეორე ჯგუფის აზრით, 7 %-ით ნაკლები [3]. ორფაზა ელექტრომანქანის დრმულებში გამტარები 1.5-ჯერ მეტ დრმულებშია განაწილებული, ამიტომ ერთი და იმავე დენის სიმკვრივის დროს ორფაზა ელექტრომანქანის სტატორის გრაგნილიდან სითბოს ართმევა უმჯობესდება [4], რაც დატვირთვის დენის გაზრდის საშუალებას იძლევა და, შესაბამისად, რამდენადმე კომპენსირდება სიმძლავრის 6 – 7 %-იანი დანაკარგი.

დასკვნა

ამრიგად, ერთნაირი კონსტრუქციის ელექტრომანქანებში ფაზათა რაოდენობის შემცირება გამტარის განვიველის გაზრდის საშუალებას იძლევა და თანაც ორფაზა და სამფაზა ელექტრომანქანის სიმძლავრე პრაქტიკულად ერთნაირია.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Вольдек А. И. Электрические машины. Изд. «Энергия», 1974.
2. Адаменко А. И., Кисленко В. И. Преобразование однофазного тока в многофазный. Киев, 1971.
3. Хрущев В. В., Гандшу В. М. Расчет конденсаторных асинхронных электродвигателей, имеющих общую геометрию с трехфазными. Всесоюзный научно-исследовательский институт электромашиностроения. Л., 1970.
4. Лопухина Е. М., Семенчуков. Г. А. Проектирование асинхронных микродвигателей с применением ЭВМ. М.: Высшая школа, 1980.

ELECTRIC MECHANICAL ENGINEERING

THE POWER OF TWO-PHASE AND THREE-PHASE ELECTRICAL MACHINES

A. Rikrikadze

(Georgian Technical University)

Rezume: Tere is considered the power of two-phase and three-phase electrical machines. The purpose of the article is theoretical justification of their equality. Some scientists believe, that the more the number of phases of the electrical machine, the more is power. In the article theoretically is shown the hollowness of the situation.

Key words: electrical machine; power; three-phase; two-phase.

ЭЛЕКТРОМАШИНОСТРОЕНИЕ

О МОЩНОСТИ ДВУХФАЗНОЙ И ТРЕХФАЗНОЙ ЭЛЕКТРИЧЕСКИХ МАШИН

Рикрикадзе А. А.

(Грузинский технический университет)

Резюме: Рассмотрены мощности двухфазной и трехфазной электрических машин. Целью является теоретическое обоснование их равенства. Некоторые ученые считают, что чем больше число фаз электрических машин, тем больше мощность. В статье теоретически показана беспочвенность этого положения.

Ключевые слова: двухфазный; мощность; трехфазный; электромашина.

**სტილიზრ-დამანგრევები პროცესების გააძლიერება ზაზბების
მუნიციპალიტეტის ფერითორიაზე (დეპლორაცის ბლაციონალცოვის
მაგალითზე)**

რეგაზ ხაზარაძე, კობა ხარაძე, კუკური წიქარიშვილი

(ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის
გეოგრაფიის ინსტიტუტი)

რეზიუმე: განხილულია თანამედროვე დვარცოფების ბუნება; ხეობებში შემორჩენილი
დვარცოფული მასალის საშუალებით გამოვლენილ იქნა წარსულში არსებული დვარცოფული
კერები და შეძლებისდაგვარად დადგინდა მათი გავრცელების საზღვრები.

ბოლო წლებში (2006, 2010, 2012), ყაზბეგის რეგიონში ავტორთა მიერ ჩატარებულ კვლევითს
სამუშაოებსა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში, სადაც განხილულია დევლორაკის ხეობაში განვითა-
რებული გლაციოლგვარცოფების მოქმედება, გამოთქმულია მოსაზრება მათი წარმოშობის პირობებზე,
სტიქიურ-დამანგრევებით რისკის შერბილებასა და უგნებელყოფაზე. რეკომენდაციებში ხაზგასმით
არის მითითებული დარგობრივი მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობის შესახებ დვარცოფმა-
ფორმირებელ უბნებზე. წინა პლანზე წამოწეული 2014 წლის 16–17 აგვისტოს დევლორაკის
ხეობაში განვითარებული გლაციოლგვარცოფი, რომელმაც გამოიწვია მდ. ოერგის ხეობაში სტიქიურ-
დამანგრევებით მოვლენები. დამატებითი მასალის მოპოვებისა და ხეობის გეოგრაფიული გარემოს
დათვალიერების მიზნით კიდევ ერთხელ მოეწყო ექსპედიცია დევლორაკის ხეობაში.

დაკვირვებებითა და არსებული მასალების განზოგადებით ავტორები იმ დასკვნამდე მივიღნენ,
რომ დევლორაკის ხეობის დვარცოფებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამასთან, ცნობილია
განმეორებადობის ეტაპები დროის მიხედვით, რაც თანდათან მცირდება, მაგრამ გამორიცხული არ
არის, რომ ანალოგიური შემთხვევები ისევ განმეორდეს; ამიტომ საჭიროა მიღებული მონაცემების
საფუძველზე ჩატარდეს ისეთი სამუშაოები, რომლებიც მინიმუმადე დაიყვანს დევლორაკის
დვარცოფით გამოწეული ნგრევისა და კალაპოტიდან გადმოსვლის შესაძლებლობებს.

საკვანძო სიტყვები: დევლორაკი; სტიქიური მოვლენები; დვარცოფი.


შესავალი

ყაზბეგის რეგიონი ტერიტორიულად მდებარეობს კავკასიონის ჩრდილო ფერდობის
მაღალმთიან ზონაში. აქ არსებული რელიეფის სირთულე, დრმად ჩაჭრილი ხეობები, დიდი
დახრილობის ფერდობები და მკაცრი კლიმატური პირობები განაპირობებს რთულ ლანდშაფტურ
ბუნებას. რეგიონის მთავარ ოროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს მყინვარწვერი მრავალრიც-
ხოვანი განშტოებებითა და თანამედროვე მყინვარებით, რომლებიც დასაბამს აძლევს დვარცოფების
განვითარებას. დვარცოფების კერების ფორმირების ადგილები ძირითადად მდებარეობს ალპურ და
ნივალურ-გლაციალურ ზონებში. გამომდინარე აქვდან, დვარცოფის ფორმირებაში მონაწილეობს
გრავიტაციული ნაშალი მასალა, მდინარეული, მორენული და ფლუვიოგლაციალური ნალექები. გან-
საკუთრებით კატასტროფული შედეგებით ხასიათდება ის დვარცოფები, რომლებიც სათავეს იღებს
ნივალურ-გლაციალურ ზონაში და წარმოქმნის გლაციალურ დვარცოფებს. ამ მხრივ გამოირჩევა
მდ. ოერგის მარცხენა შენაკადების (ესიქომი, გორისციხე, კაბახი, ამალი, გერგეტი, ჩერი) ხეობები,
რომლებშიც მყინვარწვერის ვულკანური მასივიდან რადიალურად ეშვებოდა სხვადასხვა
სიმძლავრის ლაგური დვარები და მათი ასაკი ნეოგენ-მეოთხეული პერიოდით განისაზღვრება [1].

იმისათვის, რომ სწორად იქნეს აღქმული თანამედროვე დვარცოფების ბუნება, საჭიროა ხეობებში შემორჩენილი დვარცოფული მასალის საშუალებით გამოვლინდეს წარსულში არსებული დვარცოფული კერები და შეძლებისდაგვარად დადგინდეს მათი გავრცელების საზღვრები.

ძირითადი ნაწილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განვითარებული დვარცოფული პროცესებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გლაციოდვარცოფები, რომლებშიც გარკვეულწილად მონაწილეობს მყინვარების ინტენსიური დნობისა და ჩამონგრევის შედეგად დაგროვილი მასალა. დვარცოფად ჩამოყალიბებაში საკმარისია გარემო პირობების ცვალებადობით (კლიმატი, ატმოსფერული ნალექები, სეისმური სიტუაცია) გამოწვეული ბიძგები. ამ მხრივ საინტერესო მასალა არსებობს დევდორაკის მყინვარის დინამიკის შესახებ (ნახ. 1).



ცხრილი 1

მდ. თერგის შენაკადის – ამაღის შესართავთან ჭრილის
პალინოლოგიური ანალიზის შედეგი

ნიმუშის №№	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120
სპორ. და ხემცენარეთა რაოდენობა	38	2	8	2	3	87	12	4	36	284	22	1	4	14	2	18	13
ხემცენ. მტკერი	17	1	4	2	2	60	11	3	36	265	18	1	3	13	2	17	13
ბალახოვ. მტკერი	9	-	3	-	1	25	1	1	-	15	4	1	1	1	-	-	-
სპორები	22	1	1	-	-	2	-	-	-	4	-	-	-	-	-	-	-
ხემცენარ	003	და	ბუჩქ	ნარ.	მტკ	მრ0											
Abies	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Pioea	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	1	-	-	-
Pinus	6	1	1	1	-	9	6	2	34	112	13	-	3	11	-	10	13
Juglandaceae	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Carpinus Orientalis	-	-	-	-	-	3	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
Carpinus Caucasic	-	-	-	-	1	10	2	-	-	10	-	-	-	-	-	-	-
Corylus	-	-	-	-	1	14	1	4	-	38	-	1	-	1	2	5	-
Betula	-	-	-	-	-	1	-	-	-	11	-	-	-	-	-	1	-
Alnus	-	-	-	-	-	6	-	-	-	5	-	-	-	-	-	-	-
Castanea	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Quercus	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-
Fagus	-	-	1	-	-	6	1	-	1	62	4	-	-	-	-	-	-
Umus	-	-	-	-	-	-	-	-	-	10	-	-	-	-	-	-	-
Rosa	-	-	-	-	-	2	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-
Rhus	-	-	-	-	-	5	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
Tilia	-	-	-	-	-	1	-	-	-	3	-	-	-	-	-	-	-
Rhododendron	-	-	-	-	-	-	-	-	-	3	-	-	-	-	-	-	-
განუსაზღვრ.	-	-	1	1	-	1	1	-	1	3	1	-	-	-	-	1	-
ბალახოვან	013	მტკ	მრ0														
Camineae	-	-	-	-	-	3	-	-	-	1	-	-	-	-	-	1	-
Scabiosa	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-
Chenopodiaeae	1	-	1	-	-	4	-	-	-	1	2	-	-	-	-	-	-
Caryophyllaoeae	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Ephedobiun	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	1	-	-	-
Calystegia	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
Plantago	-	-	-	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
Comositeae	8	-	-	-	1	12	1	1	-	5	1	1	1	-	-	-	-
განისაზღვრ.	-	-	2	-	-	5	-	-	-	2	1	-	-	-	-	-	-
სპორმბი																	
Sphagnum	1	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-
Polypodiaceae	21	1	1	-	-	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	-	-
Dryopteris	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
Pteris	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
განისაზღვრ.	-	-	-	-	-	-	-	-	-	1	-	-	-	-	-	-	-

ბალახოვნებთან ერთად აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა სახის ფართოფოთლოვანი ტყის ამსახველი ტაქსონი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რელიქტების (Tsuga, Cedrus) ერთეული მარცვლები, რომლებიც დამახასიათებელია ზომიერი ნოტიო კლიმატის პირობებისათვის და თანამედროვე მდგომარეობაში გვხვდება ჰიმალაის, ჩინეთის, იაპონიის და ჩრდილო ამერიკის მთებში. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ წარმოდგენილი ნალექების სედიმენტაციის დროს ზომიერი ნოტიო კლიმატი იყო. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მათ არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეთ მორენულ ხასიათთან. სავარაუდოა, რომ დვარცოფი ხეობაში მას შემდეგ განვითარდა, რაც ვიურმულმა მყინვარმა დატოვა ხეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მყინვარი მას მოსპობდა. ჩვენი აზრით, ამალის ხეობის ფხვიერი და ლოდნარი მასალის ტრანსტორტირებაში გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა იმ კატასტროფულ დვარცოფულ ნაკადებს, რომლებიც ჯერ კიდევ ისტორიული დროიდან არის ცნობილი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 1905 წელს დევდორაკის გლაციოლგარცოფი, რომელიც ჩაედინებოდა მდ. ამალის ხეობაში 30–40 მ სიმძლავრის ნაკადით და თან მიჰქონდა უზარმაზარი ლოდები, რომელთა შემცველობა თითქმის 70 %-ს აღწევდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვლადიკავკაზი, კიროვის ქუჩაზე მდებარე სამი ერატიქული ბლასტომილონიტიებული გრანილიორიტის და სოფ. ბალთასთან 50–60 მ სიმაღლეზე 5–6 მ სიდიდის მილონიტიებული ბიოტიტიანი გრანიდიორიტის ლოდები, რომელთა შესატყვისი ძირითადი ქანები სწორედ დევდორაკის ხეობაშია წარმოდგენილი.

ასევე საინტერესოა ერთი ფაქტიც, რომელიც განვითარდა დევდორაკის ხეობაში XVIII საუკუნის 50-იან წლებში. ცნობილი გამყოლები, მეტი ბეზურტანოვები იგონებენ მამის – ცოგოლა ბეზურტანოვის მონაცოლს, თუ როგორ ჩამოინგრა დევდორაკის მყინვარის დაბოლოებასთან მასახის ქვეში შევეული კლდე, რომელიც ხეობას ავიწროებდა. ჩამონგრევის შედეგად წარმოქმნილმა შემზარავმა ხმაურმა გამოიწვია სოფ. გველეთის მოსახლეობის პანიკა; ისინი ცდილობდნენ დაეტოვებინათ დასახლება [3].

თუ გავითვალისწინებოთ ზემოთ განხილულ პროცესებს, ნათელია, რომ პლისტოცენში მყინვარწერზე მომხდარი ვულკანური ამოფრქვევები და მყინვარების კატასტროფული დნობა თავისთავად გამოიწვევდა მდ. თერგის ხეობაში მდლავრი გლაციოლგარცოფების წარმოქმნას, რაც განაპირობებდა ჩრდილო თხეთის ვაკეზე ლოდნარი მასალის გამოტანას.

რაც შეეხება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მიმდინარე თანამედროვე პროცესებს, შეუძლებელია ყურადღება არ გამახვილდეს კარმადონის დვარცოფზე, რომელიც აქ განვითარდა მყინვარწერის მთის ფერდობიდან მდ. გენალდონის ხეობაში 2002 წლის 20 სექტემბერს და დღემდე შეიძლება ჩაითვალოს უკანასკნელი ასწლეულის კატასტროფულ მოვლენად. ყინულითა და ქვადორდით შედგნილი დავარცოფის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე 150–200 კმ/სთ-ს აღწევდა. დვარცოფული მასალით ამოივსო კარმადონის ხეობა 11 კმ-ზე, განადგურდა თერმული წყლებით ცნობილი საკურორტო დასახლებები, რესტორნები, საავტომობილო გზა; მდინარის შეგუბებით შეიქმნა ტბა, დაიღუპა 120 და უგზო-უკვლიო დაიკარგა 100-მდე ადამიანი. დვარცოფის მიერ ჩამოტანილი მასალა დაახლოებით 130 მლნ მ³-ს შეადგენდა [4].

როგორც ახლო წარსულში, ისე ამჟამადაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ხშირია დვარცოფული მოვლენები, მაგრამ მათი სიმძლავრე იმდენად უმნიშვნელოა, რომ მდ. თერგის შეგუბება ხანგრძლივი პერიოდით არ ხდება. ამასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2014 წლის აგვისტოში მდ. ამალის ხეობაში დევდორაკის მყინვარიდან განვითარებულ გლაციოლგარცოფს, გარემოსა და მოსახლეობაზე კატასტროფული ზიანი შედარებით ხაკლებია.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებმა ჯერ კიდევ წარსულში მრავალი ცნობილი უცხოელი მეცნიერის ყურადღება მიიქცია, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ა. დუხოვსკის [5] დაგვირგვებები მყინვარის დინამიკის შესახებ (ცხრილი 2).

დევდორაკის მყინვარის დინამიკის განსაზღვრის დროს აუცილებელია შევეხოთ მის მარჯვენა შენაკადს – მყინვარ შანგრას, რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა მყინვარ დევდორაკის დინამიკაში. გ. აბიხის [6] მიხედვით, 1861 წლამდე მყინვარი შანგრა შეერთებული იყო დევდორაკის ძირითად ნაკადთან. 1882 წელს იგი მოწყდა და 70 საუკუნით დაშორდა, ხოლო 1910 წელს მანძილი 135 საუკუნით გაიზარდა. თუ გადავხედავთ წინამორბედი მკვლევრების (აბიხ [6], Статковский [3], Подозерский [7], Рейнгард [8], Ренгартен [9], Маруашвили [10] და სხვ.) ნაშრომებს,

ისინი დევდორაკის ხეობის მორფოლოგიის განხილვის დროს განსაკუთრებით დიდ უურადღებას უთმობდნენ მყინვარის დაბოლოებასთან მარცხენა მხარეს, მასახის მთის ფერდობზე არსებულ შეეულ კლდოვან წარმონაქმნის, რომლის გამოც ხეობა შევიწროებული იყო და აყოვნებდა დევდორაკის მყინვარის მოძრაობას. სწორედ ამ კლდოვანი ნაწილის ჩამონგრევამ გამოიწვია უზარმაზარი ინერტული მასალის დაგროვება და ხეობის გადაპეტვა; დაიწყო ნადნობი წყლების დაგროვება და, როცა წყლის დონემ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, მოხდა ჯებირის გარღვევა და ხეობაში გრანდიოზული გლაციოლგარცოფის ნაკადის წარმოქმნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩამონგრევა გახდა სოფ. გველეთის მოსახლეობის გახიზვის მიზეზი. არსებულ ცნობებს თუ გავიზიარებთ, დევდორაკისა და მასახის კლდეების ჩამონგრევა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში 10–15 წლის ინტერვალით გრძელდებოდა. XIX საუკუნის 60-იან წლებში შეინიშნებოდა პერიოდულის ცვალებადობის საგრძნობი შემცირება, რასაც ადასტურებს მე-2 ცხრილის მონაცემები.


ცხრილი 2 დევდორაკის მყინვარის მოძრაობის ციფრობრივი მონაცემები 1863–1912 წლებში

წლები	მანძილი ნიშნ.	ცვალებადობის სიდიდე, საჟ.	ცვალებადობის ხასიათი
1863	—	—	—
1864	—	+20	წინ წამოწევა
1865	—	-6	უპან დახევა
1866	135	+2	წინ წამოწევა
1867	—	+62	—,,—
1868	68		—,,—
1869	66	+2	—,,—
1870	60	+6	—,,—
1871	56	+4	—,,—
1872	50	+6	—,,—
1873	46	+4	—,,—
1874	40	+6	—,,—
1875	23	+17	—,,—
1879	—	—	
1880	—	-10	უპან დახევა
1886	35	+ ?	წინ წამოწევა
1887	14	+21	—,,—
1890	22	-8	უპან დახევა
1891	33	-11	—,,—
1892	27	+6	წინ წამოწევა
1893	42	-15	უპან დახევა
1904	16	+26	წინ წამოწევა
1905	19	-3	უპან დახევა
1909	16	+3	წინ წამოწევა
1910	18	-2	უპან დახევა
1911	17	+1	—,,—
1912	20	-3	—,,—

როგორც განხილული მოვლენებიდან და წვერ მიერ მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, ყაზბეგის რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს დევდორაკის ხეობაში არსებული გლაციოლგარცოფული ნაკადები, რომლებიც სათავეს ნივალურ-გლაციალური ზონიდან იღებს და არნახული სტიქიურ-დამანგრევებით ხასიათდება. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს უკანასკნელი გამყინვარების (ვიურმულ) პერიოდში დევდორაკის ხეობაში განვითარებული გლაციოლგარცოფი, რომელიც დაემთხვევა მყინვარწევრიდან ამოფრქვეული ლავის მეოთხე ფაზას. ლავურმა ნაკადმა გამოიწვია დევდორაკის მყინვარის ინტენსიური დნობა და

ბლოკებად ჩამოშლა, რამაც ხეობის სათავეში დაგროვილ გრავიტაციულ მასალასთან ერთად შექმნა გრანდიოზული ღვარცოფული ნაკადი, რომლის სიმძლავრე ხეობაში 100 მ-ს აღწევდა; მდ. თერგის ხეობაში შეერთებასთან კი, 150–180 მ-მდე სიმძლავრის ფხვიერი ნალექების წყება წარმოიქმნა, რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია მდ. თერგის ხანგრძლივი პერიოდით შეგუბება. სწორედ ეს იყო ის ლაგური ნაკადი, რომელმაც ჯებირის გარღვევის შემდეგ ქ. ვლადიკავკაზიამდეც კი ჩაადწია. მას შემდეგ განვითარებული გლაციოლგარცოფული ნაკადები შედარებით ნაკლები სიმძლავრეებით ხასიათდებოდა (30–40 მ) და უკანასკნელი გამყინვარების შემდგომ ჩამოყალიბებული ხეობის ფარგლებში თავსდებოდა. თუმცა თერგის ხეობაში გავლისას ხშირი იყო ცენტრალური გაზსადენი მილისა და ნაგებობების ნგრევა-დაზიანება, საავტომობილო გზის ჩახერგვა და გადაკეტვა, რასაც თან სდევდა ადამიანთა მსხვერპლიც.

ბოლო პერიოდში (2006, 2010, 2012) ყაზბეგის რეგიონში ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევით სამუშაოებსა და გამოქვეყნებულ ნაშრომებში, სადაც განხილულია დევდორაკის ხეობაში განვითარებული გლაციოლგარცოფების მოქმედება, გამოოქმულია მოსაზრება მათი წარმოშობის პირობებზე, სტიქიურ-დამანგრევებით რისკის შერბილებასა და უვნებელყოფაზე. რეკომენდაციებში ხაზგასმით არის მითითებული დარგობრივი მონიტორინგის ჩატარების შესახებ ღვარცოფმაფორმირებელ უბნებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კიდევ ერთხელ გავიხსენებთ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, 2014 წლის 16–17 აგვისტოს, დევდორაკის ხეობაში განვითარებულ გლაციოლგარცოფს, რომელმაც მდ. თერგის ხეობაში დააზიანა საბაჟო ტერმინალი, საავტომობილო გზა, გაზის ცენტრალური მაგისტრალი, სასაზღვრო ჯარის ნაგებობები; იყო ადამიანთა მსხვერპლიც. აქედან გამომდინარე, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა (რევაზ ხაზარაძე, კობა ხარაძე, კუბარური წიქარიშვილი) დამატებითი მასალის მოპოვებისა და ხეობის გეოგრაფიული გარემოს შესწავლის მიზნით კიდევ ერთხელ დაათვალიერეს დევდორაკის ხეობა (ნახ. 2).



ნახ. 2. დევდორაკის მყინვარი

მოპოვებული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ დევდორაკის ხეობაში განვითარებული გლაციოლგარცოფები თითქმის ერთი და იმავე ადგილიდან იღებს სათავეს, კერძოდ, დევდორაკის მყინვარის დაბოლოების ქვემოთ, ხეობის შევიწროებულ მონაკვეთზე, რომელსაც ქმნის ადვილად შლადი ფიქლებით ნაგები მ. მასახის შვეულქარაფოვანი მარცხენა ფერდობი, საიდანაც ხშირია ქვალორდისა და ლოდნარი მასალის ჩამოშლა. წარსულში ამ მონაკვეთზე დევდორაკის მყინვარი მარჯვენა ფერდობიდან იერთებდა საკმაოდ მძლავრ შენაკადს – შანტორას მყინვარს და რამდენიმე

მცირე ზომის მყინვარულ ნაკადებს. დღეისათვის მარჯვენა ფერდობის ეს მონაკვეთი მყინვარებისაგან თავისუფალია. მათ ადგილზე დიდი დაქანების ხევებია შემორჩენილი, საიდანაც დევდორაკის ხეობის ეს მონაკვეთი მარაგდება ვულკანური და გრანიტულ-გნეისური შედგენილობის ქვალორდით. ხეობის ამ მონაკვეთზე დაგროვილ მასალაში თავისი წელილი შეაქვს მყინვარის მიერ ჩამოტანილ მორენულ მასალასაც. ეს ყოველივე თავისთავად ფერდობგრავიტაციული პროცესების გააქტიურებაზე მიუთითებს.

თუ გავიზიარებთ ა. დუხოვსკის [5] მოსაზრებას დევდორაკის ხეობაში გრავიტაციული მასალის დაგროვების ინტერვალის შესახებ (XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო და 10–15 წელი გრძელდებოდა), რომელიც XIX საუკუნის 60-იან წლებში თანდათან შემცირდა. თანამედროვე პირობებში ამ ინტერვალის კიდევ უფრო შემცირებას უნდა ვეღოდოთ.

როგორც ცნობილია, მყინვარწერიდან ბოლოს ამოფრქვეული დაგისათვის დამახასიათებელია მოწითალო ფერი [1], რომელიც კარგად ჩანს 2014 წლის აგვისტოში დევდორაკის ხეობაში განვითარებული ლავური ნაკადის მიერ დატოვებულ მასალაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიგარაულო, რომ სიმძლავრე 40–45 მ-მდეა, მაგრამ ხეობის ზოგ მონაკვეთზე, კერძოდ, მდ. ამალთან შეერთების ადგილას (ზ. დ. 1715 მ), სადაც მდ. დევდორაკისწყალი მკვეთრად იცვლის მიმართულებას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სიმძლავრე თითქმის 90–100 მ-მდეა გაზრდილი. ანალოგიური სიტუაციაა მდ. თერგთან შეერთების ადგილიდან ოდნავ ზემოთ მდებარე ტბებთან (ზ. დ. 1494–1497 მ), სადაც მდ. ამალი ჩრდილო-აღმოსავლეთით იღებს მიმართულებას, ლავური მასალა შესროლილია 100–120 მ-ზე. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დვარცოფს მდ. ამალის ხეობაში სახიფათო დამანგრევებით მოვლენები არ შეუქმნია, ვინაიდან ხეობა დაუსახლებელია და მხოლოდ საზაფხულო დროებითი ნაგებობებია შემორჩენილი და ისიც ხეობის ძირიდან 100–120 მ სიმაღლეზე.

დევდორაკიდან წამოსული დვარცოფის ძირითადი დამანგრევებით პროცესი იწყება მდ. თერგის ხეობაში შეერთების ადგილის ქვემოთ (ნახ. 3). როგორც მოსალოდნელი იყო, დვარცოფმა გადაკეტა თერგის ხეობა 90–100 მ სიმაღლის ჯებირით, რომელმაც გამოიწვია მდ. თერგის დაგუბება. კრიტიკული დონის მიღწევის შემდეგ წელის ნაკადმა გაარღვია ჯებირი და ქვალორდით გაჯერებული ნაკადის სახით დაეშვა ხეობაში (ნახ. 4 და ნახ. 5). დევდორაკისა და ამალის ხეობიდან



ნახ. 3. ამალის ხეობის ბოლო მონაკვეთი მდ. თერგთან შეერთების ადგილას



ნახ. 4. დევდორაკის გლაციოლგარცოფის მოქმედების ძველი და ახალი კვალი
(ხეობის მარცხენა შეარე)

გამოტანილ ღვარცოფულ მასალას შეუერთდა ოერგის ხეობაში დაგროვებული გრავიტაციული და საავტომობილო გზის გაფართოებასთან დაკავშირებით აფეთქების შედეგად გვირაბებიდან გამოზიდული მასალა, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა ღვარცოფული ნაკადის ენერგია.



ნახ. 5. დევდორაკის გლაციოლგარცოფის მიერ შესროლილი მასალა
ამალის ხეობის ქვემო ნაწილში

მდ. ოერგი ზ. დ. 1310 მ-ზე მარჯვენა მხრიდან იერთებს საქმაოდ მძლავრ შენაკადს – ხდისწყალს, რომელიც სათავეს იღებს ზ. დ. 3160 მ-იდან. გაზაფხულზე მდ. ხდისწყალს წყალუხვობა ახასიათებს, რომელიც გაჯერებულია აღვილად შლადი თიხაფიქლების გრავიტაციული ქვა-ღორღით. საერთოდ, მდ. ხდისწყალი მდ. ოერგთან შეერთებისას გარკვეულ წინააღმდეგობას უწევს მას, მით უფრო გაზაფხულის წყალუხვობის დროს, როცა მისი სიმძლავრე გაზრდილია (20–24 ათასი კვტ). აქედან გამომდინარე, მდ. ოერგს შეცვლილი აქვს მიმართულება და გარკვეულ მანძილზე მარცხნა ფერდობის ძირში გაედინება (ნახ. 6). სწორედ მდინარის მიერ დაგროვებული მასალით შექმნილი ჭალისზედა ტერასის გასწვრივ იყო განლაგებული მთელი რიგი ნაგებობები (საბაჟო ტერმინალი, სასაზღვრო ჯარების საცხოვრებელი და სხვ), რომლებიც 2014 წლის მდ. ოერგის ხეობაში განვითარებული დვარცოფით მთლიანად განადგურდა. გამორიცხული არ არის, რომ ამ ვითარებაში გარკვეული როლი ერთ გარემოებას შეესრულებინა: არც ისე დიდი ხნის წინათ, შესართავიდან 2–2,5 კმ-ის დაშორებით, სადაც ხეობის მკვეთრი დაქანების გამო მდ. ხდისწყალი ჩანჩქერების სახით მიედინებოდა, გადაგდებულ იქნა სხვა მიმართულებით. შესაძლებელია ამით ისარგებლა თერგის ხეობაში განვითარებულმა დვარცოფმა და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აღიდგინა თავისი ძველი მიმართულება და გადაუარა მის მიერ დატოვებულ ჭალისზედა ტერასას, რომელზედაც განლაგებული იყო ზემოთ აღნიშნული ნაგებობები.



ნახ. 6. მდ. ხდისწყლის ქეემო ნაწილი, სადაც ამჟამად წყალი გვირაბშია გადაგდებული და აქ აღარ მიედინება

როგორც ირკვევა, დევდორაკის ხეობის დვარცოფებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცნობილია ისიც, რომ განმეორების ეტაპები დროის მიხედვით მცირდება. გამორიცხული არ არის, რომ ანალოგიური შემთხვევები კვლავაც განმეორდეს და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს ყაზბეგის რეგიონი. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ხეობის ამ მონაკვეთზე კომპლექსური მონიტორინგული დაკვირვებების ჩატარება, რომელშიც ჩართული იქნებიან: ინჟინერ-გეოლოგები, პიდროლოგები, კლიმატოლოგები, სეისმოლოგები, გეომორფოლოგები და გარემოს დაცვის წარმომადგენლები.

დევდორაკის დვარცოფის ჩამოყალიბებაში ძირითად როლს გამოფიტული, ინერტული მასალის დაგროვება და მყინვარიდან ჩამომდინარე ნაკადის დაგუბება ასრულებს, რომელთა კრიტიკული დონის მიღწევა ხეობაში ქვა-დორლით შექმნილი ჯებირის გარდვევას და ტალახიანი ნაკადის განვითარებას იწვევს. დვარცოფის ენერგიის გაზრდა და სიჩქარე დამოკიდებულია თვით ხეობის მორფოლოგიაზე (დახრილობაზე). დვარცოფის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა უცარი ბიძგი, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს სეისმური პირობების უცარი შეცვლით ან კლიმატის გაუარესებით (ხანგრძლივი თავსება წვიმით); ასევე ხეობის ამ მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოებით გამოწვეული აფეთქებით. პრაქტიკაში ცხადყო, რომ შეუძლებელია დევდორაკის დვარცოფის სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება, თუ არ გვექნება სრულფასოვანი ინფორმაცია გარემო პირობებზე და იმ ფაქტორთა რისკებზე, რომლებიც განაპირობებს მათ წარმოქმნას.

პირადი დაკვირვებებითა და არსებული მასალების განზოგადებით იმ დასკვნამდე მივედით, რომ მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე საჭიროა ჩატარდეს ისეთი სახის სამუშაო, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დევდორაკის დვარცოფის კალაპოტიდან გადმოსვლის შესაძლებლობებს [11, 12, 13].

როგორც არსებული მასალებიდან ჩანს, დევდორაკის დვარცოფი წარსულში უმეტესწილად გარეულ ციკლურიბას ემორჩილებოდა და საშუალოდ 10–15 წლის დიაპაზონში მეორდებოდა. თუმცა ბოლო წლებში ეს კანონზომიერება თანდათანობით დაირღვა და შეინიშნება მათი განმეორებადობის ინტერვალების მნიშვნელოვანი შემცირება, რაც გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი გარემოებით: წარსულში დევდორაკის მყინვარის შემომსაზღვრელი ორივე ფერდობი მ. მასახის კლდეების ზემოთ დაფარული იყო თოვლიან-ყინულიანი საფრით. უფრო მეტიც, მარჯვენა ფერდობიდან დევდორაკის მყინვარი იერთებდა შანტორას მყინვარს და რამდენიმე მყინვარულ ნაკადს. აქედან გამომდინარე, ამ ფერდობებიდან ინერტული მასალის დაგროვება დვარცოფმაფორმირებელ უბანზე მინიმუმამდე იყო დაყვანილი. შემდგომში აღნიშნული ფერდობები თანდათანობით განთავისუფლდა თოვლიან-ყინულიანი საფრისაგან, რამაც განაპირობა ფერდობებიდან დორდისა და ლონგირი მასალის ინტენსიური ჩამოშლა.

დასკვნა

ამრიგად, დევდორაკის გლაციოდვარცოფის უგულებელყოფა შეუძლებელია მანამ, სანამ არსებობს მყინვარწვერი და დევდორაკის მყინვარი და მანამ სათავეს მაილის პლატოს იმ თოვლიან-ყინულიანი ფირნიდან იღებს, რომლის ნაპრალების ხილული სიღრმე 60-დან 100 მ-მდე. მაგრამ უშესველად უნდა მოიძებოს ისეთი მეთოდი, რომელიც დევდორაკის ხეობაში განვითარებული დვარცოფის დამანგრეველ მოქმედებას მინიმუმამდე შეამცირებს. ჩვენი აზრით, ამის საშუალებას მოგვცემს მონიტორინგის დაკვირვების მასალა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიქმნას იმის შესაძლებლობა, რომ დვარცოფის მაფორმირებელ კერაში მოხდეს ინერტული მასალისა და შეგუბებული წყლის მასის კრიტიკულ დონემდე დაგროვება. ამისათვის ხელოვნური ჩარევით პერიოდულად უნდა გაისხნას ჯებირი (აფეთქებით) და მოხდეს დვარცოფის გამოწვევა, რომლის ნგრევითი მოქმედება მაქსიმალურად იქნება შემცირებული მდ. ამალის ხეობაში და მდ. თერგზან შეერთებისას ვერ მოახდენს მის შეგუბებას. ამ შემთხვევაში დვარცოფი უოველგვარი ნგრევის გარეშე უსაფრთხოდ გაივლის მდინარის კალაპოტით.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას – ხდისწყლის ხეობის მშრალ მონაკვეთს საჭიროა დაუბრუნდეს წყლის ნაწილი მაინც, რომლის ჩამოტანილ მყარ ნატანს საშუალება ექნება შესართავთან წინააღმდეგობა გაუწიოს მდ. თერგზ ჭალისზედა ტერასის დაკავებაში.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად უნდა აიკრძალოს მდ. თერგის ხეობის ამ მონაკვეთის ჭალისზედა ტერასულ საფეხურებზე თვითნებური მშენებლობები.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Схиртладзе Н. И. Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. АН ГССР, Тб., 1958.
2. რ. ხაზარაძე, ნ. მამაცაშვილი. ახალი მონაცემები მდ. თერგის სათავეების პლეისტოცენური გამყინვარების შესახებ. საქართველოს გეოგრაფიის აქტუალური პრობლემები. თბ., 2001.
3. Статковский Б. И. О причинах происхождения Казбекского завала // Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества. Т. XXIII, №1, 1915.
4. Бондриев И. В., Церетели Э. Д. и др. География катастроф и риска зоны влажных субтропиков Кавказско-Понтийского региона. Тб., 2007.
5. Духовский А. И. Наблюдения за Девдоракским ледником в 1909–1912 гг // Известия Кавказского отдела Императорского русского географического общества, т. XXIII, №1, 1915.
6. Абих Г. А. Исследование настоящих и древних ледников Кавказа. Сборник сведений о Кавказе, 1871.
7. Подозерский К. И. Ледники Кавказского хребта. Записки Кавказского отдела Императорского русского географического общества, кн. XXIX, вып. I, 1911.
8. Рейнгард А. Л. Материалы к изучению ледникового периода на северном склоне среднего Кавказа (исследования в Бассейнах Ардона, Уруха и Терека). Харьков, 1912.
9. Ренгартен В. П. Геологический очерк района Военно-Грузинской дороги // Тр. ВГРО, вып. 148, 1932.
10. Маруашвили Л. И. О катастрофических селях геологического прошлого // Сообщения АН ГССР, т. 75, №2, 1974.
11. რ. ხაზარაძე, კ. ხარაძე. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული გარემო და მიმდინარე გეოდინამიკური პროცესები. კრებული „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია“. თბ., 2012.
12. კ. წერეთელი, რ. ხაზარაძე და სხვ. სტიქიური პროცესების განვითარების მასშტაბები მდ. თერგის აუზის ზემო წელში და მათი საშიშროების რისკი // ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ახალი სერია №1 (8). თბ., 2006.
13. რ. ხაზარაძე. პალეოგლაციონგარცოფული პროცესები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში (მდ. თერგის სათავეები). კრებული „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბ., 2010.

PHYSICAL GEOGRAPHY

ACTIVATION OF NATURAL-DESTRUCTIVE PROCESSES IN THE TERRITORY OF KAZBEGI MUNICIPALITY (DEVDORAKI GLACIAL-MUDFLOW CASE STUDY)

R. Khazaradze, K. Kharadze, K. Tsikarishvili

(I. Javakhishvili Tbilisi State University's Vakhushti Bagrationi Institute of Geography)

Resume: There is considered the nature of contemporary mudflows; the mudflow centers of the past have been revealed through the mudflow materials remaining in the gorges and it was possible to determine their distribution boundaries.

In recent years (2006, 2010, 2012), in the conducted works in Kazbegi region and published papers, in which the glacial-mudflow action developed in the Devdoraki gorge is considered, the idea on their origin conditions, natural-destructive risk mitigation and their neutralization is suggested. The recommendations underline the conduction of sectoral monitoring in the mudflow origin areas. Nevertheless, we will try to speak up about the glacial-mudflow developed in the Devdoraki gorge on August 16–17, 2014, which has led to the natural-destructive phenomena in the Tergi River gorge. In order to collect the additional material and explore the geographical environment of the gorge, we once again went through the Devdoraki gorge.

As a result of personal observations and generalization of materials, authors came to the conclusion, that the mudflows in the Devdoraki gorge have a long history of centuries. Besides, the stages of recurrence according to periods is known, which is gradually reduced; it is possible, that similar cases occur in the future; therefore, it is necessary to conduct a range of activities based on the findings, which will minimize the possibilities of floods and destruction action of the Devdoraki mudflow.

Key words: Devdoraki; elemental phenomena; mudflow.

ФИЗИЧЕСКАЯ ГЕОГРАФИЯ

АКТИВАЦИЯ СТИХИЙНО-РАЗРУШИТЕЛЬНЫХ ПРОЦЕССОВ НА ТЕРРИТОРИИ КАЗБЕКСКОГО МУНИЦИПАЛИТЕТА (НА ПРИМЕРЕ ДЕВДОРАКСКОГО ГЛЯЦИОСЕЛЕВОГО ПОТОКА)

Хазарадзе Р. Д., Харадзе К. П., Цикаришвили К. Д.

(Институт географии Вахушти Багратиони Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили)

Резюме: Рассматривается природа современного селевого потока на основе анализа селевых материалов, которые сохранились в ущельях притоков р. Терека; выявлены существующие в прошлом селевые очаги и установлены возможные границы их распространения.

За последние годы (2006, 2010, 2012) в Казбекском регионе были проведены исследования и на их основе были опубликованы научные труды, в которых выдвинуты соображения о происхождении и развитии

гляциоселей в Девдоракском ущелье, об их превенции-предотвращении. В рекомендациях подчеркивается необходимость проведения отраслевого мониторинга на участках формирования селевых потоков. В статье крупным планом выдвигается возникший 16–17 августа 2014 года в Девдоракском ущелье гляциосель, в результате которого последовали стихийно-разрушительные явления в ущелье р. Терека. В целях уточнения некоторых деталей и получения дополнительного научного материала, в нинешнем году авторы статьи еще раз прошли по Девдоракскому ущелью.

В результате обобщения полевых исследований и существующих материалов было решено: исходя из того, что в ущелии Девдораки гляциоселевые потоки имеют многовековый характер и этапы повторения постепенно сокращаются, целесообразно на основе материала провести такие мероприятия, которые уменьшат разрушительный характер Девдоракского селя.

Ключевые слова: Девдорак; селевые потоки; стихийные явления.

აბრომარპეტინგის ფორმირების პრცეპტუალური ასპექტები

მარინე კობალავა

(უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია)

რეზიუმე: განხილულია აგრომარპეტინგის ფორმირების კონცეპტუალური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული ეკონომიკის აგრარული სექტორის სისტემურ განვითარებასა და ძლიერი ეკონომიკური სივრცის შექმნასთან.

საკვანძო სიტყვები: აგრობიზნესი; აგრომარპეტინგი; აგროსექტორი; კონცეფცია.

შესავალი

აგრომარპეტინგის ტექნოლოგიური ასპექტების ანალიზიდან გამომდინარე, უნდა ადინიშნოს, რომ დღემდე არ არის გამიჯნული ამ სექტორის თავისებურებები ეკონომიკის აგრარულ სექტორში. პრიორიტეტულია ის მეცნიერული ინტერესი, რომელიც წარმოიშვა კონკრეტული დარგისადმი თანამედროვე ეტაპზე. საბაზო პრინციპებზე მორგებული სასოფლო-სამეურნეო მარკეტინგი, აგრომარპეტინგი და აგრობიზნესის მარკეტინგი წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის რეალისტურ პრიორიტეტს. თანამედროვე პერიოდში მდგრადი ეკონომიკის საბაზო პრინციპების რაციონალური ფორმირების ტრანსფორმაციის მიმდინარეობის გამო აგრომარპეტინგის შესწავლა უნდა განხილული და აღიარებული კვლევის გზით. აგრომარპეტინგის შედარებით ჩაკეტილ და მოუწყობელ სფეროდ აღიარების ეტაპი მეცნიერული კვლევის ფართო ინტერესს იწვევს.

ძირითადი ნაწილი

აგრომარპეტინგის განვითარების კონცეფცია უდავოდ დაახლოებს დასავლურ სტანდარტებსა და ფასეულობებს, რის საფუძველზეც აგრომარპეტინგში გატარებული რეფორმებით შესაძლებელი გახდება არა მარტო ამ დარგის სივრცობრივი განვითარება, არამედ ეროვნულ ეკონომიკაში პოზიტიური მდგრადი დამკვიდრებაც. აქედან გამომდინარე, დიდია ინტერესი აგრარული სექტორის სისტემური განვითარებისა და ძლიერი ეკონომიკური სივრცის შექმნისა და, რადგან საქართველო ტრადიციულად აგრარული კულტურის მატარებელი ქვეყანაა, ამიტომ ეროვნული ეკონომიკის ძირითად პრიორიტეტად მიჩნეულია სწორედ აგროსექტორის განვითარება. თანამედროვე ეტაპზე აგრარულ სექტორში არსებული კრიზისული მდგრადი განვითარების დაძლევა ეროვნული ეკონომიკის განმტკიცების ერთ-ერთ კონცეპტუალურ ფაქტორად მოიაზრება.

ქვეყნის რეალობაში არსებულმა ენდოგენური ფაქტორების მკვეთრმა ნებატიურმა მდგრადი განვითარების შეზღუდულ აგრობიზნესაქმიანობას დაუდო დასაბამი, რის გამოც მივიღეთ აგრარული მეურნეობის შეკვეცილი კვლავწარმოების ფორმით ფუნქციონირების რეალური სურათი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში აგრარული სექტორის გამოსაჯანსაღებლად გამოიკვეთა მთელი რიგი პოზიტიური ტენდენციები. მათ შორის უპირობო სახელმწიფოს როლი აგრობიზნეს-საქმიანობაში, რაზეც მიუთითებს ინტეგრაციული პროცესების მზარდი დინამიკა, საერთაშორისო ფინანსურ და ეკონომიკურ წრეებთან თანამშრომლობის მხარდაჭერა და სხვა პოზიტიური ეტაპების განხილულების ხელშეწყობა ქვეყნის ეკონომიკის ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს სექტორში.

აგრძელდი სექტორის განვითარების უახლესი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალიდურია აგროსექტორის მარკეტინგული სრულყოფის სტრატეგიის შემუშავება და შემდგომ მათი დანერგვა აგრარული მეურნეობებისათვის კონკურენტუნარიანი გარემოფაქტორების უზრუნველსაყოფად. აგრომარკეტინგის კონცეფციის ჩამოყალიბება თანმიმდევრული პროცესია. აგრომარკეტინგი, თავის მხრივ, ეკონომიკის ერთ-ერთი კველაზე სპეციფიკური დარგია და უნდა ითქვას, რომ ეროვნულ კონომიკაში აღნიშნული სფერო სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. აგრომარკეტინგი კველაზე მოუწყობელი დარგია თავისი სფერიზიკიდან გამომდინარე, რასაც ამბავრებს თვით დარგის სპეციფიკა, სისტემის მგრძნობელობა, აღქმადობა, ადაპტირებულობა და თვითორგანიზებულობა. იგი განსხვავებულია მარკეტინგის კველა სხვა ფუნქციური სფეროსაგან. უდავოა, აგრომარკეტინგის რეალიზების აუცილებლობა, რომელზეც ზემოქმედებს რამდენიმე ძირითადი მაკრო- და მიკროგარემოფაქტორის არსებობა:

პირველი და კველაზე გლობალურია პოლიტიკური გარემოფაქტორების ზეგავლენა, რის შედეგადაც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ფართო რესტრუქტურიზაცია;

მეორე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების – ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სტაბილურად დაბალი დონე, რასაც თან ახლავს რესურსების განაწილების მექანიზმების არარსებობა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა, კომპანიათა არაეფექტური პოზიციები ბაზარზე;

მესამე – ეროვნული და საერთაშორისო ბაზების გაჯერება სოფლის მეურნეობის პროდუქტით, რომლის გასაძების სტიმულირებას მუდმივ რეჟიმში განიხილავს და გეგმავს აგრომარკეტინგი მარკეტინგული ელემენტების გამოყენებით.

აგრომარკეტინგი ურთულესი სისტემაა, რომელიც მუდმივ რეჟიმში ითხოვს მარკეტინგულ ანალიზს, დაგეგმვას, მართვასა და სისტემურ რეგულირებას. იგი თანამედროვე ეტაპზე მძლავრი გამოწვევების წინაშე დგას, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს დარგი ცხოვრების დონის რეალური ზრდის ლოკომოტივად უნდა იქცეს და აგრომარკეტინგული სისტემის ძირითადი ელემენტების ფორმირებით აგრარული სექტორის პროცესის კომპლექსური მართვა განმსაზღვრელი ფაქტორი გახდება ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. აგრომარკეტინგული პროცესი აგრარულ სექტორზე ორიენტირებული პოლიტიკით განისაზღვრება. აგრარულ სექტორზე მიბმული პოლიტიკით წარმოდგენილ და შემუშავებულ უნდა იქნეს მასზე მორგებული აგრომარკეტინგული პროცესი, რომელიც ამ დარგის ეფექტიანობასა და საბოლოო მიზნების მიღწევას შეუწყობს ხელს. აგრომარკეტინგული პროცესის მიზანია პროდუქტზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება მარკეტინგული შეთავაზებების გზით (MARKETING OFFER), რაც ბაზრისათვის პროდუქტის, მომსახურებისა და შთაბეჭდილებების კომბინაციით ხორციელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრომარკეტინგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს შემოქმედებით, მიზანიმიართულ საქმიანობას, რომელიც განახორციელებს სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის აგროსაქმიანობის მართვასა და დაგეგმვას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას სოფლის მეურნეობის პროდუქტსა და მომსახურებაზე გაცვლითი ურთიერთობების გამოყენებით. ამავდროულად, აგრომარკეტინგი განვითარებს, მართვას და აქმაყოფილებს ორგანიზაციების მოთხოვნილებას პროდუქტსა და მომსახურებაზე. აგრომარკეტინგი აგრარული ბაზრის საქმიანობის მართვის სისტემაა, რომელიც არეგულირებს ბაზარზე არსებულ პროცესებს და იქვლევს ბაზრის დინამიკას. აგრომარკეტინგი სთავაზობს შესაბამის მექანიზმებს ბაზრის სხვადასხვა სუბიექტს ურთიერთხელსაყრელი გაცვლისათვის. იგი დაინტერესებულია და ქმნის კველა პირობას მომხმარებელთა მოთხოვნილების გამოსავლენად და მათ დასაკმაყოფილებლად. აგრომარკეტინგი თავისი მართვის მექანიზმებით ხელს უწყობს აგრომეურნებისათვის ბაზრის განვითარების პროგნოზირებასა და შესაბამისი დინამიკის გაკონტროლებას კომპანიისათვის, მოთხოვნის ფორმირებას, ბაზარზე წარმოდგენილი პროდუქტისა და მათი განაწილების სტიმულირების მეთოდების შემუშავებას.

აგრომარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკური ხასიათით. აღსანიშნავია, რომ დარგის წარმატება მეტილად დამოკიდებულია აგროკლიმატურ პირობებზე. აგროკულტურების წარმოება კი – წარმოების მთავარ საგანზე – ნიადაგზე, მის ხარისხსა და გამოყენების ინტენსიურობაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც,

რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას ეროვნულ ეკონომიკაში უდიდესი პოტენციალი აქვს, რასაც განაპირობებს თითოეულ რეგიონში არსებული სხვადასხვა კატეგორიის მიწის დიდი მასივები, ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგი. ზემოაღნიშნული სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით საჭიროა აგრომარკეტინგული კომპლექსის შემუშავება და მართვის ეფექტიანობის განსაზღვრა. აგრომარკეტინგის მართვის ეფექტიანობა, თავის მხრივ, მთლიანად დამოკიდებულია მარკეტინგულ ანალიზე, დაგეგმვის ზუსტ ორგანიზებაზე და მიღწეული შედეგების საბოლოო მონიტორინგზე.

აგრომარკეტინგის შემდეგი თავისებურებაა წარმოებისა და სამუშაოს შესრულების პერიოდის შესაძლო შეუთავსებლობა. მაგალითად, მემცნარეობაში პროდუქციას დებულობენ ერთ-ორჯერ წელიწადში, ხოლო სამუშაო პერიოდი მოიცავს მთელ წელიწადს. ამიტომაც მარკეტინგის სპეციალისტები კარგად უნდა იცნობდნენ დარგის სპეციფიკას, მომხმარებელთა მოთხოვნებს; მათ მუდმივ რეჟიმში უნდა შეეძლოთ ამ მოთხოვნების შესაბამისად საბაზრო კონიუნქტურის პროგნოზირება, რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ ამაზეა დამოკიდებული აგრარული სექტორისა და აგრომარკეტინგის დრეიფის დაძლევის მექანიზმების შემუშავება.

აგრომარკეტინგში მნიშვნელოვანი ადგილი უქირავს წარმოებისა და პროდუქტის მიღების სეზონურობას. ამიტომაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მარკეტინგული პროცესის შექმნის სპეციფიკა, რომელიც საბაზრო სივრცის შესწავლითა და მომხმარებლის უმაღლესი ფასეულობის ჩამოყალიბების გზით მიიღწევა.

აგრომარკეტინგის ძირეულ თავისებურებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მეურნეობების ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნება.

აგრომარკეტინგის სპეციფიკური ხასიათი ჩანს იმ რეალობაშიც, რაც მცირე ბიზნესსა და აგრობიზნესშია გამოხატული არაპროფესიონალების ხელმძღვანელობის პირობებში; დაბოლოს, აგრომარკეტინგის კონცეპტუალურ თავისებურებას წარმოადგენს აგრეთვე ცვალებად გარემოში არსებული ეკონომიკური პროცესებისა და ბუნებრივი გარემო ძალების ინტეგრირება აგრომარკეტინგულ და აგრობიზნესის საქმიანობაში, როდესაც იქმნება ახალი ტენდენციები მარკეტინგული ქმედებებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აგრომარკეტინგის მართვის პროცესში მარკეტინგული სტრატეგიის წარმატებული განხორციელებით შესაძლებელია აგრომარკეტინგის რეალური შესაძლებლობებისა და არსებული პოტენციალის შეფასება. მარკეტინგული სტრატეგიის სტრუქტურული მიმზიდველობა ორიენტირებულია მარკეტინგული კომპლექსის ეფექტურ სინოეზზე. საუკეთესო მარკეტინგული სტრატეგიისა და კომპლექსის შესამუშავებლად რელევანტურია მარკეტინგული ანალიზის, დაგეგმვის და კონტროლის მექანიზმების იმპლემენტაცია. მარკეტინგული შეთავაზებები, აგრარული სექტორის სენსიტიური ბუნების მიხედვით, არაერთგვაროვანი, არათანაბარი და ცვალებადი ტენდენციებით ხასიათდება. წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროცესებში უმაღლესი ფასეულობის მარკეტინგული პროგრამის შესაქმნელად განხორციელებული არაკონცენტრირებული მარკეტინგული მართვა იწვევს საბოლოო სამოქმედო გეგმების წარუმატებლობას. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ რთულია საწარმოო გეგმის განსაზღვრის ეტაპზე მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილების პერსპექტივის შესახებ დროული სტრატეგიის შემუშავება, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოება გრძელდება თვეებისა და ზოგჯერ წლების განმავლობაში, ხოლო მომხმარებელთა მოთხოვნები და ინტერესები პროდუქტის ხარისხსა და სხვა მარკეტინგულ მახასიათებლებზე ცვალებადია დროსა და სივრცეში.

დასკვნა

ამრიგად, აგრომარკეტინგის განვითარების რელევანტურობა ეროვნულ ეკონომიკაში შესაძლებელია განხორციელდეს მთელი რიგი პრიორიტეტების დასახვით.

- პროდუქციის იდენტურობის გამო სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზარი ხასიათდება მკაცრი კონკურენციით, რის გამოც გაცნობიერებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც შეიმუშავებენ კონცენტრირებულ მარკეტინგულ (ნიშის მარკეტინგი) სტრატეგიას, ვინაიდან

მიზნობრივი სეგმენტის შერჩევისას კომპანიებისათვის საწყის ეტაპზე უფრო მიზანშეწონილი იქნება გამოიყენოს ბაზრის დაფარვის აღნიშნული სტრატეგია და გაიმაგროს პოზიციები, რადგან, მათ შანსი ეძლევათ შეზღუდული რესურსებით კონკურენცია გაუწიონ დიდ კომპანიებს;

- აგრომარკეტინგის სექტორის წარმატება (რომელმაც ასახვა უნდა პოვოს ეროვნული ეკონომიკის აღმავლობის საქმეში) იმით უნდა გამოიხატოს, რომ პირველ რიგში დააკმაყოფილოს მომებარებელთა „უმართავი“ მოთხოვნები და ინტერესები ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებზე;
- აგრომარკეტინგულ გადაწყვეტილებებზე მკაცრად მოქმედებს მარკეტინგის მაკროგარემოფაქტორები. ზემოაღნიშნული ბუნებრივი გარემოფაქტორის გარდა, ცალკეა გამოსაყოფი და გასათვალისწინებელი პოლიტიკური გარემოფაქტორი. აგრომარკეტინგს მუდმივ რეჟიმში უნდა შეეძლოს სწრაფი ადაპტირება სახელმწიფო და ბიზნესის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, ვინაიდან ეკონომიკურ პრიორიტეტებს განსაზღვრავს სამთავრობო გუნდისა და მზარდი საკანონმდებლო ბაზის აკომოდაცია აგრომარკეტინგულ საქმიანობასთან;
- საკუთრების ფორმებისა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით დაბალი ეკონომიკური აქტიურობის რაიონებში უნდა მოხდეს ახალი გადამამუშავებელი საწარმოების პოზიციონირება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირება, რასაც უზრუნველყოფს ერთიანი მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტური გამოყენება;
- დარგობრივი რეალობიდან გამომდინარე, სავალდებულოა მარკეტინგის რეკონკურენციის (მოქმედების განახლება) პროცესის დაგეგმვა, პროდუქტის კონვერსიფიკაცია, პროდუქტის სინქროკონკურენტულობაზე ორიენტაცია და კონტროლირებადი მექანიზმების შემუშავება.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. მ. კობალავა. კონსალტინგი აგრომარკეტინგის სისტემაში//ეკონომიკა, №10-12, 2009, გვ. 136-140.
2. მ. კობალავა. აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობა და მისი თავისებურებების განსაზღვრა ეროვნულ ეკონომიკაში//საისტორიო ვერტიკალები №15, 2008, გვ. 117-121.
3. მ. კობალავა. მარკეტინგული თავისებურებების განსაზღვრა ეროვნული ეკონომიკის აგრარულ სექტორში. თბ.: უნივერსალი, 2008.
4. Предеин Д. В. Агромаркетинг. МГУ, 2002.
5. Цыпкин Ю. А. Агромаркетинг и консалтинг. М.: ЮНИТИ, 2000.

CONCEPTUAL ASPECTS OF FORMATION OF AGROMARKETING

M. Kobalava

(High School Georgia)

Resume: The article deals with the formation of agricultural marketing conceptual aspects, which are linked to the development of the agrarian sector of national economic and the creation of a strong economic area.

Key words: agrobusiness; agromarketing; agrosector; conception.

АГРОМАРКЕТИНГ

КОНЦЕПТУАЛЬНЫЕ АСПЕКТЫ ФОРМИРОВАНИЯ АГРОМАРКЕТИНГА

Кобалава М. М.

(Высшее учебное заведение Джорджия)

Резюме: Рассматриваются концептуальные аспекты формирования агромаркетинга, которые связаны с развитием национальной экономики в аграрном секторе и созданием сильного экономического пространства.

Ключевые слова: агробизнес; агромаркетинг; агросектор; концепция.

ნიტრატების შემცველობის ზეგავლენა პარტოფილის ფუბერებზე მისი შენახვის პერიოდში

თამარ შამათავა, ლეილა ზვიადაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი)

რეზიუმე: შესწავლით იქნა შენახვის დროს კარტოფილის ტუბერებში ნიტრატების შემცველობა. ცდები ტარდებოდა ლაბორატორიულ და საველე პირობებში. ნიადაგში შეტანილ იქნა NPK სასუქები სხვადასხვა დოზით. ამ ექსპერიმენტით დადგინდა, რომ კარტოფილის ტუბერების ხანგრძლივად შენახვისას ნიტრატების შემცველობა აზოტიანი სასუქების დოზირების ფონზე თანდათან მცირდება. ზამთარის შუა პერიოდში დოზა განახევრებულია, ხოლო გაზაფხულზე მინიმუმამდე დადის.

საკვანძო სიტყვები: ვიტამინები; კარტოფილი; ნიტრატები; შაქრები; შენახვა.

შესავალი

ნიტრატები (NO₃) ყველა მცენარეშია. ისინი დიდ როლს ასრულებენ მცენარის ზრდის პროცესში: ასინთეზირებენ ამინმჟავებს და წარმოქმნიან ცილას. რადგან ადამიანი მოედი თავისი არსებობის მანძილზე მუდმივად იყენებს საკერძო მცენარეს, მისი ორგანიზმი მიჩვეულია ნიტრატების გარკვეულ რაოდენობას და შეუძლია ორგანიზმიდან მათი იმგვარად გამოყოფა, რომ ეს არ მოახდენს გავლენას მის ჯანმრთელობაზე.

ნიტრატები კარგად ისხნება წყალში, რაც დიდ საშიშროებას უქმნის ადამიანსა და შინაურ ცხოველებს. იგი სწრაფად ხვდება სისხლში და ორგანიზმში შედგევის შემდეგ გარდაიქმნება ნიტრიტებად, რაც ნიტრატებთან შედარებით უფრო მეტი ტოქსიკურობით ხასიათდება. ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს კარტოფილის ტუბერებში ნიტრატების შემცველობა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის დასაშვებ ნორმად ითვლება სხეულის მასის ყოველ ერთ კოლოგრამზე 3,6 მგ NO₃.

დიდია აზოტის როლი ბოსტნეული კულტურების ზრდისა და განვითარების პროცესში. ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფს მცენარეების სინორჩებს, ნაყოფის შენარჩუნებას, ზრდას და იძლევა მაღალ მოსავალს, მოქმედებს ცილების შედგენილობაზე, შედის ქლოროფილის B ჯგუფის ვიტამინების და ფერმენტების შედგენილობაში, აძლიერებს ფოტოსინთეზის ინტენსიურობას. აზოტი, როგორც სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უმეტესობისათვის, კარტოფილისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. იგი აუცილებელია ფოთლის აპარატის ფორმირებისას, შემდეგ კი ტუბერების ზრდის პერიოდშიც, სახამებლის ოპტიმალური სინთეზისათვის და მისი აკუმულაციისათვის ტუბერებში, რაც ხელს უწყობს ტუბერების ზომისა და საერთო მოსავლიანობის გაზრდას, ამიტომ სოფლის მეურნეობაში უხვი მოსავლის მისაღებად იყენებენ დიდი რაოდენობით აზოტოვან სასუქებს. მთელი რიგი მონაცემებით ნიტრატების შემცველობა მცენარეებში ჯიშის მიხედვით მერყეობს. აზოტოვანი ნივთიერებებიდან ხილბოსტნეულში ძირითადად შედის ცილები, რომლებიც ხასიათდება ადგილი შეთვისებადობით და ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას; მაღალი კვებითი დირსებით გამოიჩევა კარტოფილის ცილა ტუბერინი, რომელიც მდიდარია შეუცვლელი ამინმჟავებით.

როგორც ცნობილია სოფლის მეურნეობის პროდუქტები ხანგრძლივი შენახვისას განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს შედგენილობისა და ხარისხის მიხედვით. ცვლილებები გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ფიზიკური, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური და სხვ.

კარტოფილის შენახვის დროს დანაკარგების რაოდენობა მრავალ მიზეზზეა დამოკიდებული. მისი ნორმალური შენახვისათვის მისაღებია $2-3^{\circ}\text{C}$ სითბო, უფრო მაღალ ტემპერატურაზე ძლიერდება სუნთქვა და იწყება ტუბერის გაღივება, ხოლო 1°C -ზე ნაკლებ ტემპერატურაზე მიმდინარეობს ტუბერის დატბობა, ანუ სახამებლის ხარჯზე შაქრის მატება. მინუს 10°C -ზე იწყება ტუბერის გაყინვა.

კარტოფილის კარგად შენახვის მნიშვნელოვანი პირობაა ჰაერის ტენიანობა. ამიტომ კარტოფილის შესანახ საწყობში ჰაერის ტენიანობა $85-90\text{ \%}$ -ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს. ზედმეტი ტენიანობა უნდა შემცირდეს გენტილაციის საშუალებით.

ძირითადი ნაწილი

კარტოფილის შენახვის ვადა დამოკიდებულია მის ჯიშსა და ხარისხზე. კარტოფილის ტუბერების შენახვის ხანგრძლივობაზე ნიტრატების გავლენის შესასწავლად ჩვენ მიერ ცდები ტარდებოდა ახალქალაქის საცდელ მეურნეობაში. საცდელად აღვტული იყო „ოგონიოკის“ ჯიშის კარტოფილი. ანალიზების ჩატარების შემდეგ ნიმუშები თავსდებოდა კამერა-მაცივრებში.

ნიადაგში შეტანილ იქნა 40 \% -იანი კალიუმის მარილი, 18 \% -იანი სუპერ-ფოსფატი და 34 \% -იანი ამონიუმის აზოტმჟავა.

აზოტის სასუქის სხვადასხვა დოზის გავლენა კარტოფილის ტუბერის შენახვისას ტარდებოდა შემდეგი სქემით: 1N 90 P 120 K 60 კონტროლი

2N 135 P 180 K 90
3N 135 P 120 K 60
4N 90 P 180 K 60
5N 90 P 120 K 90
6N 90 P 180 K 90
7N 135 P 180 K 60
8N 135 p 120 K 90
9N 180 P 240 K 120

საცდელი ნაკვეთიდან აღვტული კარტოფილის მოსავალი სტანდარტების მიხედვით ინახებოდა $+2-4^{\circ}\text{C}$ -ზე $85-90\text{ \%}$ ფარდობითი ტენიანობის მქონე საცავში ბუნებრივი აირაციის პირობებში.

სათავსში მოთავსებამდე საცდელ პროდუქციას უტარდებოდა ანალიზები ნიტრატების, მშრალი ნივთიერების (გამოშრობის მეთოდით), შაქრების (ბერტრანის მეთოდით) და ვიტამინების კონცენტრაციების დასადგენად, რის მიხედვითაც რეგულარულად ვლინდებოდა დანაკარგები დინამიკაში პროდუქციის შენახვის დასრულებამდე. ცდების შედეგად გამოვლინდა, რომ კარტოფილის ტუბერებში ნიტრატების შემცველობა ოქტომბრიდან მაისამდე აზოტის სასუქის დოზირების ფორმები N90, N135, N180 შემცირდა 103, 160, 211 მგ/კგ-დან, შესაბამისად, 78,5, 71, 170 მგ/კგ-მდე. შედეგები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

ნიტრატების შემცველობის დინამიკა „ოგონიოკის“ ჯიშის კარტოფილის ტუბერებში

№	გარიანტი	შენახვამდე	შენახვიდან ერთი თვის შემდეგ	შენახვიდან 3 თვის შემდეგ	შენახვიდან 5 თვის შემდეგ
1	N 90 P 120 K60	120,75 $\pm 5,3$	110,25 7,5	105 6,2	97,8 8,36
2	N 135P180 K90	170 8,6	158,7 67	155,25 5	132 13,7
3	N 135P120 K60	160 4,04	148 11,6	84,3 2,2	71,7 8
4	N 90P180 K60	88,5 5,40	82,4 9	77,82 3,4	78,5 9,1
5	N90 P120 K90	85,8 3,36	87,7 4,3	82,5 5,2	79,2 7,6
6	N90 P180 K90	103 10,6	159 10,2	81,95 3,2	76 4,4
7	N135 P180K60	174,25 12,3	168 4,6	162 7	151,3 6,3
8	N135P12 K90	177 6	191 8,6	196 17,3	168,5 13,2
9	N180P240K120	211 13,02	200 7	195 14,5	170 8,8

შაქრების რაოდენობა დოზირების ფონზე 0,72 %-დან გაიზარდა 1,22 %-მდე. აღინიშნა სახამებლის რაოდენობის შემცირება და ვიტამინ C-ს მკვეთრი შემცირება (ცხრილი 2).

ცხრილი 2

შაქრების, სახამებლისა და ვიტამინის რაოდენობა კარტოფილის ტუბერებში შენახვის შემდეგ

N	ვარიანტები	შენახვამდე				შენახვიდან 2 თვის შემდეგ				შენახვიდან 4 თვის შემდეგ			
		მშრალი ნივთო- ერება	შაქრები, %	ვიტა- მინი, მგ/გბ	სახა- მებე- ლი	მშრალი ნივთო- ერება	შაქ- რები, %	ვიტა- მინი, მგ/გბ	სახა- მებე- ლი	მშრალი ნივთო- ერება	შაქ- რები, %	ვიტა- მინი, მგ/გბ	სახა- მებე- ლი
1	N 90 P 120 K 60	19,4	0,5	2,1	15,2	22,9	0,8	0,37	13,4	29,0	1,6	2,1	12,4
2	N 35 P 180 K 90	2,7	0,6	1,7	13,44	24,8	0,7	0,49	12,2	28,5	1,4	1,8	11,45
3	N 135 P 120 K 60	23,6	0,9	0,4	13,2	22,4	0,8	0,34	11,4	25,1	1,5	1,7	10,2
4	N 90 P 180 K 60	22,2	0,7	3,5	15,8	25	0,73	0,42	14,6	28,6	1,2	1,1	13,4
5	N 90 P 120 K 60	19,4	0,6	2,8	16,2	23,1	0,8	0,57	15,3	26,7	0,9	1,8	12,95
6	N 90 P 180 K 90	23,4	0,7	0,5	16,5	28,5	0,62	0,43	16,1	28,2	0,7	2,0	13,6
7	N 135 P 180 K 60	24,6	1,5	0,6	15,6	23,6	1,4	0,53	14,1	26,9	1,2	2,0	12,7
8	N 135 P 120 K 90	22,2	3,1	1,6	15,8	25,1	0,4	0,48	13,5	27,6	2,2	2,2	12,0
9	N 180 P 240 K 120	19,7	0,6	2,5	14,3	23,5	1,2	0,43	13,3	20,8	1,8	0,3	11,5

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კარტოფილის სანგრძლივად შენახვისას დროთა განმავლობაში ნიტრატების შემცველობა თანდათან მცირდება. მაგალითად, შესაბამის მათი დოზა განახევრებულია, ხოლო გაზაფხულზე მინიმუმამდევა შემცირებული. აქედან გამომდინარე, კარტოფილის ტუბერების სანგრძლივი შენახვისას ნიტრატების რაოდენობა შენახვის ბოლო პერიოდის მინიმუმამდევა დადის და მისი გამოყენება სასურსათო

პროდუქტად ნიტრატების შემცველობის გათვალისწინებით ბევრად უფრო უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ვიდრე მისი შენახვის საწყის ეტაპზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Соколов О. А. Экологические аспекты применения азотных удобрений//Агрохимия, N 1, 1990.
2. Кретович В. Л. Усвоение и метаболизм азота у растений. М.: Наука, 1987.
3. Плещков Б. Б. Биохимия сельскохозяйственных растений. М.: Агропромиздат, 1987.
4. Научные труды ВАСХНИЛ «Хранение и переработка картофеля, овощей, плодов и винограда». М.: Колос, 1979.
5. qlab.ge/index.php/ka/ნიტრატები.htm

IMPACT OF NITRATES CONTENT ON POTATO TUBERS IN THE STORAGE PROCESS

T. Shamatava, L. Zviadadze

(Biotechnological center of Georgian Technical University)

Resume: Content of nitrates on the potato tubers were studied in the storage process. Test were carried out in lab and field conditions. Various doses of NPK fertilizers have been applied. Mentioned experiment ascertained, that during the long-term storage of potato tubers content of nitrates gradually decreases upon a background of nitric fertilizers dosing. In mid-winter period dose is halved, while in spring it reduces to minimum.

Key words: nitrates; potato; sugars; storage; vitamins.

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

ВОЗДЕЙСТВИЕ СОДЕРЖАНИЯ НИТРАТОВ НА КЛУБНИ КАРТОФЕЛЯ ВО ВРЕМЯ ХРАНЕНИЯ

Шаматава Т. Р., Звиададзе Л. Г.

(Центр биотехнологии Грузинского технического университета)

Резюме: Было изучено воздействие содержания нитратов на клубни картофеля во время хранения. Опыты проводились в лабораторных и полевых условиях. В почву были внесены удобрения NPK в различных дозах. Данный эксперимент показал, что во время длительного хранения клубней картофеля, содержание нитратов постепенно понижается на фоне дозирования азотных удобрений. В середине зимы доза сокращается наполовину, а весной доходит до минимума.

Ключевые слова : витамины; картофель; нитраты; сахар; хранение.

შენახვის დროს ვაშლის სხვადასხვა ჯიშის ნაყოფებზე ძიმიური შეღგენილობის ცვლილება

გულიკო დგალი, ნაილი ლომთაძე, თამარ ჭიპაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრი)

რეზიუმე: შესწავლილ იქნა შენახვის დროს სხვადასხვა ჯიშის ვაშლის – “სტარკრიმსონისა” და “გორული სინაპის” – ნაყოფების ქიმიური შედგენილობის ცვლილება მათი შენახვის უნარის გაზრდის მიზნით.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ვაშლის ნაყოფების შენახვის უნარის გაზრდაზე გავლენას ახდენს პექტინური ნივთიერება. ვაშლის ნაყოფების დარბილება და პექტინური ნივთიერების სტრუქტურული ცვლილებები დამოკიდებულია მასში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე, რაც ნაყოფების მადალი შენახვის უნარის რეგულირების შესაძლებლობას იძლევა.

საკვანძო სიტყვები: ბენომილი; „გორული სინაპი“; ვაშლი; პექტინი; „სტარკრიმსონი“.

შესავალი

ნაყოფის შენახვის უნარის გაზრდის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების კანონ-ზომიერებაზე, რომლებიც მიმდინარეობს როგორც ხეზე დამწიფებისას, ასევე შენახვის დროს [1–3].

შესანახად შერჩეული ვაშლის მდგომარეობისა და მისი შენახვიდან მოხსნის ვადის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნაყოფის ქიმიური შედგენილობის შესწავლას.

ვაშლის ძირითად ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც განსაზღვრავს მის გეტურ თვისებებს, შაქტები და ორგანული მჟავები წარმოადგენს. ისინი უშუალოდ მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლასა და სუნთქვით პროცესში, რაც მიმდინარეობს შენახვის დროს ნაყოფის დამწიფებისა და გადამწიფებისას. შენახვისას შესანახი ნაყოფის ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პექტინური ნივთიერებები. სიმწიფის მიხედვით პროტოპექტინი უჯრედის წვენში პექტინის ხასით ჰიდროლიზდება და რბილობი ხდება წენიანი და ნაზი. მისი გადამწიფებისას კი პროტოპექტინი მოლიანად ჰიდროლიზდება. ასეთი ნაყოფის კონსისტენცია არის მშრალი და დანაცრებული [4].

კვლევის მიზანი იყო განსხვავებულ პირობებში შენახული როგორც ბენომილით დამუშავებული, ისე პოლიეთილენის პარკებში მოთავსებული სხვადასხვა ჯიშის ვაშლის ნაყოფების ქიმიური შედგენილობის შესწავლა და მათი შენახვის უნარის განსაზღვრა.

ძირითადი ნაწილი

საკვლევად შეირჩა ორი ჯიშის ვაშლი – “სტარკრიმსონი” და “გორული სინაპი” გორის საცდელი ექსპერიმენტული მეურნეობიდან. ნაყოფები ინახებოდა მაცივარში 4 °C ტემპერატურაზე, 85–90 % ფარდებითი ტენიანობის პირობებში. ვაშლის ერთი ნაწილი დამუშავებული იყო ბენომილის 0,05 %-იანი ხსნარით, ხოლო მეორე – დაუმუშავებელი, მოთავსებული იყო პოლიეთილენის პარკებში. საკონტროლოდ აღებული იყო ბენომილით დაუმუშავებელი და პოლიეთილენის პარკების გარეშე მოთავსებული ნაყოფები.

ვაშლის ნაყოფებში გსაზღვრავდით ქიმიურ კომპონენტებს: შაქტებს – ბერტრანის მეთოდით [5], ტიტრულ მჟავიანობას – პირდაპირი დატიტვრით [6], პექტინურ ნივთიერებას – კალციუმის პექტატით, ორგანულ მჟავებს – თვისებრივად ქაღალდის ქრომატოგრაფიით.

მოდებული მონაცემების საფუძველზე მშრალი ნივთიერება “სტარკომსონის” და “გორულ სინაპში” მეტი აღმოჩნდა საკონტროლოსთან შედარებით როგორც ბენომილით დამუშავებულ, ასევე პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებულ ნაყოფებში (ცხრილი 1).

საცდელად აღებულ პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებულ ვაშლში მუავიანობა საკონტროლოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო ბენომილით დამუშავებულში – საკონტროლოს ტოლი.

ცხრილი 1

“სტარკომსონის” ჯიშის ვაშლის ქიმიური შედგენილობის ცვლილება შენახვის დროს (%-ში ნედლ მასაზე გადაანგარიშებით)

შენახვის ხანგრძლივობა დღეების მიხედვით	გარიანტები	მშრალი ნივთი- ერება	შაქრების რაოდენო- ბა	ტიტრული მჟავიანო- ბა	პეტიონური ნივთიერება	
					წყალში ხსნადი პეტიონი	პროტო- პეტიონი
–	შენახვამდე	15,3	11,7	0,62	0,17	0,24
160	საკონტროლო	13,3	10,2	0,52	0,03	0,08
–	ბენომილით დამუშავებული	14,2	10,3	0,53	0,10	0,16
–	პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებული	14,9	10,8	0,58	0,11	0,18
230	საკონტროლო	12,9	9,9	0,43	0,02	0,06
–	ბენომილით დამუშავებული	13,5	9,8	0,43	0,07	0,03
–	პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებული	14,1	10,1	0,48	0,10	0,11

უნდა აღინიშნოს, რომ “სტარკომსონის” ჯიშის ვაშლში შაქრების რაოდენობა 160 დღის შემდეგ პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებულ ნაყოფებში მეტი იყო საკონტროლოსთან შედარებით, ხოლო 230 დღის შემდეგ მისი რაოდენობა მცირდებოდა. “გორული სინაპის” შემთხვევაში შენახვიდან 145 დღის შემდეგ შაქრების რაოდენობა უმინშვნელოდ იყო მომატებული საკონტროლოსთან შედარებით, ხოლო 210 დღის შემდეგ მისი რაოდენობა აშკარად მომატებული იყო. ამ მონაცემების მიხედვით, ცხადია, რომ შენახვის დროს პოლიეთოლენის პარკებში ხდება შაქრების შენელებული ჩართვა. ორივე ჯიშის ვაშლში – როგორც ექსპერიმენტულში, ისე საკონტროლოში – შაქრები ძირითადად ფრუქტოზის სახით იყო წარმოდგენილი. ბენომილით დამუშავებულ და პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებულ ორივე ჯიშის ვაშლის ნაყოფებში კი ორგანული მუავები ძირითადად ვაშლის მუავას სახით იყო წარმოდგენილი. კრებსის ციკლის მიხედვით, ასევე მცირე რაოდენობით შეინიშნებოდა ფუმარისა და ქარვის მუავები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შენახვის პირობები გავლენას ახდენს ნაყოფის ქიმიურ შედგენილობაზე.

პეტიონური ნივთიერებების დაშლა როგორც ბენომილით დამუშავებულ, ასევე პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებულ ნაყოფებში საკონტროლოსთან შედარებით ნება მიმდინარეობს (იხ. ცხრილები 1 და 2).

რადგან პოლიაქარიდები, მათ შორის პეტიონური ნივთიერება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედის კედლის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, ამიტომ იგი წარმოადგენს სამარაგო ნივთიერებას, რომლის როლი იზრდება ხილის შენახვის დროს. პეტიონურ ნივთიერებას ახასიათებს მცენარის უჯრედში წყლის შეკავების უნარი და შენახვისას პროტოპეტინი გარდაიქმნება ხსნად

პექტინად. ამდენად, ჩვენი ცდების შედეგად მიღებული მონაცემები იმას მოწმობს, რომ პექტინური ნივთიერებების შენელებული დაშლა გავლენას ახდენს ვაშლის შენახვის უნარის გაზრდაზე.

ცხრილი 2

“გორული სინაპის” ჯიშის ვაშლის ქიმიური შედგენილობის ცვლილება შენახვის დროს (%-ში ნედლ მასაზე გადაანგარიშებით)

შენახვის ხანგრძლი- ვობა დღეებში	ვარიანტები	მშრალი ნივთი- ერება	შაქრების რაოდენობა	ტიტრული მჟავიანობა	პექტინური ნივთიერება	
					წყალში ხსნადი პექტინი	პროტო- პექტინი
—	შენახვამდე	20,7	12,4	0,59	0,12	0,23
—	საკონტროლო	14,5	11,2	0,48	0,07	0,20
145	ბენიმილით დამუშავებული	14,4	11,3	0,49	0,09	0,20
—	პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებული	15,7	11,9	0,53	0,09	0,16
210	საკონტროლო	14,4	10,0	0,44	0,10	0,18
—	ბენიმილით დამუშავებული	14,9	10,7	0,44	0,11	0,18
—	პოლიეთოლენის პარკებში მოთავსებული	15,7	11,0	0,49	0,06	0,12

დასკვნა

ამრიგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს, თუ რა როდეს ასრულებს ორგანული ნაერთები, კერძოდ პექტინური ნივთიერება, ვაშლის ნაყოფების შენახვის უნარის გაზრდაზე.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Арасимович В. В. Биохимические закономерности послеуборочного созревания яблок при пониженной температуре, возможности его регуляции и повышения лежкостойкости плодов // Известия АН Молд. ССР. Серия биол. и хим. наук, №1, 1985, с. 16-21.
2. Хранение плодов. Пер. с немецкого Спичкина И. М. М.: Колос, 1984. -165 с.
3. Метлицкий Л. В. Биохимия плодов и овощей в кн.: «Техническая биохимия», М.: Высшая школа, 1973. - 121 с.
4. Ермакова А. И., Арасимович В. В. и др. Методы биохимического исследования растений. Л.: Колос, 1972. - 174 с.
5. ქ. დგებუაძე. მცენარეთა ბიოქიმიის პრაქტიკული. თბ., 1975, გვ. 8-14.
6. Плешков Б. П. Практикум по биохимии растений. М., 1976. - 34 с.

**CHANGE OF CHEMICAL COMPOSITION IN DIFFERENT VARIETIES OF APPLES
DURING STORAGE**

G. Dvali, N. Lomtadze, T. Chipashvili

(Biotechnological Center of Georgian Technical University)

Resume: Change of chemical composition of different varieties apples, such as „Starkrimson“ and „Goruli sinapi“ were studied in order to increase their storage ability. It was found, that pectin substance influences on the storage ability of apple. Apple softening and structural changes of pectin substance depends on biochemical process, it allows us to regulate high storage ability of apples.

key words: apple; benomil; „Goruli sinapi“; pectin; „Starkrimson“.

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

**ИЗМЕНЕНИЕ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА РАЗНЫХ СОРТОВ ПЛОДА ЯБЛОК ПРИ
ХРАНЕНИИ**

Двали Г. Ш., Ломтадзе Н. А., Чипашвили Т. В.

(Биотехнологический центр Грузинского технического университета)

Резюме: Было изучено изменение химического состава плодов яблок сорта „Старкимсон“ и „Горули синапи“ с целью повышения лежкоспособности. По итогам исследования на сохранность плодов яблок влияет пектиновое вещество. Размягчение плодов яблок и структурное изменение пектиновых веществ дает возможность регулировать пути выполнения лежкоспособности плодов.

Ключевые слова: беномил; „Горули синапи“; пектин; „Старкимсон“; яблоко.

თანის ხეობის სუბალკური ზონის გუნდერიზი საკვები სავარგულები და მათი ბაზმჯობესმების ღონისძიებები

იოსებ სარჯველაძე, თამარ კაჭარავა, მზია ლირსიაშვილი

(საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: სამოვრებით სარგებლობის უკიდურესად ექსტენსიური სისტემა ხელს უწყობს ბალახეულის გადაგვარებას. წლიდან წლამდე სავსებით კანონზომიერად მიმდინარეობს მდელოს ბიომრავალფეროვნების გადარიბება, მცირემოსავლიან და დაბალხარისხიან მეორეულ დაჯგუფებათა წარმოშობა, სადაც უმეტესად გაბატონებულია მკვრივკორდიანი მცენარეულობა და დატკეპნის მიმართ გამძლე დაბალბალახეული. ბუნებრივი სამოვრების პერსპექტიული გამოყენებისათვის აუცილებელია უმოკლეს დროში მოწესრიგდეს სამოვართსარგებლობის ორგანიზაციული მხარე.

საკვანძო სიტყვები: ბიომრავალფეროვნება; სავარგულები; ფლორისტული მდელოები.

შესავალი

ბუნებრივი საკვები სავარგული წარმოადგენს მეცნოველეობის საკვებით უზრუნველყოფის ძირითად საშუალებას. იგი იძლევა მეტად იაფვასიან და ამავე დროს ცილებით, ნახშირწყლებითა და ვიტამინებით მდიდარ საკვებს. სამოვრების სარგებლობის ამჟამად არსებული უკიდურესად ექსტენსიური სისტემა ხელს უწყობს მათი მცენარეული საფრის გადაგვარებას, ბიომრავალფეროვნების გადარიბებას, ბალახეულის მცირემოსავლიან და დაბალხარისხიან მეორეულ დაჯგუფებათა წარმოშობას, სადაც უმთავრესად ჭარბობს მკვრივკორდიანი დაჯგუფებები და დატკეპნის მიმართ გამძლე ისეთი დაბალბალახეული, როგორიცაა მარმუჭი და სიბალდია.

ტანის ხეობის სუბალკური ზონის საკვები სავარგულების უმეტესი ნაწილი განლაგებულია დამრეც და ციცაბო, უფრო ხშირად სამხრეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, მცირე სიღრმის ხირხატიან ნიადაგებზე. მცენარეულობიდან ბალახეულში დომინანტია უმეტესად მეზოფილური ტიპი, თუმცა გვხვდება ქსეროფიტული პირობებისათვის დამახასიათებელი მშრალი მდელოს დომინანტებიც, რომლებსაც შედარებით მცირე სიღრმეზე, ფესვებთან აქვს სუსტად განვითარებული ფოთლები. მათი ღერო უმნიშვნელოდაა შეფოთლილი, ხოლო მცენარის ის ნაწილები, რომლებზედაც ვითარდება გენერაციული ორგანოები, დატოტვილი და სუსტად განვითარებულია. მშრალი მდელოების დომინანტებს შორის ჭარბობს: ჭრელი შერიელა, ფართოფოთლიანი ნამიკრეფია და ცხერის წივანა. მდელოების ფლორისტული შედგენილობა მეტად ჭრელია. ქსეროფიტულ სუბალკურ მცენარეთა სახეობებთან ერთად აქ გვხვდება მშრალი მდელოების ბალახეულში შემავალი მთის ველის მცენარეულობის წარმომადგენლებიც, თუმცა ველის ტიპის მცენარეები ისე უხვად არაა. აღნიშნული მასივის ბალახეული მდელოს ტიპებიდან გამოირჩევა: ნაირბალახიანნამიკრეფიანი (ქვედა ნაწილში), ნაირბალახიანშვრიელიანი (შეა ნაწილში), ნაირბალახიანცხვრისწივანიანი (ზედა ნაწილში).

ზემოაღნიშნული სამივე ტიპის სათიბ-სამოვრები ერთნაირი ფლორისტული შედგენილობისაა და ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ მცენარეული დაჯგუფებების დომინანტებით და ზოგიერთი კომპონენტის რაოდენობრივი შეფარდებით.

ძირითადი ნაწილი

ეველაზე უფრო გავრცელებული ფლორისტული ტიპია მშრალი სუბალპური მდელოს ნაირბალახიან-ჭრელ-შვრიელიანი ტიპი. ამ ტიპის ედიფიკატორს წარმოადგენს ჭრელი შვრიელი. ასევე გხევდება: კავკასიური პეტერურა (*Koeleria caucasica*), ფრთისებრი ბერსელა (*Brachypodium pinatum*), მდელოს თივაქასრა (*Poa pratensis*); შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი: ცხვრის წივანა (*Festuca ovina*), ველის წივანა (*Festuca sulcata*), ფართოფოთლოვანი ნამიკრეფია (*Agrostis planifolia*). ბალახეულ-შიც ასევე მცირე რაოდენობითაა პარკოსნები. მათ შორის აღსანიშნავია ცვალებადი სამყურა (*Trifolium ambiguum*) და შებუსვილთავიანი სამყურა (*Trifolium trichocephalum*), კავკასიური ტურდლისფრჩხილა (*Lotus caucasicus*); ნაირბალახებიდან წარმოდგენილია: მთის ბარისპირა (*Betonica grandiflora*), ცის ფოლიო (*Scabiosa caucasica*), ზიზიფორა (*Ziziphora media*), ურცი (*Thymus rufiflorus*), მინდვრის ნემსა (*Galium verum*) [1, 2].

ადნიშნული ტიპის მდელოების უმეტესი ნაწილი გხევდება დამრეც, ციცაბო და უმთავრესად ქვიან ფერდობებზე, რის გამოც ამ მცენარეული დაჯგუფებებით დაფარული ფართობი ძირითადად გამოიყენება საძოვრად. ბალახეული გარკვეულ დრომდე კარგი ხარისხისაა, მაგრამ ზაფხულის მეორე ნახევრაში მათი უმტბესობა ხმება. ჭრელ-შვრიელიანი მდელოები განვითარებულია მცირე სიღრმის შავმიწა, ხშირად გამოტუტულ, საშუალო და ძლიერ ხირხატიან ნიადაგებზე.

ნაირბალახიან-ნამიკრეფიანი ბალახეული ზემოაღნიშნული ტიპისაგან განსხვავდება მხოლოდ დომინანტი ნამიკრეფიას სიჭარბით, სხვა მცენარეთა მონაწილეობა ცენოზის შექმნაში წინა ტიპის მსგავსია.

ნაირბალახიან-ცხვრისწივანიანი ტიპი გავრცელებულია მასივის ზედა ნაწილში. ბალახეულის ინტენსიური ძოვების შედეგად იგი შეიძლება ჩაითვალოს წინა ორი ტიპის ფონზე წარმოქმნილად, რამაც გამოიწვია ბალახეულზე ბურქმკვრივი ცხვრის წივანას ხარჯზე ბურქმეხხერი მარცვლების გაქრობა. ამ მდელოთა ბალახეულ-ში ძლიერ ჭარბობს ცხვრის წივანა; სხვა მარცვლოვნები, ისე როგორც პარკოსნები, უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ნაირბალახეულიდან აქ გვხვდება იგივე სახეობები ჭრელ-შვრიელიან მდელოებში, მაგრამ გაცილებით ნაკლები რაოდენობით. გარდა ადნიშნულისა, ცხვრისწივანიანი მშრალი ტიპის მდელოს შედგენილობაში შერეულია დაბალბალახიანი სახეობები, კერძოდ: წითელყუნწიანი მარმუჭი (*Alchimilla erythropoda*), დაბალი ბერულა (*Gnaphalium supinum*), მინუარცია კავკასიური, მთის და აიზოსებრი (*Minuartia caucasica*, *M. oreina*, *M. Aizoides*), ბუსუსიანი ხარნუფა (*Hieracium pilosella*).

უველა ადნიშნული სახეობა, რომელიც ალპური დაბალბალახეულის (ხალების) კომპონენტებს წარმოადგენს, მნიშვნელოვნადაა გავრცელებული ცხვრის წივანას დაჯგუფებებში, რაც სასოფლო-სამეურნეო ცხოველებით საძოვრების გადატვირთვის შედეგია. მდელოთა ადნიშნული ტიპი განვითარებულია მთა-მდელოს შავმიწა და მთა-მდელოს კორდიან ნიადაგებზე, სადაც ჟუმუსის რაოდენობა მერყეობს 6,54–14,8 %-ის ფარგლებში; ჰიდროლიზური აზოტისა და მოძრავი ფოსფორის რაოდენობა, შესაბამისად, შეადგენს 9,4–18,3 მგ-ს და 5,0–11,0 მგ-ს 100 გ ნიადაგში; ხოლო pH-ის რაოდენობა 6,0–7,3-ის ფარგლებშია. ცხვრისწივანიანი მდელოები უმეტესად გამოიყენება საძოვრებად [3].

ტანის ხეობის სუბალპური ბუნებრივი საკვები სავარგულების (როგორც სათიბების, ასევე საძოვრების) გამოყენების ამჟამად დანერგილი სისტემა უკიდურესად ექსტენსიურია. საზაფხულო საძოვრები ძირითადად მომთაბარე მეცხვარეობისთვის გამოიყენება და უნდა აღინიშნოს, რომ დაუშებულად გადატვირთულია. საძოვრების ასეთი უსისტემო გამოყენების გამო მცენარეული საფარი იმდენად არის დარღვეული, რომ შეიმჩნევა სარეველების მომრავლება. მათგან ეპალ-შებუსული, კავკასიური და განსაკუთრებით კოსმელის ნარი ბალახეულის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. სარეველებიდან ასევე გხევდება ალპური და ნაწილობრივ ხუჭუჭა დოლო, მათი გავრცელება უმთავრესად შეინიშნება პირუტყვის სადგომებთან [4].

ინტენსიური ძოვების შედეგად საძოვრების ბალახეულ-ში გაბატონებულია მარმუჭი და წვრილყვავილიანი სიბალდია. ეს მცენარეები გაძოვებისა და გატკეპნის მიმართ არამდგრადი

ცენოზების გამოძევების ხარჯზე ქმნის სუფთა ბალასტურ დაბალბალახეულ დაჯგუფებებს. გარდა აღნიშნულისა, სამოვრების უარყოფითი სამეურნეო მაჩვენებლებია: ეროზია, კორდდაშლა და ქვიანობა. ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ზედმეტია საუბარი სამოვართბრუნვისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების დანერგვაზე.

დასკვნა

სამოვრების მოსავლიანობის მატების ღონისძიებათა კომპლექსში უმნიშვნელოვანესია მათი გამოყენების რაციონალურ-სამეურნეო ხასიათის სამუშაოების შესრულება, რომელთაგან მთავარია:

– სამოვართბრუნვისა და ნაკვეთმორიგეობითი ძოვების სისტემის დანერგვისათვის მოსამზადებელი წინასწარი სამუშაოების შესრულება; პირველ რიგში აუცილებელია საგარგულების შიგასამეურნეო გამოყენების დაზუსტება, რაც გულისხმობს ნაკვეთების პირობით დაყოფას გამოყენებისა და დასვენების შეთანწყობით;

– სამოვრებისათვის დატვირთვის ოპტიმალური ნორმების დაწესება და ამის საფუძველზე მათი ზედმეტი პირუტყვისაგან განტვირთვა;

– ძოვების დაწყებისა და დამთავრების ვადების რეგულირება;

– სამოვრების გასაუმჯობესებლად სწრაფმოქმედი ეფექტური ღონისძიებების გატარება; კერძოდ, ნაკელისა და მინერალური სასუქების შეტანა. ნაკელის შეტანა უმჯობესია მოხდეს შემოდგომაზე, მინერალური აზოტის დამატების შემდეგ. რაც შეეხება მინერალურ სასუქებს, მათი შეტანა უნდა განხორციელდეს სწორ ადგილგზე შემოდგომაზე, ხოლო ფერდობზე უმჯობესია გაზაფხულზე, მცენარეთა ვეგებაციის დასაწყისში;

პირველ ეტაპზე აღნიშნული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება აუცილებელია და საკმარისი იმისათვის, რომ შემდგომში აღნიშნული სათიბ-სამოვრები სრულად იქნეს დატვირთული პირუტყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში მომდევნო 3–4 წელიწადი საქმარისი იქნება იმისათვის, რომ ბიომრავალფეროვნების დარღვევისა და მოსალოდნელი ეროზიული პროცესების შედეგად სამოვრების ბალახეული გამოუსადეგარი გახდეს. ამასთან, უნდა შეჩერდეს კორდდაშლის პროცესი, რომლის კერებიც ჯერჯერობით მცირე მასშტაბითაა.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Вавилов Н. И. Центры происхождения культурных растений. Л.: Наука, 1987. - 148 с.
2. თ. კაჭარავა. სამკურნალო, არომატული, სანელებელი და შხამიანი მცენარეები. ISBN 978-9941-12-575-1, თბ.: უნივერსალი, 2009.
3. საქართველოს დაცული ტერიტორიები. რედ. ა. ქიქოძე, რ. გოხელაშვილი, ISBN 978-99928-70-71-6, 2007, გვ. 36-46.
4. ი. სარჯველაძე. სამოვრის დაყორულება და მისი მნიშვნელობა მეცხვარეობაში // სამეცნიერო შრომათა კრებული, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი. ISSN 1987-6599. N1(50), ტ. 3, თბ; 2010, გვ. 33-34.

NATURAL FORAGE MEADOWLANDS OF TANA VALLEY SUBALPINE ZONE AND ACTIVITIES FOR THEIR IMPROVEMENT

I. Sarjveladze, T. Katcharava, M. Ghirsashvili

(Research Centre of Ministry of Agriculture of Georgia, Georgian Technical University)

Resume: The extremely extensive system of greenland assists in degradation of the herbage. Year after year completely logically the biodiversity of meadow impoverishes, low-harvest and low-quality secondary groups appear, where dominate greensward and low-grasses, which are enduring against firming. The perspectives of using of natural infields, make it obligatory to arrange the organization parties in a limited time.

Key words: agricultural ground; biodiversity; floral field.

СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

ПРИРОДНЫЕ КОРМОВЫЕ УГОДЬЯ В СУБАЛЬПИЙСКОЙ ЗОНЕ ДОЛИНЫ ТАНА И МЕРОПРИЯТИЯ ДЛЯ ИХ УЛУЧШЕНИЯ

Сарджвеладзе И. В., Качарава Т. О., Гирсиашвили М. Р.

(Научно-исследовательский центр Министерства сельского хозяйства Грузии, Грузинский технический университет)

Резюме: Использование чрезвычайно обширной системы травостоя пастбищ способствует дегенерации. Из года в год вполне естественно происходит обнищание биоразнообразия лугов, появляются малоурожайные и низкого качества вторичные группировки, где распространяются наиболее плотные и устойчивые травы. Для использования в перспективе природных пастбищ обязательно в ближайшее время урегулировать в регионе организационную сторону их эксплуатации.

Ключевые слова: биоразнообразие; пастбище; флористические луга.

ავტორთა საზურადლებოდ

ქართულენოვანი მრავალდარგობრივი სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი “შეცნიერება და ტექნოლოგიები” არის პერიოდული გამოცემა და გამოდის წელიწადში სამჯერ.

1. ავტორის/ავტორთა მიერ სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს მთავარი რედაქტორის სახელზე ქართულ ენაზე და თან ახლდეს:

- აკადემიის წევრის, წევრ-კორესპონდენტის ან კოლეგიის წევრის წარდგინება ან დარგის სპეციალისტის რეცენზია (ორი მაინც);
- რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;
- ცნობები ავტორის/ავტორების შესახებ (მათი რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს); მითითებული უნდა იყოს ავტორის/ავტორების გვარი, სახელი, მამის სახელი (სრულად, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ბინისა და სამსახურის მისამართები, E-mail, სამეცნიერო წოდება და საკონტაქტო ტელეფონები (ბინის, სამსახურის), მობილური;
- შაპ (უნივერსალური ათობითი კლასიფიკაცია) კოდი.

2. სტატია ამობგჭდილი უნდა იყოს A4 ფორმატის ფურცელზე. მოცულობა ფორმულების, ცხრილებისა და ნახატების (ფოტოების) ჩათვლით არ უნდა იყოს ხუთ გვერდზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 15 ნაბეჭდ გვერდს; სტატია შესრულებული უნდა იყოს doc და docx ფაილის სახით (MS Word) და ჩაწერილი ნებისმიერ მაგნიტურ მატარებელზე. ინტერვალი – 1,5; არები – 2 სმ; ქართული ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Acadnusx შრიფტით, ინგლისური და რუსული ტექსტი – Times New Roman-ით, ზომა – 12.

3. სტატია გაფორმებული უნდა იყოს შემდეგნაირად:

- რეპრიკა (შეცნიერების დარგი);
- სტატიის სათაური;
- ავტორის/ავტორების სახელი და გვარი (სრულად);
- სად დამუშავდა სტატია;
- ქართული რეზიუმე და საკვანძო სიტყვები უნდა განთავსდეს სტატიის დასაწყისში, ინგლისური და რუსული რეზიუმეები საკვანძო სიტყვებთან ერთად – სტატიის ბოლოში. საკვანძო სიტყვები სამივე ენაზე დალაგებული უნდა იყოს ალფაბეტის მიხედვით. რეზიუმე შედგენილი უნდა იყოს 100 – 150 სიტყვისაგან; უნდა ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს (არ უნდა შეიცავდეს ზოგად სიტყვებსა და ფრაზებს); უცხო ენებზე თარგმანი უნდა იყოს ხარისხიანი, თარგმანი უნდა ეყრდნობოდეს სპეციალურ დარგობრივ ტერმინოლოგიებს;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების მონაცემთა ბაზების რეკომენდაციით, დამოწმებული ლიტერატურის რაოდენობა სასურველია იყოს ათი და მეტი. ლიტერატურა ტექსტში უნდა დალაგდეს ციტირების თანმიმდევრობის მიხედვით და აღინიშნოს ციფრებით კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო ლიტერატურის სია უნდა ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და დაერთოს სტატიას ბოლოში; თან მიეთითოს რომელ ენაზე იყო გამოქვეყნებული სტატია;
- ნახაზები (ფოტოები) და ცხრილები თავის წარწერებიანად უნდა განთავსდეს ტექსტში. მათი კომპიუტერული ვარიანტი უნდა შესრულდეს ნებისმიერი გრაფიკული ფორმატით;

- რედაქტირებული და კორექტირებული მასალის გამოქვეყნებაზე თანხმობა ავტორმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით (რედაქტირებული ვერსია ან სარედაქციო კოლეგიის მიერ დაწუნებული სტატია ავტორს არ უბრუნდება).
- დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: 0108 თბილისი, რუსთაველის გამზირი 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. IV სართული, ოთახი 434, ტელ.: 299-58-27.

ელ.ფოსტა: metsn.technol@gmail.com

რედაქტორები: ლ. გიორგობიანი, ე. იოსებიძე, დ. ქურიძე, მ. პრეობრაჟენსკაია
კომპიუტერული უზრუნველყოფა ქ. ფხავაძის

გადაეცა წარმოებას 18.02.2016. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.04.2016. ქაღალდის
ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7. გირაუ 90 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

